სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო

F 7-845
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ

1958 წლის 1 ივლისამდე მიღებული
ცვლილებებითა და დამატებებით

თბილისი
1958

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ

1958 წ. 1 ივლისამდე მიღებული
ცვლილებებითა და დამატებებით

I-7.845
2

ზარქვის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისი
1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია
სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ

დამტკიცებულია სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ 1939 წ. 28 სექტემბერს

ზოგადი დებულებანი

1. გადაწყვეტილების და დადგენილების აღსრულება სამოქალაქო საქმეზე და განაჩენისა—სისხლის სამართლის საქმეზე, ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, წარმოებს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 78 მუხლი).

2. სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების შესასრულებლად სასამართლოს აღმასრულებლის მიერ წარდგენილი მოთხოვნა, სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 80 მუხლი).

3. სააღსრულებო მოქმედებას სასამართლოს აღმასრულებელი აწარმოებს მოვალის საცხოვრებელ ადგილას, ან მოვალის მუშაობის ადგილას, ან იმ ადგილას, სადაც მოვალის ქონება იმყოფება იმ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში, რომელთანაც ის არის განწესებული.

გამონაკლის შემთხვევაში, სახალხო მოსამართლის განკარგულებით, სასამართლოს აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას განაგრძობს თავისი უბნის გარეთაც, მაგრამ ქა-

ლაქის ფარგლებში, ხოლო სოფელ ადგილას — რაიონის ფარგლებში.

4. სასამართლოს აღმასრულებელს აღსრულებაში მოყავს:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება და დადგენილება სამოქალაქო საქმეზე;

ბ) სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;

გ) სასამართლოში მომხდარი მორიგება;

დ) სანოტარო ორგანოს აღსრულების წარწერა;

ე) სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს გადაწყვეტილება;

ვ) საუწყებო არბიტრაჟის იმ ორგანოს გადაწყვეტილება, რომელსაც მინიჭებული აქვს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების უფლება;

ზ) სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება;

თ) შენფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება დადასტურებული პროფკავშირული ორგანოს მიერ;

ი) საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება;

კ) უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, გამოტანილი სსრ კავშირსა და სათანადო უცხო სახელმწიფოს შორის დადებული სპეციალური შეთანხმების საფუძველზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წესი იმ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ განიხილება სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 11 აპრილის დადგენილების საფუძველზე (სსრ კავშირის კან. კრებული. 1937 წ. № 30 მუხლი 120), განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციით.

5. სააღსრულებო დოკუმენტებია:

ა) აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული თანახმად გადაწყვეტილებისა და დადგენილებისა სამოქალაქო საქმეზე და განაჩენისა სისხლის სამართლის საქმეზე ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;

ბ) სანოტარო ორგანოს აღსრულების წარწერა;

გ) ბრძანება გაცემული სახელმწიფო არბიტრაჟისა და

საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებათა საფუძ-
ველზე;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) ბრძანება, გაცემული საუწყებო არბირტრაჟის იმ ორგა-
ნოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც მინიჭებული
აქვს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების უფლება;

ე) შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება,
დადასტურებული პროფკავშირული ორგანოს მიერ.

6. სააღსრულებო დოკუმენტის წარდგენა გადახდევინები-
სათვის შეიძლება: სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულე-
ბათა, კოლმეურნეობათა, კოოპერაციულ და სხვა საზოგა-
დოებრივ ორგანიზაციათა შორის აღძრულ საქმეებზე ერთი
წლის ვადაში, ხოლო ყველა დანარჩენ საქმეზე—იმ ვადაში,
რაც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლო-
ბით.

სააღსრულებო დოკუმენტს, რომელზედაც გასულია ხან-
დაზმულობის ვადა, სასამართლოს აღმასრულებელი თავის
წარმოებაში არ მიიღებს.

7. ხანდაზმულობის ვადა აღმასრულებელი ფურცლის წარ-
სადგენად გამიანგარიშება გადაწყვეტილების ან განაჩენის,
ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, კანონიერ ძალაში შეს-
ვლის დღიდან, რაც სასამართლომ უნდა აღნიშნოს აღმასრუ-
ლებელ ფურცელში, ხოლო სხვა სააღსრულებო დოკუმენტის
წარსადგენად—გამოიანგარიშება დღიდან სათანადო ორგანოს
მიერ მისი გაცემისა.

სააღსრულებო დოკუმენტი პერიოდული გადასახდელის
(ალიმენტის, დაშავებით და სიკვდილით მიყენებული ზიანის
ანაზღაურების და სხვ.) გადახდევინების შესახებ ინარჩუნებს
ძალას მთელი იმ დროის მანძილზე, რომლისთვისაც ეს გა-
დასახდელი არის მისჯილი.

8. ხანდაზმულობის ვადა შეწყდება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც სააღსრულებო დოკუმენტი წარედგინება სა-
სამართლოს აღმასრულებელს ან სასამართლოს, მოვალის

საცხოვრებელი ან მუშაობის ადგილის მიხედვით, ანდა იმ ადგილის მიხედვით, სადაც მისი ქონებაა;

ბ) როდესაც სააღსრულებო დოკუმენტი გადაეცემა სახელმწიფო ბანკს მოვალის ანგარიშსწორების ანგარიშზე დაბეგვრის დევინების მისაქცევად;

გ) როდესაც მოვალე შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რაც ვალის აღიარების დამადასტურებელი იქნება (ნაწილი ვალის გადახდა და ა. შ.) უკეთუ ერთი ან ორივე მხარე საქმეზე ცალკეული მოქალაქეა.

შეწყვეტის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშება ხელახლა დაიწყება, ამასთან შეწყვეტამდე გასული დრო ახალ ვადაში არ ჩაითვლება.

შეწყვეტის შემდეგ ხანდაზმულობის ახალი ვადა გამოიანგარიშება იმ დღიდან, რა დღესაც სააღსრულებო დოკუმენტი დაუბრუნა გადამხდევინებელს სასამართლომ ან სასამართლოს აღმასრულებელმა, ანდა ბანკმა, და აგრეთვე დაწესებულებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ, რომლებშიც წარმოებდა მოვალის სამუშაო ხელფასიდან დაკავება.

9. არასამუშაო დღეებში და ღამით სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ საქმე ვერ გადაიდება და ამასთან იმ სახალხო მოსამართლის ნებართვით, რომლის რაიონშიაც აღსრულება წარმოებს.

10. იმ შემთხვევაში, უკეთუ სასამართლოს აღმასრულებელს კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს წინააღმდეგობას გაუწევენ, ამის შესახებ სასამართლოს აღმასრულებელი მოწმის თანდასწრებით შეადგენს აქტს და გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოების აღმოსაფხვრელად დახმარებისათვის მიმართავს მილიციის ორგანოებს.

სასამართლოს აღმასრულებლისა და მოწმის მიერ ხელმოწერილი აქტი წარედგინება სახალხო მოსამართლეს იმ პირ-

თა პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც ხელს უშლიან სასამართლოს აღმასრულებლის კანონიერ მოთხოვნათა შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო დოკუმენტის მიღება და მოვალისათვის შეტყობინება

11. სააღსრულებო მოქმედებას სასამართლოს აღმასრულებელი შეუდგება გადამხდევინებლის სიტყვიერი ან წერილობითი განცხადებით, და აგრეთვე, სასამართლოს ან პროკურორის წინადადებით კანონიერად გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე.

12. სააღსრულებო დოკუმენტში უნდა აღინიშნოს:

ა) აღმასრულებელ ფურცელში—გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი, ხოლო დანარჩენ სააღსრულებო დოკუმენტებში—მათი გაცემის თარიღი;

ბ) მოვალის სახელი, მამის სახელი და გვარი; გაფლანგვის და მტაცებლობის საქმეზე, გარდა ამისა, მოვალის დაბადების წელი და ადგილი, ხოლო ალიმენტის საქმეზე, გარდა ამისა, იმ ბავშვის სახელი და დაბადების თარიღი, რომლის შესანახადაც მისჯილია ალიმენტი;

გ) მოვალის მუდმივი ან უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

დ) იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება და მისამართი, რომელშიაც მოვალე მუშაობს;

ე) გადამხდევინებლის ზუსტი მისამართი;

ვ) გადახდევინების საგანი;

ზ) სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებისაგან და კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან გადახდევინებისას—ზუსტად მათი სახელწოდება, მისამართი და აღნიშვნა იმ ანგარიშისა საკრედიტო დაწესებულებაში, რომლიდანაც გადახდევინება უნდა მოხდეს (კაპიტალური მშენებლობის ანგარიში, ექსპლოატაციის ანგარიში და სხვ.).

13. იმ შემთხვევაში, როდესაც სააღსრულებო დოკუმენტში რაიმე ბუნდოვნება ან გაურკვევლობაა, რაც სერიოზულად აბრკოლებს მის სწორად აღსრულებას, სასამართლოს აღმასრულებელი განმარტებისათვის მიმართავს იმ [illegible], რომელმაც ეს დოკუმენტი გასცა და ამასთან დაწვრილებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რის გამოც შეუძლებელი გახდა გადაწყვეტილების აღსრულება.

14. სააღსრულებო დოკუმენტის გადახდევინებისათვის წარდგენას სასამართლოს აღმასრულებელი უწყებით აცნობებს მოვალეს და წინადადებას მისცემს მას შეასრულოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილება უწყებაში ნაჩვენებ ვადაში.

15. უკეთუ ვადა ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დანიშნული არ არის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასამართლოს აღმასრულებელმა მოვალისათვის გასაგზავნ უწყებაში უნდა აღნიშნოს სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადა რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 260 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად[1].

16. მოვალეს უწყება ეგზავნება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით (დანართი, ფორმა № 3), ორ ეგზემპლარად ფოსტით ხელწერილის დაბრუნებით ანდა სასამართლოს შიკრიკის ხელით.

17. მოვალის არყოფნის შემთხვევაში, უწყება ჩაბარდება მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, იმ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის თანამდებობის პირს, რომელშიაც მოვალე მუშაობს, სახლის ადმინისტრაციას (სახლის მმართველს, მეეზოვეს), სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, მდივანს ან წევრს. ის პირი, ვინც მოვალის მაგიერ უწყებას მიიღებს, მოვალეა ხელწერილში

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 301 მუხლი.

უწყების მიღებაზე აღნიშნოს თავისი თანამდებობა ან მიმართ-
ლისადმი დამოკიდებულება (მაგალითად, მოვალის მეუღლე,
მამა, საბჭოს წევრი, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი
მგებელი პირი და ა. შ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე უარს იტყვის უწყების
მიღებაზე ან უწყების მიღების შესახებ ხელწერილის გაცე-
მაზე, უწყების მიმტანი ამ გარემოებას აღნიშნავს უწყებაზე,
რაც დადასტურებულ უნდა იქნას თანამოწმის ხელის მოწე-
რით, და ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება

19.უკეთუ მოვალემ გამოიცვალა თავისი საცხოვრებელი
ადგილი სასამართლოს აღმასრულებლის უბნის ფარგლებში
და ამ უკანასკნელისათვის მოვალის ახალი მისამართი ცნო-
ბილია, სასამართლოს აღმასრულებელი უწყებას ახალი მისა-
მართით გაგზავნის.

ხოლო, უკეთუ მოვალე საცხოვრებლად სხვა სასამართლო
უბანში გადავიდა—სასამართლოს აღმასრულებელი, თუ მის-
თვის მოვალის ახალი მისამართი ცნობილია და ამასთან მო-
ვალეს მის უბანში ქონება არა აქვს, სააღსრულებო დოკუ-
მენტს აღსასრულებლად გადაუგზავნის სასამართლოს აღმას-
რულებელს მოვალის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედ-
ვით და ამავე დროს ამის შესახებ აცნობებს გადამხდევინე-
ბელს.

20. უკეთუ ვერ იქნა დადგენილი მოვალის საცხოვრებე-
ლი ადგილი ან მისი ქონების სამყოფელი ადგილი, სასამარ-
თლოს აღმასრულებელი სააღსრულებო დოკუმენტს სათანადო
წარწერით დაუბრუნებს გადამხდევინებელს.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა
და გამოსაღები იძულებითი აღსრულებისათვის

21. უკეთუ მოპასუხე სასამართლოს აღმასრულებლის მიერ
დანიშნულ ვადაში ნებაყოფლობით არ შეასრულებს სასამარ-
თლოს გადაწყვეტილებას, სასამართლოს აღმასრულებელი
შეუდგება იძულებითი აღსრულებას.

იძულებითი აღსრულება სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა დაამთავროს ათი დღის ვადაში.

22. სასამართლოს აღმასრულებელს არა აქვს უფლება გადაახდევინოს კრედიტორს ან მოვალეს რაიმე [illegible] გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. თუ სასამართლოს აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედების წარმოების დროს დასჭირდება სახსრები ექსპერტებისათვის, აღწერილი ქონების შენახვისა და გადაზიდვისათვის, ფულად ავანსს სასამართლოს აღმასრულებელი მიიღებს იმ სასამართლოსაგან, რომელთანაც ის არის განწესებული.

იძულებითი აღსრულების დროს გაწეული ხარჯების ანგარიშს იგი დასამტკიცებლად წარუდგენს მოსამართლეს, რომელსაც გამოაქვს დადგენილება ანგარიშის დამტკიცებისა და გარჯების მოვალისაგან გადახდევინების შესახებ[1].

გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტით დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციისაგან

23. გადაწყვეტილების აღსრულება სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, კოლმეურნეობის, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის აღძრულ საქმეზე წარმოებს გადახდევინების მიქცევით პირველ რიგში იმ ფულად თანხებზე, რაც მათ ანგარიშზეა საკრედიტო დაწესებულებაში.

ამ შემთხვევაში სააღსრულებო დოკუმენტს გადამხდევინებელი წარადგენს უშუალოდ სათანადო საკრედიტო დაწესებულებაში, რომელიც გადახდევინებას განახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებუ-

---

[1] იხ. 1938 წ. 22 აპრილის № 37 ბრძანება 73 გვერდზე.

ლი სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციით დადგენილ წესისამებრ[1].

24. გადამხდევინებლის განცხადებით სასამართლოს აღმასრულებელი გადახდევინებას აწარმოებს უშუალოდ სახელმწიფო დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან, კოლმეურნეობისაგან, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ, როდესაც ბანკში აღსრულებისათვის წარდგენილი სააღსრულებო დოკუმენტი ვერ იქნა იქ რეალიზებული მოვალის ანგარიშზე სახსრების უქონლობის გამო, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდევინებელი თანხა არ აღემატება 500 მანეთს[2]

ამ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელს სააღსრულებო დოკუმენტი გადაეცემა იმის გამო, რომ შეუძლებელია ბანკის მეშვეობით გადახდევინების მოხდენა მოვალის ანგარიშზე სახსრების უქონლობის გამო და ამიტომ საჭიროა გადახდევინება მიიქცეს მოვალის ქონებაზე, სასამართლოს აღმასრულებელი აღძრავს საკითხს სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ ორგანოს წინაშე, ამ სააღსრულებო

---

[1] იხ. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისერიატის, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1946 წ. 14 თებერვლის ინსტრუქცია „დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის იმ სახსრებზე გადახდევინების მიქცევის წესის შესახებ, რომლებიც იმყოფება სახელმწიფო ბანკში“, 79 გვერდი.

[2] იმ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრულ საქმეებზე გადახდევინების დროს, რომელთა ანგარიშსწორების ანგარიშები წარმოებენ სახელმწიფო ბანკის ერთქალაქურ დაწესებულებაში სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია სააღსრულებო დოკუმენტი მიიღოს თავის წარმოებაში, უკეთუ საღსრულებო დოკუმენტის თანხა 250 მანეთზე ნაკლებია (სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის 1940 წ. 16 სექტემბრის № 578 წერილი).

დოკუმენტის აღსრულების წესის შესახებ და ამასთან სიტყვას მიეთითოს მას, სახელდობრ, მოვალის რომელ ქონებაზე უნდა მიექცეს გადახდევინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. იმ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ... წაყენებულია სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართ; გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას როგორც ფულად სახსრებზე, ასევე სხვა ქონებაზედაც, მათ შორის დამხმარე საწარმოს ქონებაზედაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, და მოვალის ფილიალის (განყოფილების, კანტორის და ა. შ.) ქონებაზედაც გარდა იმ ქონებისა, რაც აღნიშნულია ამ ინსტრუქციის 26 მუხლში.

„გადახდევინების მიქცევა კოლმეურნეობის მიმდინარე ან გარიშზე დაიშვება მხოლოდ იმ თანხის 70%-ის ფარგლებში, რაც ანგარიშზე ირიცხება გადახდევინების დღეს, ხოლო, უკეთუ ეს საკმარისი არ არის ვალის დასაფარავად—კოლმეურნეობის ანგარიშზე შემდგომ შემოსული თანხების არა უმეტეს 70%-ის ფარგლებში, დავალიანების მთლად დაფარვამდე“.

26. სახელმწიფო დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან გადახდევინებისას, არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა:

ა) იმ ქონებაზე, რაც ჩამოთვლილია რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლში და სხვა მოკავშირე რეს პუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებში[1];

ბ) სხვა ქონებაზე—თანახმად იმ ნუსხისა, რაც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

27. უკეთუ დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია, რომლისგანაც გადახდევინება უნდა მოხდეს ლიკვიდაციის მდგომარეობაში იმყოფება, საალსრულებო მოქმედება არ

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სასამართ. კოდ. 22 მუხლი.

დაიწყება, ხოლო უკეთუ ის დაწყებულია — შეწყდება, და სააღსრულებო დოკუმენტს სასამართლოს აღმასრულებელი გადაგზავნის სალიკვიდაციო კომისიაში გადახდევინების ... ვიდაციო წესით დასაკმაყოფილებლად. სააღსრ... კუმენტის გადაგზავნა უნდა ეცნობოს გადამხდევინებელს.

28. გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტით სახელმწიფო დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან ცალკეულ მოქალაქეთა სასარგებლოდ წარმოებს მხოლოდ სასამართლოს აღმასრულებლის მიერ.

სასამართლოს აღმასრულებელი უგზავნის მოვალეს შეტყობინებას აღსრულების ვადის აღნიშვნით შესაბამისად რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 285 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლებისა[1].

(სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანება № 12, 1956 წ. 29 მარტის).

29. სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისაგან გადახდევინება ყველა სააღსრულებო დოკუმენტით წარმოებს ამ დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის ასიგნობათა ხარჯზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ინსტრუქციით დადგენილი წესისამებრ[2].

ამ მუხლით დადგენილი გადახდევინების წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი და-

---

[1] იხ. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელწიფო არბიტრაჟის 1946 წლ. 14 თებერვლის ინსტრუქცია „დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის იმ სახსრებზე გადახდევინების მიქცევის წესის შესახებ, რომლებიც იმყოფება სახელმწიფო ბანკში“, 79 გვერდი.

[2]. საქ. სსო სამოქ. სამ. კოდ. 334 მუხ.

წესებულების სპეციალურ და სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრებზე, საბიუჯეტო დაწესებულებისაგან ამ სახსრების ხარჯზე გადახდევინება წარმოებს საერთო წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ქონებაზე, რაც ეკუთვნის, სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას, გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტით არ მიიქცევა.

30. უკეთუ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავს არიდებს სააღსრულებო დოკუმენტში მოხსენებულ მოთხოვნათა შესრულებას, სასამართლოს აღმასრულებელი ამის შესახებ შეადგენს აქტს და გადაუგზავნის სახალხო მოსამართლეს საჭირო ზომების მისაღებად.

ხოლო თუ ადგილი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდებას, სახალხო მოსამართლე დამნაშავეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემს.

გადახდევინების მიქცევა ქონებაზე

31. მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა წარმოებს ქონებაზე ყადაღის დადებით, მისი დაბეჭდით და გაყიდვით.

ყადაღა დაიდება ქონების აღწერის აქტის შედგენით და მოვალისათვის გამოცხადებით, რომ ეკრძალება ამ ქონების განკარგვა.

32, ყადაღის დადება და გადახდევინების მიქცევა იმ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის უცხო სახელმწიფოს, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინასწარი ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში, რის შესახებ სათანადო სასამართლო შუამდგომლობას აღძრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით.

33. ქონების კონფისკაციის ნაწილში სასამართლოს განაჩენის აღსრულების დროს, სასამართლოს აღმასრულებელი გამოიძახებს სათანადო საფინანსო ორგანოს (რაიფინგანის,

ქალაქის ფინგანის) წარმომადგენელს, რომლის თანდასწ-
რებით დაადებს ყადაღას მსჯავრდადებულის ქონებას და
ამ ქონებას, აღწერილობის მიხედვით გადასცემს სარეალიზა-
ციოდ ამავე **წარმომადგენელს** (1952 წ. 16 აგვისტოს № 81.
ბრძანების რედაქციით).

ქონების აღწერილობის აქტს ასლთან ერთად სასამართლო
აღმასრულებელი გადასცემს საფინანსო ორგანოს წარმომად-
გენელს საფუძვლად კონფისკაციისათვის (განაჩენის ასლს,
დადგენილებას ან ამ დოკუმენტების ასლს).

[სსრკ იუსტიციის მინისტრის 1956 წ. 12 აპრილის № 19
ბრძანება.]

მსჯავრდადებულის წილი გლეხური კომლის ქონებაში,
რომელიც კონფისკებულ უნდა იქნას, განისაზღვრება ამ ინ-
სტრუქციის 51 მუხლის მიხედვით.

ასლს სახალხო სასამართლოს დადგენილებისა, გლეხური
კომლის ქონებაში მსჯავრადდებულის იმ წილის განსაზღვრის
შესახებ, რომელიც კონფისკებულ უნდა იქნას, სასამართლოს
აღმასრულებელი გადაუგზავნის ქონების აღწერილობასთან
ერთად სათანადო საფინანსო ორგანოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელს
ერთდროულად აქვს სააღსრულებო წარმოება მსჯავრდადე-
ბულის ქონების კონფისკაციის შესახებ და აგრეთვე მისგან
სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობით
მიყენებული ზიანის საზღაურის გადახდევინებისა და სხვა
პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ, მსჯავრდადებულის
ქონებიდან პირველ რიგში გადაიხდევინება თანხები მტაცებ-
ლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და სხვა პრე-
ტენზიების დასაკმაყოფილებლად, უკეთუ ეს პრეტენზიები
წარმოიშვნენ საგამომძიებლო ან სასამართლო ორგანოების
მიერ ქონებაზე ყადაღის დადებამდე.

34. ქონების აღწერა წარმოებს მოვალის ან მისი წარმო-
მადგენლისა და ერთი მოწმის თანდასწრებით. იმ შემთხვე-
ვაში, როდესაც აღწერას არ ესწრება მოვალე ან მისი წარ-
მომადგენელი, აღწერა ჩატარდება მოვალის ოჯახის რომე-

ლიმე სრულწლოვანი წევრის თანდასწრებით, ხოლო, უკეთუ არც ეს პირი ესწრება—სახლთმმართველობის წარმომადგენლის თანდასწრებით, სოფელ ადგილას კი – სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მჯავრდადებულის ქონების აღწერა ხდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობითა და დანაკლისით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, აღწერას, როგორც წესი, უნდა დაესწროს აგრეთვე დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენელიც. (1952 წ. 16 აგვისტოს № 81 ბრძანების რედაქციით).

35. სასამართლოს აღმასრულებელს, რომელიც აღწერას ახდენს, უფლება აქვს შევიდეს ყველა სადგომში, რაც მოვალას ან მის ქონებას უკავია, და დაათვალიეროს მოვალის ყველა საცავი (სკივრი, კამოდი, კარადა და ა. შ.)

სასამართლოს აღმასრულებელს უფლება არა აქვს მოახდინოს მოვალის პირადი გაჩხრეკა.

36. ქონებას, რომელიც იმყოფება იმ სადგომში, რაც მოვალეს უკავია სხვა პირებთან ერთად, ყადაღა არ დაედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი სხვა პირს ეკუთვნის,

37. უკეთუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების დროს მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებას ამ ქონებაზე, ქონება მაინც შეიტანება აღწერილობაში, ხოლო მესამე პირის პრეტენზია აღინიშნება აღწერილობაში. ქონების კუთვნილების საკითხი გადაწყდება სასამართლოს მიერ, დაინტერესებული პირის სარჩელით.

38. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე უარს იტყვის სასამართლოს აღმასრულებლის შეშვებაზე იმ სადგომში, რომელიც მოვალეს ან მის ქონებას უკავია, ანდა უარს იტყვის საცავის გაღებაზე, სასამართლოს აღმასრულებელი მოიწვევს მილიციის ან ადგილობრივი (სოფლის, დაბის) საბჭოს წარმომადგენელს, რომლის თანდასწრებით შეადგენს აქტს მოვალის უარისთქმის შესახებ, გააღებს სადგომს და საცავს და

შეადგენს ქონების აღწერილობას ამ ინსტრუქციის 39 და 40 მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

39. ქონების აღწერის აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) იმ სასამართლოს სახელწოდება, რომელთანაც სასამართლოს აღმასრულებელი არის განწესებული და ... სასამართლოს აღმასრულებლის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) აღწერილობის შედგენის დრო და ადგილი;

გ) აღწერის საფუძველი (სასიმართლოს გადაწყვეტილება და ა. შ.);

დ) გადამხდევინებლისა და მოვალის სახელწოდება;

ე) აღწერილობაში შეტანილი თვითეული საგნის ზუსტი დასახელება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში—საგნის განსაკუთრებული ნიშნები, მისი წესიერ მდგომარეობაში ყოფნა, გაცვეთილობა და ა. შ.;

ვ) თვითეული აღწერილი საგნის შეფასება;

ზ) შემნახველის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი მუშაობის ადგილი და საცხოვრებელი ადგილი;

თ) იმ პირთა გვარი, სახელი და მამის სახელი, რომლებიც აღწერას დაესწრნენ;

ი) იმის განმარტება მოვალისთვის, თუ რა წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედება, რა მოვალეობა ეკისრება მოვალესა და შემნახველს ქონების შენახვის საქმეში და რა პასუხისმგებლობა არის გათვალისწინებული შესანახად გადაცემული ქონების განზრახ გაფუჭებისათვის, გაფლანგვისათვის;

კ) როდის იქნება ჩამორთმეული ქონება (ამ ინსტრუქციის 63 მუხლით);

ლ) მხარეთა და აღწერის დამსწრე პირთა შენიშვნები და საჩივრები აღწერილობის არასწორად შედგენაზე და სასამართლოს აღმასრულებლის დასკვნა ამ შენიშვნებისა და საჩივრების გამო;

მ) ხელის მოწერა სასამართლოს აღმასრულებლისა, მო-

F.X.845

ვალისა, ქონების შემნახველისა და აღწერილობის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირებისა.

40. ქონების აღწერის აქტი შედგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი დარჩება სასამართლოს აღმასრულებლის წარმოებაში, ხოლო მეორე მიეცემა მოვალეს ხელწერილ-ქვეშ, რაც გაკეთდება აქტის პირველ ეგზემპლარზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება შესანახად გადაეცემა არა მოვალეს, არამედ სხვა პირს (45 მუხლი), და აგრეთვე ქონების კონფისკაციის დროს, ქონების აღწერის აქტი შედგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჩაბარდება შემნახველს.

41. აღწერა შეიძლება მოვალის ყოველი ქონებისა, გარდა იმ ქონებისა, რომელზედაც კანონის თანახმად გადახდევინების მიქცევა არ დაიშვება.

უნდა აიწეროს მოვალის ქონება მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სააღსრულებო დოკუმენტში აღნიშნულ დავალიანებისა და აღსრულებაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად.

42. ქონების აღწერის დროს მოვალეს უფლება აქვს განუცხადოს სასამართლოს აღმასრულებელს, მისი სურვილით რა საგანზე უნდა იქნას პირველ რიგში გადახდევინება მიქცეული. სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა დააკმაყოფილოს მოვალის განცხადება, უკეთუ ეს გადაწყვეტილების აღსრულებას არ დააბრკოლებს.

აღწერასთან ერთად სასამართლოს აღმასრულებელი მოახდენს აღწერილი ქონების შეფასებას სახელმწიფო ვაჭრობის ფასების მიხედვით. უკეთუ მხარენი განაცხადებენ, რომ სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ქონება სწორად არ არის შეფასებული, სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია მოიწვიოს მცოდნე პირი (ექსპერტი), რომელსაც გასამრჯელო მიეცემა ამ ინსტრუქციის 22 მუხლის წესისამებრ (რსფსრ სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსის 279 მუხლი

და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები)[1]

43. აღწერილობაში შეტანილი სასოფლო სამეურნეო ... დუქცია, პირუტყვი და ფრინველი შეფასდება მ... გილას არსებული საბაზრო ფასების მიხედვით.

შენობა შეფასდება საინვენტარიზაციო ან სადაზღვევო შეფასების მიხედვით.

44. უკეთუ გადახდევინების მოხდენის დროს მოვალეს აღწერილი ექნა: ოქრო, ვერცხლი, პლატინა ნაკეთობად, ნატეხად, ზოდებად და მონეტად, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, უცხო ქვეყნის ვალუტა, ფასიანი ქაღალდები და სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, ეს ფასეულობანი, მათი აღწერილობაში შეტანის შემდეგ, სასამართლოს აღძასრულებელმა უნდა ჩამოართვას მოვალეს, აღწერის აქტში ამის შესახებ აღნიშვნის გაკეთებით და 24 საათის განმავლობაში შესანახად ჩააბაროს სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას. ამ ფასეულობათა შესანახად ჩაბარების შესახებ მოვალეს მიეცემა ქვითრის ასლი (რსფსრ სამოქალაქო სამართალის საპროცესო კოდექსის 300 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები[2]).

45. აღწერილი ქონება შესანახად გადაეცემა მოვალეს. იმ შემთხვევაში, უკეთუ მოვალე უარს იტყვის, ან სხვაგან იქნება, ანდა, უკეთუ არის ისეთი გარემოება, რის გამოც არ შეიძლება მოვალეს მიენდოს ქონების შენახვა, სასამართლოს აღმასრულებელი შემნახველად სხვა პირს დანიშნავს.

სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია შემნახველად დანიშნოს სხვა პირი გადამხდევინებლის თხოვნითაც, უკეთუ იგი ამ თხოვნას პატივსადებად სცნობს.

46. მოვალეს, რომელსაც აღწერილი მისი ქონება შესანახად ჩაბარდა, შეუძლია იხმაროს იგი.

---

[1] საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 327 მუხლი.

[2] საქ. სსრ სამოქ. სამ. საპ. კოდ. 350.

სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია აკრძალოს ამ ქონების ხმარება, უკეთუ შესანახი ქონების თვისების და მიხედვით ხმარებას შეუძლია გამოიწვიოს მისი ღირებულების შემცირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასაცმელი ნივთების ხმარება აკრძალულია.

47. უკეთუ აღწერილი ქონება შესანახად ჩაბარდა არა მოვალეს ან მისი ოჯახის წევრს, არამედ სხვა პირს, შემნახველს უფლება აქვს ქონების შენახვისათვის მიიღოს გასამრჯელო მოვალის ხარჯზე ამ ინსტრუქციაზე თანდართული ნიხრის მიხედვით, და გარდა ამისა უფლება აქვს მიიღოს მისთვის გადაცემული ქონების შენახვაზე მის მიერ ფაქტიურად გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება.

48. გადამხდევინებლის მოთხოვნით სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია დაბეჭდოს აღწერილი საგნები, რაც უნდა აღნიშნოს აღწერის აქტში.

49. აღწერილი ქონების შესანახად გადაცემის დროს სასამართლოს აღმასრულებელი გააფრთხილებს მოვალეს ან შემნახველს, რომ იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით იმ ქონების დაცვაზე, რაც მას შესანახად გადაეცა.

50. სააღსრულებო დოკუმენტით მოქალაქისაგან გადახდევინების დროს, სასამართლოს აღმასრულებელს არ შეუძლია გადახდევინება მიაქციოს იმ ქონებაზე, რაც ჩამოთვლილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ დადგენლ ნუსხაში.

50-ა. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წ. 16 თებერვლის დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრებული 1933 წ. № 13, მუხლი 76) შესაბამისად, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოსა და დაწესებულებისათვის გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას მსჯავრდადებულის ყველა ქონებაზე.

გადახდევინება არ უნდა მიიქცეს მხოლოდ მსჯავრდადებულისა და მის კმაყოფაზე მყოფ პირთათვის აუცილებლად

საჭირო ტანსაცმელზე, თეთრეულზე, ფეხსაცმელზე და სარ-
ჯახო საჭიროების საგნებზე.

51. როდესაც გადახდევინება წარმოებს გლეხური კომ-
ლის წევრისაგან, განურჩევლად იმისა საკოლმეურნეო ... ერთპიროვნული კომლის წევრია ის, და ამასთან აღმასრუ-
ლებელი ფურცლის მიხედვით დავალიანება შეეხება მის პი-
რად ვალს, გადახდევინება შეიძლება მიექცეს როგორც იმ
ქონებაზე, რომელიც მას პირადად ეკუთვნის, ასევე მის წილ-
ზედაც გლეხური კომლის ქონებაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხური კომლის წევრის და-
ვალიანება წარმოშობილია მთელი კომლის საჭიროებაზე გა-
წეული ხარჯებისაგან, გადახდევინება მიექცევა მთელი კომ-
ლის ქონებაზე.

როდესაც გლეხური კომლის წევრის პირადი ვალის გა-
დახდევინება წარმოებს, მის წილს კომლის ქონებაში სასამართ-
ლო განსაზღვრავს სასამართლოს აღმასრულებლის წარდ-
გენით. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი სასამართლოს წა-
რუდგენს მთელი კომლის აღწერილობას ამ ინსტრუქციის 50
მუხლის წესისამებრ.

51-ა. სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 10
აგვისტოს დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრებული 1927 წ.
№ 51 მუხლი 507) 2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო, კო-
ოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების
გაფლანგვით, მტაცებლობითა და მითვისებით მიყენებული
ზიანის გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას არა მარტო
მსჯავრდადებულის პირად ქონებაზე და მის წილზე საერთო
ქონებაში, არამედ მთელ იმ ქონებაზედაც, რომელსაც მსჯავრ-
დადებული ფლობს სხვა პირებთან ერთად (მათ შორის სა-
კოლმეურნეო კომლის საერთო ქონებაზე, რომლის შემადგენ-
ლობასაც მსჯავრდადებული ეკუთვნის და ცოლ-ქმრის საერ-
თო ქონებაზე), უკეთუ:

ა) სასამართლოში გამოირკვა, რომ საერთო ქონება გა-
დიდდა ბოროტმოქმედების შედეგად და

ბ) უკეთუ გაფლანგვის, მითვისების ან მტაცებლობის ბადენის მომენტსა და სისხლის სამართლის დევნის აღძვრის მომენტს შორის განვლო დრომ არა უმეტეს ორ [illegible]

საერთო ქონებაზე გადახდევინების მიქცევა [illegible] შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს სათანადოდ არის აღნიშნული სასამართლოს განაჩენში ან გადაწყვეტილებაში.

გადახდევინების მიქცევა სამუშაო ხელფასზე

52. გადახდევინების მიქცევა სამუშაო ხელფასზე, დახმარებაზე სოციალური დაზღვევის სახით, პენსიაზე, საავტორო ჰონორარზე და გასამრჯელოზე გამოგონებისა და ტექნიკური გაუმჯობესებისათვის, და აგრეთვე კოლმეურნეთა მიერ შრომადღეებით მიღებულ შემოსავალზე, მათ შორის ავანსებზედაც, წარმოებს რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 289 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად[1].

53. გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნას:

ა) კომპენსაციაზე ხელსაწყოს ამორტიზაციისა, ტანისამოსის გაცვეთისა და ე. შ.;

ბ) გამოსასვლელ დახმარებაზე;

გ) სახელმწიფო დახმარებაზე მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის.

54. მოვალის სამუშაო ხელფასზე გადახდევინების მიქცევისას სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეს გაუგზავნის უწყებას და ამავე დროს სააღსრულებო დოკუმენტს გადაგზავნის იმ დაწესებულებაში, საწარმოში, ან ორგანიზაციაში, სადაც მოვალე მუშაობს; სააღსრულებო დოკუმენტთან ერთად გაიგზავნება შეტყობინება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით (დანართი, ფორმა № 5).

---

[1] საქ. სსრ სამო ქ. სამართ. საპრ. 339 მუხ. იხ. დანართი 91 გვერდზე

დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში საალ-
სრულებო დოკუმენტის გადაგზავნის შესახებ სასამართლოს
აღმასრულებელი აცნობებს გადამხდევინებელს.

უკეთუ მოვალე შრომის უნარის დაკარგვის გამო სოციალ-
ური დაზღვევის ორგანებისაგან იღებს დროებითი შრომის
უუნარობის დახმარებას, საწარმო ან ორგანიზაცია, აღმას-
რულებელი ფურცლის გადაუცემლად, გაუგზავნის მოთხოვ-
ნას საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს დროებითი შრომისუ-
უნარობის დახმარებიდან სათანადო თანხის დაკავების შესა-
ხებ, და შემდეგ დაკავებულ ფულს დაწესებულება ან საწარ-
მო გადაუგზავნის გადამხდევინებელს.

55. ყველა საღასრულებო დოკუმენტი, რომელიც გადა-
ეცემა დაწესებულებას, საწარმოსა და ორგანიზაციას მოვა-
ლის მიერ გადასახდელი თანხის მისი სამუშაო ხელფასიდან
დასაკავებლად, სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა აიღოს
განსაკუთრებულ აღრიცხვაზე. სასამართლოს აღმასრულებელი
მოვალეა პერიოდულად, უშუალოდ ადგილზე შეამოწმოს და-
კავების სისწორე და აღმოფხვრას მის მიერ გამოვლინებული
ნაკლოვანებანი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ
ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას, მან ამის შესახებ უნდა
შეადგინოს აქტი და გადასცეს მოსამართლეს დამნაშავეთა
პასუხისგებაში მისაცემად.

ასეთი შემოწმება იმ აღმასრულებელი ფურცლებისა, რომ-
ლებითაც ალიმენტებია გადასახდევინებელი, სასამართლოს აღ-
მასრულებელმა უნდა მოახდინოს სულ ცოტა ერთჯერ მაინც
კვარტალში.

როდესაც გამოირკვევა, რომ საალიმენტო საქმეებზე გა-
დაწყვეტილება არ სრულდება, მოვალის საშუალო ხელფასი-
დან დაკავება თავის დროზე არ წარმოებს, ბუღალტერიამ
დაკარგა აღმასრულებელი ფურცელი, დაკავებული თანხა
გახარჯულია სხვა საჭიროებისათვის, და აგრეთვე იმ შემ-
თხვევაში, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელს არ გადა-

ეგზავნა ცნობები მოვალის მისამართის შეცვლისა და მისი სამუშაო ხელფასის შესახებ—სასამართლოს აღმასრულებელი დასვამს საკითხს სასამართლოს წინაშე რსფსრ, ხმოკავშირეთ სამართლის საპროცესო **კოდექსის 291 მუხლის** [illegible] კავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების[1] გამოყენების შესახებ.

საჩივარს დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის ადმინისტრაციის არასწორ მოქმედებაზე სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების საქმეში, მოვალე ან გადამხდევინებელი შეიტანს სასამართლოს აღმასრულებელთან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ის დაწესებულება, საწარმოო ან ორგანიზაცია იმყოფება, რომელიც დაკავებას აწარმოებს. სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა სამი დღის ვადაში შეამოწმოს საჩივარი და მიიღოს ზომები, რომ გადახდევინება სწორად წარმოებდეს[2].

56. მოვალის სხვა სამუშაოზე გადასვლისას საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია სააღსრულებო დოკუმენტს, მასზე გადახდილი თანხის რაოდენობისა და მოვალის ახალი სამუშაო ადგილის აღნიშვნით, დაუბრუნებს სასამართლოს აღმასრულებელს.

სასამართლოს აღმასრულებელი სააღსრულებო დოკუმენტს გადაუგზავნის სასამართლოს, მოვალის ახალი სამუშაო ადგილის მიხედვით, შემდგომი **გადახდევინების საწარმოებლად.**

57. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე სამსახურიდან წავა და მისი საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის, სააღსრულებო დოკუმენტი, წარწერით დაკავებული თანხის შესახებ, დაუბრუნდება სასამართლოს აღმასრულებელს.

იმ სააღსრულებო დოკუმენტს, რომლითაც გადახდევინება დამთავრდა, დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია,

---

[1] საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. **341. მუხ.**

[2] იხ. სსრ კავშირის იუსტსახკომის 1940 წ. 2 თებერვლის № 10 ბრძანება. 98 გვერდი.

რომელიც გადახდევინებას აწარმოებდა დაუბრუნებს სასამართლოს აღმასრულებელს და თანაც დოკუმენტზე აღნიშნავს, რომ გადახდევინება მთლიანად არის დამთავრებული. ... ვნას ხელს მოაწერს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი ... ვარი ბუღალტერი.

57-ა აღმასრულებელი ფურცლის მოპასუხის ახალი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადაგზავნის ან აღმასრულებელი ფურცლის გადამხდევინებლისათვის დაბრუნების შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია შეამოწმოს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ბუხჰალტერიის მიერ გრაფა № 7 შეტანილი ცნობების სისწორე და აღმასრულებელი ფურცლის მეორე მხარეს გრაფა № 8 დაადასტუროს ხელის მოწერით და სასამართლოს ბეჭდის დასმით.

(სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1954 წ. 24 თებერვლის ბრძანება № 17).

გადახდევინების მიქცევის წესი მოვალის იმ ქონებაზე, რაც მესამე პირთან იმყოფება

58. გადახდევინების მიქცევისას იმ ფულად თანხასა და ქონებაზე, რაც მოვალეს მესამე პირისაგან ერგება, სასამართლოს აღმასრულებელი გაუგზავნის მესამე პირს შეკითხვას, აქვს თუ არა მას მოვალის რაიმე ქონება და ერგება თუ არა მისგან მოვალეს რაიმე თანხა.

შეკითხვაში აღინიშნება:

ა) რომ მისი მიღების მომენტიდან მასთან მყოფი მოვალის ქონებასა და ფულს ყადაღა ედება გადახდევინების თანხის ფარგლებში და,

ბ) რომ ყველა გადასახდელი, რაც მოვალეს ერგება შეტანილი უნდა იქნეს არა მოვალესთან, არამედ გადამხდევინებელთან ან სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშ-

ზე, ვიდრე მთლიანად არ დაიფარება გადასახდევინებელი თანხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ფულად თანხაზე გადახდევინების მიქცევისას, რაც ერგება მოვალეს (დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას) მესამე პირისაგან (ასევე დაწესებულებისა, საწარმოსა ან ორგანიზაციისაგან) და რაც ბანკის მეშვეობით უნდა იქნას გადარიცხული, სასამართლოს აღმასრულებელი ამ მესამე პირს გაუგზავნის შეკითხვას, რა თანხა ერგება მისგან მოვალეს და თანაც წინადადებას მისცემს დაუყოვნებლივ, გადახდის ვადის დადგომისთანავე, გადარიცხოს ეს თანხა მოვალის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მესამე პირისათვის შეკითხვის გაგზავნისთანავე, სასამართლოს აღმასრულებელი გაუგზავნის ბანკს შეტყობინებას, რომ მოვალის ანგარიშსწორების ანგარიშს ედება ყადაღა და მის ანგარიშსწორების ანგარიშზე შემოსული თანხები გადარიცხულ უნდა იქნეს გადამხდევინებლის ანგარიშზე.

59. უკეთუ მესამე პირი სასამართლოს აღმასრულებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოგზავნის ცნობას მასთან მყოფ მოვალის ქონების ან იმ ფულადი თანხის შესახებ, რაც მისგან მოვალეს ერგება, სასამართლოს აღმასრულებელი მიმართავს სასამართლოს წარდგენით დამნაშავეე პირზე ჯარიმის დადების შესახებ.

60. სასამართლოს აღმასრულებელი, მიიღებს რა პასუხს, რომ მესამე პირთან იმყოფება ქონება, მოახდენს მოვალის აღნიშნული ქონების აღწერას. ქონების ჩამორთმევა დაინიშნება იმ პირობების მიხედვით, რა პირობებითაც ეს ქონება მესამე პირთან იმყოფებოდა.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონება იმყოფება სახელმწიფო დაწესებულებასთან ან საწარმოსთან, სასამართლოს აღმასრულებელი აღწერას არ მოახდენს. ამ შემთხვევაში ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ იმ მომენტიდან,

როდესაც ეს ქონება უნდა გადაცემულიყო მოვალის განკარგულებაში.

61. საკრედიტო დაწესებულებაში დაგირავებულ ქონებაზე გადახდევინება შეიძლება მიიქცეს იმ პრეტენზიით, რომელიც გირაოთი უზრუნველყოფილი არ არის. ამ შეთხვევაში პრეტენზია დაკმაყოფილდება რიგისობის წესისამებრ.

62. იმ ანაბარზე ყადაღის დადება და გადახდეინების მიქცევა, რომელიც სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროშია, დაიშვება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს დადგენილებით.

აღწერილი ქონების გაყიდვა

63. აღწერილი ქონების გაყიდვა წარმოებს საკომისიო წესით სახელმწიფო ან კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციის მეშვეობით, რომელიც მოვალეა მიიღოს ეს ქონება შეფასებითი ღირებულებით.

აღწერილი ქონების გასაყიდად გადაცემა მოხდება არა უადრეს 5 დღისა და არა უგვიანეს 1 თვისა აღწერილობის შედგენის დღიდან. აღეწერილი ქონების გასაყიდად გადაცემის ზუსტ ვადას დანიშნავს სასამართლოს აღმასრულებელი.

64. ქონების გაყიდვით მიღებულ ფულს სავაჭრო ორგანიზაცია შეიტანს სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე სამი დღის ვადაში დღიდან ქონების გაყიდვისა.

ქონების გაყიდვით მიღებული თანხიდან სავაჭრო ორგანიზაცია თავის სასარგებლოდ დაიტოვებს გასამრჯელოს იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 13 ოქტომბრის დადგენილებით (სსრ კავშირის კან. კრებული, № 55. მუხლი 435).

65. უკეთუ სავაჭრო ორგანიზაცია ერთი თვის განმავლობაში ვერ გაყიდის მისთვის სარეალიზაციოდ გადაცემულ

ქონებას, მას შეუძლია მოთხოვოს სასამართლოს აღმასრულებელს ქონების გადაფასება.

ამ შემთხვევაში სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია სამი დღის განმავლობაში მოახდინოს ქონების გადაფასება მოვალისა და იმ სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელსაც გადასაფასებელი ქონება სარეალიზაციოდ გადაეცა.

მოვალის ან სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლის გაძოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ აღწერილი ქონების გადაფასებას.

უკეთუ ქონება მისი გადაფასების შემდეგ ვერ გაიყიდა ორი თვის განმავლობაში, გადამხდევინებელს უფლება ეძლევა დაინარჩუნოს ეს ქონება გადაფასების თანხის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდევინებელი უარს იტყვის ქონების დანარჩუნებაზე, იგი დაუბრუნდება მოვალეს, ხოლო სააღსრულებო დოკუმენტი—გადამხდევინებელს.

66. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირუტყვისა და ფრინველის რეალიზაცია წარმოებს საკომისიო წესით, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების საშუალებით. (სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანებულება № 41, 1954 წ. 7 ივნისი).

67. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი აღწერილობაში ნაჩვენები შეფასების მიხედვით გადაეცემა აღწერილი ქონების სამყოფელი ადგილის უახლოეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს ან სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, უკეთუ ისინი ამის თანახმა იქნებიან.

68. ოქრო, პლატინა, ვერცხლი, და აგრეთვე ძვირფასი ქვები გადაეცემა სახელმწიფო საწარმოებს ან სავაჭრო ორგანიზაციებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების მითითებით, ამ საწარმოთა შესასყიდ ფასებში.

გადახდევინების მიქცევა შენობაზე

69. შენობაზე გადახდევინების მიქცევისას სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა მიიღოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილებიდან, ხოლო სოფელ ადგილას—სასოფლო საბჭოდან ცნობა, რომ შენობა მოვალეს ეკუთვნის, გარდა ამისა, კომუნალური განყოფილებიდან უნდა მიიღოს ამონაწერი სარეესტრო წიგნიდან.

ამასთან ერთად სასამართლოს აღმასრულებელი გაუგზავნის სანოტარო ორგანოს, შენობის ადგილმდებარეობის მიხედვით, მოთხოვნას, რომ დაადოს ყადაღა შენობას და წარმოადგინოს ცნობა ამ შენობაზე უკვე წინათ დადებულ ყადაღის შესახებ.

სასამართლოს აღმასრულებელი, დარწმუნდება რა, რომ შენობა მოვალეს ეკუთვნის, გაუგზავნის მოვალეს უწყებას აღსრულების შესახებ და ამავე დროს შეატყობინებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს კომუნალურ განყოფილებას, ხოლო სოფელ ადგილას—სასოფლო საბჭოს, რომ შენობაზე დადებულია ყადაღა გადასახდევინებელი თანხის ფარგლებში.

70. შეტყობინებაში ყადაღის დადების შესახებ უნდა აღინიშნოს:

ა) მოვალის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) ყადაღადასადები შენობის აღნიშვნა და მისი ადგილმდებარეობა (დასახლებული პუნქტი, რაიონი, ქუჩა, სახლის ნომერი);

გ) სააღსრულებო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც წარმოებს გადახდევინება;

დ) იმ ორგანოს სახელწოდება, რომელმაც სააღსრულებო დოკუმენტი გასცა და

ე) გადასახდევინებელი თანხა.

71. შენობის აღწერის აქტში დაწვრილებით უნდა აღინიშნოს:

ა) შენობის ადგილმდებარეობა;

ბ) შენობა მოვალეს მთლიანად ეკუთვნის, თუ მას ეკუთვნის მხოლოდ შენობის განსაზღვრული წილი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) თანამფლობელის სახელწოდება, უკეთუ შენობა ერთობლივი საკუთრებას შეადგენს;

დ) იმ მიწის ნაკვეთის სივრცისა და საზღვრების აღნიშვნა, რაც მოვალის სარგებლობაში არის;

ე) შენობის ღირებულება სადაზღვევო ან საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით;

ვ) სახლფლობელობის შემადგენლობაში შემავალი დამხმარე ნაგებობათა აღწერა.

72. შენობაზე გადახდევინების მიქცევისას, იმისდა მიხედვით, თუ რას უდრის გადასახდევინებელი თანხა, აღწერილობაში შეტანილ უნდა იქნას ან სახლმფლობელობა მთლიანად, ე. ი. ყველა მის შემადგენლობაში შემავალი შენობით, ანდა სახლმფლობელობის ზუსტად განსაზღვრული წილი (მაგალითად, უფლება სახლმფლობელბის ნახევარზე, უფლება სახლმფლობელობის ერთ მესამედზე და ა. შ.) აღწერილობაში არ შეიძლება შეტანილ იქნას შენობის განსაზღვრული ნაწილი. მაგალითად, ორი ოთახი, ერთი სართული ან ცალკეული შენობები, რომლებიც ერთ საეზოვე ნაკვეთზე მდებარეობენ.

73. აღწერილი შენობა გადაეცემა კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს იმ შეფასების მიხედვით, რაც აღწერილობაში არის აღნიშნული. უკეთუ კომუნალური მეურნეობის ორგანოები უარს იტყვიან მიიღონ შენობა ამ შეფასებით (პასუხი უარის თქმის შესახებ უნდა ეცნობოს სასამართლოს აღმასრულებელს წერილობით), შენობა გადაეცემა ამავე პირობებით სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციას. უკეთუ აღნიშნული ორგანიზაციები აგრეთვე უარს იტყვიან ამ შენობის შეძენაზე, ეს უკანასკნელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით.

74. საჯარო ვაჭრობის დღესა და ადგილს სასამართლოს აღმასრულებელი აუწყებს მოსახლეობას არა უგვიანეს სამი დღისა საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე, ადგილობრივ ვაჭრებში განცხადების გამოქვეყნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ შენობა დაგირავებულია, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა საჯარო ვაჭრობის დღე აცნობოს მოგირავნეს.

75. განცხადებაში საჯარო ვაჭრობის დანიშვნის შესახებ უნდა აღინიშნოს:

ა) შენობის დასახელება, მისი შეფასება (მაგალითად, ხის ორსართულიანი სახლი და ა. შ.), ვის ეკუთვნის შენობა, სად მდებარეობს;

ბ) სად და როდის მოხდება საჯარო ვაჭრობა.

76. ის პირი, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში მოვალეა:

ა) წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს კომუნალური განყოფილების ცნობა, რომ არავითარი დაბრკოლება არ ეღობება მის მიერ შენობის შეძენას (რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 182 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსთა სათანადო მუხლები[1]);

ბ) მისცეს ხელწერილი, რომ არც ის, არც მისი მეუღლე, არც მისი არასრულწლოვანი შვილები არ ფლობენ შენობას სხვა რომელიმე ადგილას სსრ კავშირში;

გ) შეიტანოს სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე საწინდარი შენობის შეფასების 10 %-ის რაოდენობით.

77. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები;

ბ) სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ადგილობრივი ორგანოების მუშაკები და

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. კოდ. 182 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები.

78. შენობის გაყიდვა საჯარო ვაჭრობით დანიშნავს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შეფასებითი ფასის ცხადებით.

შენობა გაყიდულად ჩაითვლება იმ პირზე ან ორგანიზაციაზე, რომელმაც ყველაზე მაღალი ფასი შეაძლია.

79. საჯარო ვაჭრობის ჩატარების შესახებ სასამართლოს აღმასრულებელი შეადგენს აქტს, რომელშიაც აღნიშნავს: ვის მიერ, როდის და სად ჩატარდა საჯარო ვაჭრობა, გასაყიდი შენობის ნუსხას, საჯარო ვაჭრობაზე შეძლეულ ყველაზე მაღალ ფასს, მყიდველის სახელსა და გვარს, მის მისამართს და თანხას, რაც მყიდველმა შეიტანა ნაყიდი შენობისათვის.

80. საჯარო ვაჭრობით ნაყიდი შენობის ღირებულობის თანხა მყიდველმა მთლიანად უნდა შეიტანოს არა უგვიანეს ხუთი დღისა საჯარო ვაჭრობის დამთავრების დღიდან.

საწინდარი, შეტანილი იმ პირის მიერ, ვისაც გაყიდული შენობა დარჩა, ჩაირიცხება ნასყიდობის თანხის ანგარიშში. საჯარო ვაჭრობის სხვა მონაწილეთ საწინდარი დაუბრუნდებათ დაუყოვნებლივ, ვაჭრობის დამთავრებისთანავე.

81. უკეთუ შენობის მყიდველი დაწესებულ ვადაში არ შეიტანს მთლიანად მის მიერ გადასახდელ თანხას, შეტანილი საწინდარი და ბე მას არ დაუბრუნდება და ის ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში.

მყიდველის მიერ შეტანილი საწინდარი და ბე იმ შემთხვევაშიც სახელმწიფოს შემოსავალში შედის, როდესაც გამოირკვა, რომ მყიდველი უკანონოდ იღებდა მონაწილეობას საჯარო ვაჭრობაში ან არ ჰქონდა უფლება შეეძინა შენობა.

82. შენობის მყიდველის მიერ მთელი თანხის შეტანის შემდეგ, სასამართლოს აღმასრულებელი მყიდველს გადასცემს შემდგარი საჯარო ვაჭრობის შესახებ აქტის ასლს. ამ აქტის ასლი მყიდველმა აუცილებლად უნდა წარადგინოს კო-

მუნალურ განყოფილებაში ან სასოფლო საბჭოში რეგისტრაციაში გასატარებლად.

83. საჯარო ვაჭრობა შემდგარად არ ჩაითვლება:

ა) უკეთუ საჯარო ვაჭრობაზე გამოცხადდა ორზე ნაკლები მყიდველი;

ბ) უკეთუ გამოცხადებულთაგან არავინ არაფერი წაუმატა შეფასებას;

გ) უკეთუ მყიდველი ვადაზე არ შეიტანს ნასყიდობის ფასის დანარჩენ თანხას.

84. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ვაჭრობა არ შედგა, გადამხდევინებელს შეუძლია ითხოვოს, რომ გასაყიდი შენობა სამი დღის განმავლობაში დაეტოვოს მას აღწერილობაში აღნიშნული შეფასების მიხედვით, მაგრამ ამასთან დაცულ უნდა იქნას ის პირობები, რაც აღნიშნულია ამ ინსტრუქციის 76 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში.

85. უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შედგა და გადამხდევინებელმა არ მოისურვა შენობის დანარჩუნება, სასამართლოს აღმასრულებელი დანიშნავს მეორე საჯარო ვაჭრობას არა უადრეს ხუთი დღისა, იმავე წესის დაცვით, რაც დადგენილია პირველი საჯარო ვაჭრობისათვის. მეორე ვაჭრობა მოხდება ზემოაღნიშნულ წესისამებრ და დაიწყება შეფასების ან პირველი შეძლეული თანხიდან.

86. უკეთუ არც მეორე საჯარო ვაჭრობა შედგა და გადამხდევინებელმა არ მოისურვა შენობის დანარჩუნება, მოსამართლის ნებართვით სასამართლოს აღმასრულებელი ამ შენობას დაუბრუნებს მოვალეს, ხოლო სააღსრულებო დოკუმენტს—გადამხდევინებელს.

გადაწყვეტილების აღსრულება საალიმენტო საქმეზე[1]

87. საალიმენტო საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულება წარმოებს გადახდევინების მიქცევით მუშისა და მოსამსახუ-

---

[1] იხ. დანართი 92 გვერდზე.

რის სამუშაო ხელფასზე, კოლმეურნის შრომადღეებზე, ალ-
ტელის წევრის საშოვარზე და მოვალის სხვა ქონებაზე.

88. სამუშაო ხელფასიდან ალიმენტის გადახდევინების
დროს, სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა იხელმძღვა-
ნელოს ამ ინსტრუქციის 52—57 მუხლებში აღნიშნული წესებით.

ამასთან, გადასახდევინებელი თანხა გამოიანგარიშება გა-
მომდინარე მოვალის იმ სამუშაო ხელფასიდან, რაც მას ერ-
გება იმ გადასახადების დაკავების შემდეგ, რითაც მოპასუხე
სამუშაო ხელფასის მიხედვით არის დაბეგრილი.

89. გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას მოვალის
ყოველივე ქონებაზე, გარდა იმ ქონებისა, რაც კანონში არის
მოხსენებული.

90. ყოველთვიური გადასახდევინებელი თანხის განსა-
ზღვრისას სასამართლოს აღმასრულებელმა მხედველობაში
უნდა იქონიოს შემდეგი:

ა) უკეთუ ალიმენტები მისჯილია პროცენტული შეფარდე-
ბით სამუშაო ხელფასთან, ყოველთვიური გადასახდევინებე-
ლი თანხის გამოანგარიშება უნდა წარმოებდეს მოვალის არა
მარტო ძირითადი სამუშაო ხელფასიდან, არამედ ყველა
მის დამატებითი სახის გასამრჯელოდან შრომის ხელშეკრუ-
ლების მიხედვით, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს შესაბამისად
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის
4 აგვისტოს დადგენილებისა „ბავშვების შესანახად სახსრე-
ბის გადახდევინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესა-
ხებ“ და 1951 წლის 6 აპრილის დადგენილებისა „წელთა
დამსახურების ერთდროული გასამრჯელოდან ბავშვების შე-
სანახად სახსრების გადახდევინების შესახებ“;

ბ) კოლმეურნისაგან ალიმენტის გადახდევინების დროს
სასამართლოს აღმასრულებელი აღმასრულებელ ფურცელს
სათანადო დაკავების მოსახდენად გაუგზავნის იმ კოლმეურ-
ნეობის გამგეობას, სადაც მოვალე მუშაობს;

გ) უკეთუ დედა მუშაობს სხვა კოლმეურნეობაში, მამის
მიერ გამომუშავებული შრომადღეების (პროდუქტების და

ფულის) სათანადო ნაწილს დედის სახელზე გადარიცხავს, იმ კოლმეურნეობის გამგეობა, სადაც მოვალე მუშაობს, შრომადღეების საბოლოოდ გამოთვლის დროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ)ალიმენტების გადახდევინება შეიძლება მ[illegible]ნას სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების მე-16 მუხლის წესისამებრ, კოლმეურნის მიერ მიღებულ ავანსზე;

ე) ალიმენტების გადახდევინება იმ კოლმეურნისაგან, რომელსაც კოლმეურნეობაში შრომადღეების შემოსავალს გარდა აქვს აგრეთვე შემოსავალი გარემუშაობით, ხელოსნობით და ა. შ. წარმოებს როგორც შრომადღეებიდან, აგრეთვე ამ დამატებითი შემოსავლიდანაც.

91. უკეთუ ერთი მოვალისადმი წარდგენილია ალიმენტების გადასახდევინებლად რამდენიმე აღმასრულებელი ფურცელი, რომელთა საერთო ჯამი აღემატება მოვალის ხელფასის 50-%ს, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა გადაახდევინოს მოვალეს მისი ხელფასის მხოლოდ 50% და გადახდევინებული თანხა გაანაწილოს გადამხდევინებელთა შორის თანაბარზომიერად (სსრ კავშირის ცაკისა და სახკომ. საბჭოს 1936 წ. 27 ივნისის დადგენილება—სსრ კავშირის კან. კრებული 1936 წ. № 34, მუხლი 309, პუნქტი 29). შედგენილი გაანგარიშება სასამართლოს აღმასრულებელმა უსათუოდ უნდა წარუდგინოს სახალხო მოსამართლეს დასამტკიცებლად.

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია განუმარტოს მოვალეს, რომ მას უფლება აქვს აღძრას სარჩელი საალიმენტო გადასახდელის ოდენობის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრის შესახებ[1].

92. მიიღებს რა აღმასრულებელ ფურცელს, სასამართლოს აღმასრულებელი დაუყოვნებლივ შეუდგება მის აღსრუ-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წ. 4 აგვისტოს № 14 (10) უ დადგენილება „ბავშვების შესანახად სახსრების გადახდევინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, 92 გვერდი.

ლებას. უკეთუ მოვალის საცხოვრებელი ადგილი და მუშაობის ადგილი ცნობილი არ არის, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა დასვას მოსამართლის წინაშე [illegible] მილიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის [illegible] ხადების შესახებ.

93. მოვალის მუშაობის ადგილის გამორკვევის შემდეგ, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა, არა უგვიანეს მეორე დღისა, გადაგზავნოს იქ აღმასრულებელი ფურცელი, ამასთან დაწვრილებით აღნიშნოს მოვალის სამუშო ხელფასიდან გადახდევინების წესი და გადასახდევინებელი თანხის ოდენობა და მისამართი, სადაც გადახდევინებული თანხა უნდა გადაიგზავნოს.

იმ გადაწყვეტილებების აღსრულება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა განსაზღვრული მოქმედების შესრულება

94. იმ გადაწყვეტილების აღსრულებისას, რომლითაც მოვალეს დაეკისრა განსაზღვრული მოქმედების (კერძოდ, არასწორად დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენა, ბავშვების გადაცემა და ა. შ.) შესრულება, სასამართლოს აღმასრულებელი პირადად ჩააბარებს მოპასუხეს უწყებას სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ იმ ვადაში, რაც გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული.

ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა შეამოწმოს შეასრულა თუ არა მოპასუხემ მისდამი წარდგენილი მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე უარს იტყვის სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე, სასამართლოს აღმასრულებელი ამის შესახებ შეადგენს აქტს და საქმეს გადასცემს სახალხო სასამართლოს, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების აღსრულების წესს.

ბავშვის გადაცემის საქმეზე სასამართლოს აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას აწარმოებს აუცილებლად გადამხდევინებლისა და სამეურვეო ორგანოების წარმომადგენლის მონაწილეობით. ამასთან არავითარ შემთხვევაშს არ დაიშვება რაიმე ძალდატანებითი მოქმედება ბავშვების მიმართ.

გადაწყვეტილების აღსრულება საბინაო საქმეზე

95. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბინიდან გამოსახლებული უნდა იქნას ის პირი, ვინც მოხსენებულია აღმასრულებელ ფურცელში, და აგრეთვე ყველა მასთან მცხოვრები მისი ოჯახის წევრი და მის კმაყოფაზე მყოფი პირი, უკეთუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული, რომ გამოსახლებულ უნდა იქნას მხოლოდ განსაზღვრული პირი (მეუღლე და ა. შ.).

96. გამოსახლება, როგორც წესი, წარმოებს მოპასუხის თანდასწრებით, როდესაც მოპასუხე განზრახ იმალება ან არ ასრულებს სასამართლოს აღმასრულებლის მოთხოვნას სადგომის განთავისუფლების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობით გამოსახლებისათვის მიცემული ვადა გავიდა, სასამართლოს აღმასრულებელი გამოსახლებას მოახდენს იძულებითი წესით მილიციის, სახლთმმართველობის წარმომადგენლის თანდასწრებით, ხოლო სოფელ ადგილას — სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანდასწრებით. იძულებითი გამოსახლების შესახებ სასამართლოს აღმასრულებელი შეადგენს აქტს, რომელსაც ხელს მოაწერენ სასამართლოს აღმასრულებელი, მილიციის, სახლთმმართველობის ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენელი.

97. მოპასუხის დაუსწრებლად იძულებითი გამოსახლების დროს, სასამართლოს აღმასრულებელი, ამ ინსტრუქციის მე-34 მუხლში აღნიშნული წესების დაცვით, მოახდენს იმ ქონების აღწერასა და შეფასებას, რაც იმყოფება გამოსასახლებელი პირის სადგომში. აღწერილი ქონება აღწერილობის ასლთან ერთად შესანახად ჩაბარდება სახლთმმართველობას ან იმ პირს, ვინც ქონების შემნახველად იქნება დანიშნული, ხოლო სადგომი გადაეცემა სახლთმმართველობას ან იმ პირს, რომლის სარგებლობაშიაც ის არის მისჯილი.

98. უკეთუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს სასამართლოს აღმასრულებელს წარუდგენენ იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ მოპასუხე ან მისი ოჯახის წევრი ავად არის,

რაც მათ გამოსახლებას აბრკოლებს, სასამართლოს აღმასრულებელი გამოსახლებას არ მოახდენს და დაუყოვნებლივ ეცნობება საკითხს სასამართლოს წინაშე გამოსახლების ვადის გადადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოსახლებულ პირს საცხოვრებელი ფართობი ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველოს მიერ უნდა მიეცეს, სასამართლოს აღმასრულებელი გაუგზავნის საბინაო სამმართველოს შეტყობინებას, რომელშიაც, აღნიშნავს საცხოვრებელი ფართობის ზომას აღმასრულებელი ფურცლის თანახმად და გადაწყვეტილების აღსრულების ვადას.

უკეთუ დანიშნულ ვადაში საბინაო სამმართველოს მიერ არ იქნება მიცემული მოთხოვნილი საცხოვრებელი ფართობი, სასამართლოს აღმასრულებელი ამის შესახებ შეადგენს აქტს და საქმეს გადასცემს სახალხო სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტს სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების საკითხს.

ფულის ჩაბარება გადამხდევინებლებისათვის და გადახდევინებული თანხის განაწილება მათ შორის

100. ქონების გაყიდვით შემოსული თანხიდან პირველ რიგში დაიფარება გადახდევინების დროს გაწეული ხარჯები, დანარჩენი თანხა მოხმარდება ქონებაზე მიქცეული გადასახდელის გასტუმრებას. გადასახდელის გასტუმრების შემდეგ დარჩენილი ფულადი თანხა მიეცემა მოვალეს.

101. სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე (129 მუხლი) შემოსული ფულადი თანხები გადამხდევინებელს მიეცემა ამ ინსტრუქციის 143 მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ[1].

102. (ამოშლილია).

103. უკეთუ სასამართლოს აღმასრულებლის მიერ გადახ-

---

[1]. იხ. დანართი 120 გვერდზე.

დევინებული თანხა საკმარისი არ არის მოვალეზე მიქცეული ყველა გადახდევინების დასაკმაყოფილებლად, ეს თანხა სასამართლოს აღმასრულებლის მიერ განაწილდება შემდეგნაირად (სსრ კავშირის კან. კრებული 1929 წ. № 11, მუხლი 98, 1932 წ. № 69, მუხლი 410 ბ);

1) პირველ რიგში დაკმაყოფილდება:

ა) მუშისა და მოსამსახურის მოთხოვნა, რაც გამომდინარეობს შრომის კანონმდებლობიდან;

ბ) მოთხოვნა იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მიყენებულია დაშავებით ან სიკვდილით;

გ) მოთხოვნა ალიმენტების შესახებ;

დ) ავტორებისა და საავტორო მოწმობის მქონე გამომგონებლების, აგრეთვე მათი მემკვიდრეების მოთხოვნა იმ პრეტენზიის შესახებ, რაც გამომდინარეობს საავტორო და საგამომგონებლო სამართლის კანონმდებლობიდან;

ე) (ამოშლილია):

ვ) მოთხოვნა სოციალური დაზღვევის ხაზით.

2) მეორე რიგში დაკმაყოფილდება, პირველი რიგის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, მოთხოვნა საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და არასაგადასახადო შემოსავლის დავალიანებისა, რაც უშუალოდ შედის ბიუჯეტში, და აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა მოთხოვნა ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით.

3) მესამე რიგში, პირველი და მეორე რიგის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, დაკმაყოფილდება სახელმწიფო ბანკისა და გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების, მათი საკრედიტო ოპერაციებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რაც უზრუნველყოფილი არ არის გირაოთი.

4) მეოთხე რიგში, პირველი, მეორე და მესამე რიგის ყველა მოთხოვნის მთლიანად დაკმაყოფილების შემდეგ, დაკმაყოფილდება:

ა) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მოთხოვნა, რაც უზრუნველყოფილი არ არის გირაოთი;

ბ) ჯარიმა, რასაც სახელმწიფო ორგანოები ახდევინებენ;

გ) პროფესიული კავშირების მოთხოვნა;

დ) კოოპერაციული ორგანიზაციების მოთხოვნა;

ე) (ამოშლილია);

ვ) კოოპერაციული ორგანიზაციის მიმართ წარდგენილი მისი წევრის მოთხოვნა;

ზ) სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნა;

5) მეხუთე რიგში, ყველა წინა რიგის მოთხოვნათა მთლიანად დაკმაყოფილების შემდეგ, დაკმაყოფილდება ყველა დანარჩენი მოთხოვნა, რაც უზრუნველყოფილი არ არის გირაოთი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კოოპერაციული ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში კოოპერაციული ორგანიზაციის წევრის მოთხოვნა მისთვის საპაიო შენატანის დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიკვიდირებული ორგანიზაციის ყველა ვალი მთლიანად დაფარული ან უზრუნველყოფილი იქნება.

104. როდესაც სასამართლოს აღმასრულებელთან შემოსული თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თანაბარზომიერად, ე. ი. უკეთუ გადახდევინებული თანხიდან ვალის თვითეულ მანეთზე მოდის, მაგალითად, 50 კაპიკი. იმ გადამხდევინებელს, რომელსაც 100 მანეთი ერგება, მიეცემა 40 მანეთი, იმ გადამხდევინებელს, რომელსაც 300 მანეთი ერგება, მიეცემა 120 მანეთი და ა. შ.

105. გადამხდევინებელთა შორის ფულის განაწილების შესახებ სასამართლოს აღმასრულებელი შეადგენს გაანგარიშებას ამ ინსტრუქციის 103-107 მუხლებში მოყვანილი წესების დაცვით და იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს ამ გაანგარიშების რაიმე საწინააღმდეგო ექნებათ, გაანგარიშებას დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო მოსამართლეს, გაანგარიშების დამტკიცების შემდეგ ფული მიეცემათ გადამხდევინებლებს.

106. გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილ-

დება სხვა მოთხოვნათა უპირატესად დაგირავებული ქონების ღირებულებიდან მოგირავნეთა უფროსობის დაცვით, ე. ი. როდესაც რამდენიმე მოგირავნეა, თვითეულ შემდგომ მოგირავნეს დაკმაყოფილება დაგირავებული ქონებიდან მიეცემა წინა მოგირავნის მთლიანად დაკმაყოფილების შემდეგ (რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 99 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების სათანადო მუხლები)[1].

მაგრამ, უკეთუ მოვალის სხვა ქონება საკმარისი არ არის მის მიმართ წარდგენილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაგირავებული ქონება გადახდევინებათა დასაკმაყოფილებლად მიიქცევა შემდეგი წესით:

ა) უკეთუ მოვალის ქონება დაგირავებულია საკრედიტო დაწესებულებაში, ჯერ დაკმაყოფილდება ის მოთხოვნანი, რომლებიც ეკუთვნიან ინსტრუქციის 104 მუხლში აღნიშნულ პირველი რიგის მოთხოვნებს, შემდეგ კი დაკმაყოფილდება გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნანი საკრედიტო დაწესებულებებისა;

ბ) სხვა მოგირავნეთა გირაოთი უზრუნველყოფილ მოთხოვნათა უწინარეს, დაკმაყოფილდება პირველი, მეორე და მესამე რიგის მოთხოვნანი.

მოგირავნე, რომელმაც კანონით დადგენილი წესით დაინარჩუნა მასთან დაგირავებული გაუყიდველი ქონება, მოვალეა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნანი, რომლებიც ამ მუხლის თანახმად სარგებლობენ უპირატესობით მის მოთხოვნათა წინაშე, მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება ამ ქონების რეალიზაციისათვის დაწესებულ შეფასებას.

უკეთუ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა საკმარისი არ არის მოგირავნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მოგირავნე, რამდენადაც კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, თავისი მოთხოვნის დაუფარავი

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. კოდ. 99 მუხლი.

ნაწილის დაკმაყოფილებას მიიღებს მოვალის სხვა ქონებიდან საერთო წესით.

107. ამ ინსტრუქციის 103-105 მუხლებში მოხსენებული დაკმაყოფილების რიგისობის წესი არ ვრცელდება სატრანსპორტო ორგანიზაციების (რკინიგზა, ნაოსნობა, საჰაერო მიმოსვლა) მოთხოვნებზე, რომლებიც დაკმაყოფილდება ამ ორგანიზაციათა მიერ გადაზიდული ტვირთის ღირებულებიდან. სატრანსპორტო ორგანიზაციათა პრეტენზიების დაკმაყოფილება წარმოებს მათი წესდების თანახმად.

სააღსრულებო მოქმედების შეჩერება და მოსპობა

108. სასამართლოს აღმასრულებელს უფლება არა აქვს შეაჩეროს, გადადოს ან მოსპოს აღსრულება, თუ არა გადამხდევინებლის წერილობითი განცხადებით ან სასამართლოს დადგენილებით ანდა სასამართლო-საპროკურორო ორგანოს წინადადებით ზედამხედველობის წესისამებრ.

109. უკეთუ აღწერილი ქონების გაყიდვამდე მოვალე შეიტანს მისგან მოთხოვნილ თანხას და აანაზღაურებს იძულებითი აღსრულების ხარჯებს, აღწერილი ქონება არ გაიყიდება და მას მოეხსნება ყადაღა.

110. უკეთუ მოვალე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება (ავადმყოფობა, ხანძარი და ა. შ.) და ეს აძნელებს გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს აღმასრულებელი ამის შესახებ აცნობებს სახალხო მოსამართლეს და სააღსრულებო მოქმედებას შემდგომში აწარმოებს სახალხო მოსამართლის მითითებათა მიხედვით.

111. უკეთუ მოვალე გაწვეულია ნამდვილ სამხედრო სამსახურში საბჭოთა არმიასა და სამხედრო საზღვაო ფლოტში (ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობა), სასამართლოს აღმასრულებელი ამის შესახებ აცნობებს სახალხო მოსამართლეს და დაუბრუნებს მას აღმასრულებელ ფურცელს შეუსრულებელი სახით. ასეთ შემთხვევაში სახალხო მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას გადახდე-

ვინების შეჩერების შესახებ იმ დრომდე, ვიდრე მოვალე არ მოიხდის ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადას.

112. უკეთუ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ყველა საჭირო ზომა გადახდევინების მოხდენა მთლიანად მაინც შეუძლებელია იმის გამო, რომ მოვალეს ქონება და სამსახური არა აქვს, სასამართლოს აღმასრულებელი ამის შესახებ შეადგენს აქტს და წარუდგენს დასამტკიცებლად სახალხო მოსამართლეს ან სათანადო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოსამართლემ (სასამართლოს თავმჯდომარემ) უნდა შეამოწმოს მიღებულია თუ არა სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ყველა საჭირო ზომა მოვალის ქონების მოსაძებნად, სწორად არის თუ არა შედგენილი ქონების აღწერილობა. დაესწრო თუ არა მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი ქონების აღწერას, უკლებლივ არის თუ არა შენახული აღწერილი ქონება და ა. შ. საჭიროების შემთხვევაში სახალხო მოსამართლე (სასამართლოს თავმჯდომარე) დაიბარებს მოსარჩელეს და გამოჰკითხავს, ხომ არ მოეპოვება მას ცნობები იმის შესახებ, რომ მოვალეს აქვს ისეთი ქონება, რომელიც არ ყოფილა გამოვლინებული აღწერის დროს. უკეთუ შემოწმების შედეგად მოსამართლე დაინახავს, რომ ამოწურული არ არის ყველა საშუალება მოვალის ქონების გამოსავლინებლად, იგი სასამართლოს აღმასრულებელს მისცემს მითითებას მოვალის ქონების მოსაძებნად დამატებითი ზომების მიღებისა და ამ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის შესახებ. აქტი მოვალის ქონებისა დი საშოვრის უქონლობის შესახებ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისა და დანაკლისის საქმეზე, შემოწმებულ უნდა იქნას სახალხო მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) მიერ, როგორც წესი, დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლის თანდასწრებით. (1952 წ. 16 აგვისტოს № 81 ბრძანების რედაქციით).

როდესაც მოსამართლე დარწმუნდება, რომ სწორად არის შედგენილი აქტი იმის შესახებ, რომ მოვალეს ქონება არა აქვს

ან, რომ მოვალის ქონება საკმარისი არ არის გადახდევინების მთლიანად დასაკმაყოფილებლად, იგი დაამტკიცებს ამ აქტს.

უკეთუ შეუძლებელია მთლიანი გადახდევინების ნობრების იმ მოვალის ქონებიდან, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის ან გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო აღმასრულებელ ფურცელს გაუგზავნის სათანადო საპატიმრო ადგილის უფროსს შემდგომი გადახდევინებისათვის პატიმრის ხელფასიდან.

112 ა. როდესაც დამტკიცებული იქნება აქტი იმის შესახებ, რომ მოვალეს ქონება არა აქვს ან, რომ მოვალის ქონება საკმარისი არ არის გადახდევინების მთლიანად დასაკმაყოფილებლად, სასამართლოს აღმასრულებელი დაუბრუნებს გადამხდევინებელს აღმასრულებელ ფურცელს აქტის ასლთან ერთად.

უკეთუ ამის შემდეგ, გადამხდევინებელი ხელახლა მიმართავს სასამართლოს აღმასრულებელს ან სახალხო მოსამართლეს (სასამართლოს თავმჯდომარეს) განცხადებით, რომ მას მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ მოვალეს აქვს ქონება, რომელზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა ზედმიწევნით შეამოწმოს ეს განცხადება და მიაქციოს გადახდევინება ახლად გამოვლინებულ ქონებაზე.

სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება

113. საჩივარი სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედებაზე შეიტანება სახალხო მოსამართლესთან. რომლის რაიონშიც წარმოებს აღსრულება, ხუთი დღის ვადაში დღიდან გასაჩივრებული მოქმედების შესრულებისა, ანდა იმ მომენტიდან, როცა ის ცნობილი გახდა მომჩივანისათვის.

საჩივარი განიხილება დაინტერესებულ მხარეთა დაბარებით, უკეთუ ამას საჭიროება მოითხოვს.

სასამართლოს დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ზემდგომ სასამართლოში ხუთი დღის ვადაში.

სააღსრულებო დოკუმენტების აღრიცხვა და საქმის წარმოება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისა

114. გადამხდევინებელი სააღსრულებო დოკუმენტს სააღსრულებო მოქმედების შესასრულებლად წარადგენს სახალხო სასამართლოში აღსრულების ადგილის მიხედვით.

115. თვითეულ სახალხო სასამართლოში წარმოებს აღრიცხვის წიგნი ყველა იმ სააღსრულებო დოკუმენტებისა, რომლებიც სასამართლოს აღმასრულებელს გადაეცემა. ეს წიგნი ინახება სახალხო სასამართლოს მდივანთან. იგი უნდა იქნას ზონარგაყრილი, დანომრილი და დამოწმებული სახალხო მოსამართლის ხელმოწერით და სახალხო სასამართლოს ბეჭდისდასამით.

116. ყველა სააღსრულებო დოკუმენტი, იმისდა მიუხედავად გადაცემულია იგი სასამართლოს მიერ უშუალოდ, თუ წარდგენილია გადამხდევინებლის მიერ პირადად, ანდა სასამართლოს მიერ მიღებულია ფოსტით, რეგისტრირებულ უნდა იქნას, შემოსვლისდა მიხედვით, სააღსრულებო დოკუმენტების აღრიცხვის წიგნში, რომელსაც აწარმოებს სახალხო სასამართლოს მდივანი.

სააღსრულებო დოკუმენტების მიღება გადამხდევინებლისაგან პირადად სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად რაიონში გაემგზავრება და როდესაც მას შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს გადახდევინება და გასცეს სახსრები იქვე, ადგილობრივ.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში სასამართლოს აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო დოკუმენტების მიღება აკრძალულია.

117. სახალხო სასამართლოს მდივანი მოვალეა იმავე დღეს, რა დღესაც მასთან სააღსრულებო დოკუმენტი შემოვა, გააატაროს იგი რეგისტრაციაში სააღრიცხვო წიგნში. დოკუ-

მენტზე აღნიშნოს მისი შემოსვლის თარიღი, ნომერი საალრიცხვო წიგნის მიხედვით და გადასცეს სასამართლოს აღმასრულებელს ხელწერილქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

118. სასამართლოს აღმასრულებლის მიერ [illegible] მეულ სააღსრულებო დოკუმენტზე დგება სააღსრულებო წარმოება და სარეგისტრაციო ბარათი. გარდა ამისა, ყველა სააღსრულებო დოკუმენტი საალფაბეტო წიგნში შეიტანება (დანართი ფორმა №6).

მთელი საქმის წარმოება გადაწყვეტილებათა აღსრულების ხაზით (სარეგისტრაციო ბარათის შედგენა, საალფაბეტო წიგნის წარმოება, სააღსრულებო წარმოების წინ გვერდის შედგენა, უწყებების გამოწერა' ფოსტის გაგზავნა და სხვ.) სრულდება სახალხო სასამართლოს კანცელარიის მიერ.

119. სააღსრულებო წარმოებაში დაწვრილებით აღნიშნავს სასამართლოს აღმასრულებელი ყველა მის მიერ შესრულებულ მოქმედებას, როგორიც არის: უწყების გაგზავნა, მოვალის მიერ ფულადი თანხის შეტანა სასამართლოს აღმასრულებელთან ან სახელმწიფო ბანკში, ფულისა და სადეპოზიტო ანგარიშიდან ფულის მისაღები ჩეკის გაცემა, მხარეთა განცხადება, სააღსრულებო დოკუმენტის გაგზავნა სხვა დაწესებულებასა და საწარმოში აღმასრულებლად ან სასამართლოში—აღსრულების შემდეგ, სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება გადამხდევინებლისათვის, სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერება, სასამართლოს აღმასრულებლის მიერ იმ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების შემოწმება, რომელიც იმყოფება დაწესებულებაში, საწარმოში და ა. შ.

ყველა დოკუმენტი, რომელიც სასამართლოს აღმასრულებელთან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შემოდის, ინახება იმ სააღსრულებო წარმოებაში, რომელსაც იგი შეეხება. ფულადი ხასიათის დოკუმენტი კი ინახება ცალკე, განსაკუთრებულ განრიგში.

შეკითხვები და მიმოწერა, რაც სააღსრულებო წარმოებას არ შეეხება, მათი შესრულების შედეგ ინახება მიმოწე-

რათა განრიგში ქრონოლოგიური წესით. სააღსრულებო დოკუმენტის გადაგზავნა ფოსტით წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ დაზღვეული კორესპონდენციის სახით.

120. ყველა შეკითხვას, განცხადებას და საჩივარს სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედებაზე, რეგისტრაციაში გაატარებს სახალხო სასამართლოს მდივანი.

რეგისტრაციაში გატარების შემდეგ საჩივარი გადაეცემა სახალხო მოსამართლეს, ხოლო განცხადება და შეკითხვა, გამოგზავნილი სასამართლოს აღმასრულებლის სახელზე, გადაეცემა ამ უკანასკნელს ხელწერილით ჟურნალში.

121. სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა უპასუხოს ყველა შეკითხვაზე წერილობით სამი დღის ვადაში.

122. სააღსრულებო დოკუმენტს გასაგზავნად სასამართლოს აღმასრულებელი გადასცემს სახალხო სასამართლოს მდივანს ხელწერილით სააღსრულებო წარმოებაში და თანაც გადაცემა აუცილებლად აღინიშნება აღმასრულებელი ფურცლის სარეგისტრაციო ჟურნალში.

123. სასამართლოს აღმასრულებლის მიერ დაბრუნებულ საღსრულებო დოკუმენტზე, ყველა შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს სათანადო წარწერა იმის შესახებ, თუ რა მიზეზით არის დაბრუნებული დოკუმენტი. წარწერა ხელმოწერილ უნდა იქნას სახალხო მოსამართლისა და სასამართლოს აღმასრულებლის მიერ და მას უნდა დაესვას სახალხო სასამართლოს ბეჭედი, დოკუმენტის დაბრუნების თარიღის აღნიშვნით.

124. სახალხო სასამართლოს მდივანი, მიიღებს რა სასამართლოს აღმასრულებლისაგან სააღსრულებო დოკუმენტს დანიშნულებისამებრ გასაგზავნად, აღნიშნავს სააღსრულებო დოკუმენტის მიღების თარიღს და ადგილს, სადაც ის გაიგზავნა.

გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ, აღმასრულებელი ფურცელი, რომელიც გაცემულია ამ გადაწყვეტილების მიხედვით იმ სახალხო სასამართლოს მიერ, რომელთანაც სასამართლოს აღმასრულებელია განწესებული, დაერთვის სახალ-

ხო სასამართლოს სათანადო საქმეს, და ამის შესახებ დოკუ-
მენტების აღრიცხვის წიგნში გაკეთდება აღნიშვნა, თანაც
ნაჩვენები იქნება იმ საქმის ნომერი, რომელსაც აღმასრულე-
ბელი ფურცელი დაერთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

125. სასამართლოს აღმასრულებელი ყველა სააღსრულე-
ბო წარმოებას დამთავრებულ საქმეებზე აბარებს სასამართ-
ლოს არქივში შესანახად იმ სახალხო სასამართლოს მდივანს,
რომელთანაც იგი არის განწესებული. ჩაბარებას სასამართ-
ლოს აღმასრულებელი აწარმოებს ყოველთვიურად, სააღსრუ-
ლებო წარმოებათა ნომრების სიის მიხედვით სტატისტიკუ-
რი ანგარიშის შედგენისა და სახალხო მოსამართლის მიერ
სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობისა და მისი ფულა-
დი ანგარიშების შემოწმების შემდეგ. არქივში ჩაბარებულ
სააღსრულებო წარმოებათა სია სასამართლოს მდივნის ხელ-
წერილთან ერთად ინახება განრიგში სასამართლოს აღმას-
რულებლის შემოწმების აქტებთან.

ამ წესით გადაიცემა ის სააღსრულებო წარმოება, რომელ-
ზედაც:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება მოყვანილია სისრულეში;

ბ) სააღსრულებო დოკუმენტი დაბრუნებულია გადამხდე-
ვინებლისათვის მოვალის მოუძებნელობის ან ქონების უქონ-
ლობის გამო;

გ) სააღსრულებო დოკუმენტი დაბრუნებულია სისრულე-
ში მოუყვანლად იმ სასამართლოს მოთხოვნით, რომელმაც ეს
დოკუმენტი გასცა.

დ) სააღსრულებო დოკუმენტი დაბრუნებულია სისრულე-
ში მოუყვანლად გადამხდევინებლის მოთხოვნით.

სასამართლოს აღმასრულებლის თვითეულ დამთავრებულ
სააღსრულებო წარმოებას, რომელიც შესანახად არქივში
გადაიცემა, უნდა ექნას ვიზა სახალხო მოსამართლისა, რომელ-
მაც საქმის არქივში გადაცემის ნება დართო. ამ ვიზის გარე-
შე სასამართლოს მდივანს არ შეუძლია მიიღოს სააღსრულე-
ბო წარმოება სასამართლოს აღმასრულებლისაგან.

ხო სასამართლოს სათანადო საქმეს, და ამის შესახებ დოკუ-
მენტების აღრიცხვის წიგნში გაკეთდება აღნიშვნა, თანაც
ნაჩვენები იქნება იმ საქმის ნომერი, რომელსაც აღმასრულე-
ბელი ფურცელი დაერთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

125. სასამართლოს აღმასრულებელი ყველა სააღსრულე-
ბო წარმოებას დამთავრებულ საქმეებზე აბარებს სასამართ-
ლოს არქივში შესანახად იმ სახალხო სასამართლოს მდივანს,
რომელთანაც იგი არის განწესებული. ჩაბარებას სასამართ-
ლოს აღმასრულებელი აწარმოებს ყოველთვიურად, სააღსრუ-
ლებო წარმოებათა ნომრების სიის მიხედვით სტატისტიკუ-
რი ანგარიშის შედგენისა და სახალხო მოსამართლის მიერ
სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობისა და მისი ფულა-
დი ანგარიშების შემოწმების შემდეგ. არქივში ჩაბარებულ
სააღსრულებო წარმოებათა სია სასამართლოს მდივნის ხელ-
წერილთან ერთად ინახება განრიგში სასამართლოს აღმას-
რულებლის შემოწმების აქტებთან.

ამ წესით გადაიცემა ის სააღსრულებო წარმოება, რომელ-
ზედაც:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება მოყვანილია სისრულეში;

ბ) სააღსრულებო დოკუმენტი დაბრუნებულია გადამხდე-
ვინებლისათვის მოვალის მოუძებნელობის ან ქონების უქონ-
ლობის გამო;

გ) სააღსრულებო დოკუმენტი დაბრუნებულია სისრულე-
ში მოუყვანლად იმ სასამართლოს მოთხოვნით, რომელმაც ეს
დოკუმენტი გასცა.

დ) სააღსრულებო დოკუმენტი დაბრუნებულია სისრულე-
ში მოუყვანლად გადამხდევინებლის მოთხოვნით.

სასამართლოს აღმასრულებლის თვითეულ დამთავრებულ
სააღსრულებო წარმოებას, რომელიც შესანახად არქივში
გადაიცემა, უნდა ექნას ვიზა სახალხო მოსამართლისა, რომელ-
მაც საქმის არქივში გადაცემის ნება დართო. ამ ვიზის გარე-
შე სასამართლოს მდივანს არ შეუძლია მიიღოს სააღსრულე-
ბო წარმოება სასამართლოს აღმასრულებლისაგან-

დამთავრებული სააღსრულებო წარმოებანი სახალხო სა-
სამართლოს არქივში ინახება ნომრების მიხედვით დასტებად,
თვითეულ დასტაში ას-ასი, ამასთან აუცილებლად უნდა შეიტ-
გეს წარმოებათა აღწერილობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

126. სასამართლოს აღმასრულებელთან უნდა წარმოებდეს
შემდეგი განრიგები:

ა) იუსტიციის სამინისტროს იმ ბრძანებათა, ინსტრუქ-
ციათა და განკარგულებათა განრიგი, რომლებიც სასამართ-
ლოს აღმასრულებლის მუშაობას შეეხება;

ბ) იმ შესრულებული მიმოწერის განრიგი, რაც არ შეეხე-
ბა მასთან მყოფ სააღსრულებო წარმოებებს;

გ) განრიგი ანგარიშისა და სტატისტიკური ცნობებისა
სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობის შესახებ;

დ) განრიგი ფულადი გასამართლებელი დოკუმენტებისა;

ე) ᲛᲝსამართლისა და სხვა ორგანოების მიერ სასამართ-
ლოს აღმასრულებლის მუშაობის შემოწმების აქტების გან-
რიგი;

ვ) განრიგი სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მესამე
პირთა შემოწმების აქტებისა, ამ მესამე პირთათვის გადასახ-
დევინებლად გადაცემულ სააღსრულებო დოკუმენტების აღ-
სრულების შესახებ.

127. ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის
მომდევნო თვის 3 რიცხვისა, სასამართლოს აღმასრულებელი
ადგენს სტატისტიკურ ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ
სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწესებული
ფორმით, რომელსაც ამოწმებს და ხელს აწერს სახალხო მო-
სამართლე და, რომელიც ეგზავნება კუთვნილებისამებრ მშრო-
მელთა დეპუტატების სამხარეო ან საოლქო საბჭოსთან არსე-
ბულ იუსტიციის სამინისტროს სათანადო სამმართველოს, ან
მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, იმ რეს-
პუბლიკაში, სადაც ოლქებად დაყოფა არ არის, ანდა ასსრ
იუსტიციის სამინისტროს.

128. სასამართლოს აღმასრულებელი სარგებლობს სათა-

ნადო სახალხო სასამართლოს ბლანკებით, შტამპითა და ბეჭდით და აქვს თავისი ლითონის ბეჭედი.

სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ფულადი თანხების მიღებისა და ამ თანხებზე ანგარიშგების წესი

129. ფულადი თანხა, რაც უნდა მიეცეს გადამხდევინებელს, მოვალე-მოქალაქის მიერ შეიტანება, გარდა 130 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელთანაც სასამართლოს აღმასრულებელია განწესებული.

ფულადი თანხა, რაც უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში ან ადგილობრივ სახსრებში (სახბაჟი, ჯარიმა და ა. შ.), მოვალის მიერ შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში სახელმწიფოს შემოსავალში ან ადგილობრივ სახსრებში უშუალოდ ჩასარიცხავად.

ფულადი თანხა, რაც მისჯილია დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან და ორგანიზაციისაგან სხვა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის სასარგებლოდ, შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში გადამხდევინებლის ანგარიშზე ან გადაირიცხება სახელმწიფო ბანკის დაწესებულების მიერ მოვალის ანგარიშიდან გადამხდევინებლის ანგარიშზე, შესაბამისად დადგენილი წესისა.

130. სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია მიიღოს პირადად სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ფულადი თანხა განუსაზღვრელი რაოდენობით იმ მოვალისაგან, რომელიც ისეთ ადგილას ცხოვრობს, სადაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულება არ არის, ხოლო სხვა ადგილას მცხოვრებ მოვალეთაგან იმ საალსრულებო დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც გადასახდევინებელი თანხა 100 მანეთს არ აღემატება.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ნაღდი ფულის მიღება კატეგორიულად აკრძალულია.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ფულადი თანხის მიღება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ წარმოებს მხოლოდ ქვითარით (ფორმა № 1), რომელიც შეივსება ქიმიური ფანქრით ორ ეგზემპლარად ასლის გადასაღები ქაღალდის ერთ-თარი ხელმოწერილი სასამართლოს აღმასრულებლის მიერ, რომელსაც სახალხო სასამართლოს ბეჭედი დაესმება, მიეცემა გადამხდელს ხელწერილქვეშ.

შენიშვნა: ქვითარში არ დაიშვება არავითარი გასწორება და წაშლა თანხის და გადამხდელის გვარისა. არასწორად შევსებული ქვითარი და ყუა გაუქმდება მათზე მელნით წარწერის გაკეთებით „გაფუჭებულია" და დარჩება საქვითრო წიგნაკში აღრიცხვისათვის.

კატეგორიულად ეკრძალებათ სასამართლოს აღმასრულებლებს ფულის მიღება ხელწერილით უწყებაზე დაწესებულების საკასო ორდერზე, სააღსრულებო დოკუმენტზე და ა. შ., ე. ი. დაწესებული ფორმით ქვითრის გამოუწერლად და გაუცემლად.

ყველა მიღებულ ფულად თანხას სასამართლოს აღმასრულებელი იმავე დღეს აღნიშნავს სააღსრულებო წარმოებაში, იქვე აღნიშნავს აგრეთვე, ფულის შემოსავლის დროსა და გაცემული ქვითრის ნომერს, ამასთან ერთად, ქვითრით მიღებულ თანხებს, მათი შემოსვლისდა მიხედვით, ჩასწერს საქვითრო წიგნაკის ყდის შიგნითა მხარეზე, შემოსვლის თარიღის, ქვითრის ნომრისა და თანხის ოდენობის აღნიშვნით.

131. კატეგორიულად ეკრძალებათ სასამართლოს აღმასრულებლებს მათ მიერ საქვითრო წიგნაკით მიღებული ფულადი თანხიდან, სადეპოზიტო ანგარიშის გარეშე, ნაღდი ფულის გაცემა ან გადაგზავნა იმ პირისა და დაწესებულებისათვის, რომელთა სასარგებლოდაც ეს თანხები იყო გადახდევინებული. ამიტომ სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა, არა უგვიანეს მეორე დღისა, დღიდან ფულის მიღებისა, მთლიანად შეიტანოს მის მიერ გადახდევინებული ფულადი თანხები სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და ამის შესახებ საქვითრო წიგნაკის ყდის შიგნითა მხა-

რეზე გააკეთოს წარწერა თარიღის, ბანკის ქვითრის ნომრისა და თანხის ოდენობის აღნიშვნით.

სასამართლოს აღმასრულებელი მის მიერ მიღებულ ფულს, რომელიც სახელმწიფოს შემოსავალში ადგილობრივ სახსრებში უნდა ჩაირიცხოს, შეიტანს უშუალოდ ბანკში და ამის შესახებ საქვითრო წიგნაკის ყდის შიგნითა მხარეზე გააკეთებს წარწერას თარიღის, ბანკის ქვითრის ნომრისა და თანხის ოდენობის აღნიშვნით.

132—135 (გაუქმებულია).

136. საქვითრო წიგნაკს № 1 ფორმის მიხედვით, სასამართლოს აღმასრულებელი ღებულობს სახალხო მოსამართლისაგან საქვითრო წიგნაკების აღრიცხვის განსაკუთრებული უწყისით, ხელწერილქვეშ ამავე უწყისში, რომელშიაც აგრეთვე აღინიშნება გაცემის თარიღი, რომელ ნომრიდან რომელ ნომრამდეა, ქვითრების რაოდენობა წიგნაკში. სასამართლოს აღმასრულებლის ხელწერილი საქვითრო წიგნაკის მიღებაზე წარმოადგენს ამ წიგნაკების გახარჯვის გასამართლებელ საბუთს.

137. სასამართლოს აღმასრულებელი თვითეულ დამთავრებულ საქვითრო წიგნაკს, რომელსაც თან დაერთვის ბანკის ქვითრები სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფოს შემოსავალში და ადგილობრივ სახსრებში შეტანილ ფულად თანხებზე, აბარებს სახალხო მოსამართლეს.

ახალი საქვითრო წიგნაკი სასამართლოს აღმასრულებელს მიეცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახალხო მოსამართლე შეამოწმებს რამდენად სწორად და მთლიანად არის შეტანილი სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შეგროვილი ფულადი თანხები სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფო შემოსავალში და ადგილობრივ სახსრებში. შემოწმება მოხდება შემდეგი გზით: საქვითრო წიგნაკის ყუის მიხედვით გამოიანგარიშება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შეგროვილი თანხების ჯამი და ეს ჯამი

შედარდება ბანკის ქვითრების მიხედვით სადეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფოს შემოსავალში და ადგილობრივ სახსრებში შეტანილ თანხების ჯამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრებული საქვითრო წიგნაკები, რომლებშიც დაერთვის ბანკის ქვითრები, ინახება სახალხო სასამართლოს არქივში ზუსტი ანგარიშგების დოკუმენტების შენახვის წესისამებრ.

138. სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა, როდესაც იგი საქმეებს სხვა სასამართლოს აღმასრულებელს აბარებს, ჩააბაროს სახალხო მოსამართლეს დაუმთავრებელი საქვითრო წიგნაკი და ბანკის ქვითრები სადეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფოს შემოსავალში და ადგილობრივ სახსრებში შეტანილ ფულად თანხებზე, როდესაც სახალხო მოსამართლე შეამოწმებს, რომ შეგროვილი თანხები სწორად და სრულად არის შეტანილი სადეპოზიტო ანგარიშზე ან სახელმწიფოს შემოსავალში და ადგილობრივ სახსრებში, იგი გააუქმებს საქვითრო წიგნაკის გამოუყენებელ ბლანკებს, თვითეულ ქვითარსა და ყუაზე წარწერის გაკეთებით „გაუქმებულია“ და ამ წარწერას ხელს მოაწერს.

139. საქვითრო წიგნაკები სასამართლოს აღმასრულებლებისათვის მზადდება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ ცენტრალიზებული წესით სპეციალური, სახიანი ქაღალდისაგან დაწესებული ფორმის მიხედვით, და მათ აქვთ თავისი რიგითი ნომერი და სერიები თვითეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის. საქვითრო წიგნაკები ეგზავნებათ მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების სამმართველოების მეშვეობით სახალხო სასამართლოების მოსამარაგებლად, იმ წესისამებრ, რაც ზუსტი ანგარიშგების დოკუმენტების გადაგზავნისათვის არის დადგენილი.

ყველა დამზადებული საქვითრო წიგნაკი აიღება განსაკუთრებულ აღრიცხვაზე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებში და იუსტიციის სამი-

ნისტროს სამმართველოებში და მათი გაცემა აღრიცხება ზუსტი ანგარიშგების დოკუმენტების აღრიცხვის წესის მიხედვით.

არავითარი სხვა საჭიროებისათვის, გარდა [illegible] დანიშნულებისა—სასამართლოს აღმასრულებელ[illegible] შეიძლება საქვითრო წიგნაკის გამოყენება.

საქვითრო წიგნაკებით სახალხო სასამართლოები მარაგდებიან იმ ანგარიშით, რომ სასამართლოს აღმასრულებელმა დროულად შესძლოს ახალი წიგნაკის მიღება. ეს წიგნაკები ინახება სახალხო სასამართლოში და აღრიცხება ზუსტი ანგარიშგების ბლანკების შენახვისა და აღრიცხვის წესის მიხედვით.

140. (გაუქმებულია).

სასამართლოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე სასამართლოს აღმასრულებელთან შემოსული სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წესი

141. ბანკში სადეპოზიტო ანგარიშისათვის მეთვალყურეობის გასაწევად და მისი მდგომარეობის შესამოწმებლად, აგრეთვე იმის გამოსარკვევად, თუ ვის ეკუთვნის იქ შენახული ფულადი თანხები, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა აწარმოოს სადეპოზიტო თანხების ანგარიშგება ბანკში რიცხული სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნში № 2 ფორმის მიხედვით.

სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნი შემოიღება მთელი წლით.

სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნი, ვიდრე ის სახალხო სასამართლოზე გაიცემოდეს, აუცილებლად უნდა იქნას დანომრილი, ზონარგაყრილი და დამოწმებული კუთვნილებისამებრ მოკავშირე რესპუბლიკის (სადაც ოლქობრივი დაყოფა არ არის) იუსტიციის სამინისტროს, ასსრ იუსტიციის სამინისტროს ან იუსტიციის სამინისტროს სამხარეო და საოლქო სამმართველოს ლუქის ბეჭდის დასმით.

142. (გაუქმებულია).

143. ყველა იმ ფულადი თანხების გაცემის ოპერაციე, რაც გადამხდევინებელს სასამართლოს გადაწყვეტილებით ერგება, წარმოებს მხოლოდ სადეპოზიტო ანგარიშიდან გადამხდევინებლის სახელზე სახელობითი ჩეკის გამოწერით, ან დაწესებულებისა და ორგანიზაციის კუთვნილი თანხების დასარიცხი დავალების გამოწერით. სადეპოზიტო ანგარიშიდან ფულადი თანხის ფოსტით გადაგზავნის დროს გამოიწერება საანგარიშსწორებო ჩეკი, განცხადება, სია დართული განცხადებაზე და ფოსტის გზავნილის ბლანკი.

შენიშვნა: სახელობითი ჩეკი მიეცემა პირადად გადამხდევინებელს ან იმ პირს, რომელსაც მისგან ექნება კანონით დადგენილი წესისამებრ დამოწმებული რწმუნებულება ფულის მიღებაზე და თანაც მხოლოდ პასპორტის ან სხვა პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, რის შესახებაც ჩეკის ყუის მეორე გვერდზე გაკეთდება წარწერა და აღინიშნება დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი და ვის მიერ არის გაცემული.

ჩეკი და დავალება აუცილებლად ხელმოწერილი უნდა იქნას სახალხო მოსამართლისა (პირველი ხელმოწერა) და სასამართლოს აღმასრულებლის (მეორე ხელმოწერა) მიერ.

ჩეკის გამოწერა წარმომდგენზე, და აგრეთვე, სასამართლოს აღმასრულებლის ან სახალხო სასამართლოს სხვა მუშაკის სახელზე კატეგორიულად აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელზე გაიცემა პრემიალური გასამრჯელო თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს განკარგულებისა.

144—145. (გაუქმებულია).

146. სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნის გახსნისას მასში ჩაიწერება ყველა თანხა, რაც წიგნის გახსნის დღისათვის ირიცხება ბანკში სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშის ნაშთში. თანდათანობით ბანკის ავიზოს მიღებისდა მიხედვით, შეიტანება მიმდინარე პერიოდის ჩანაწერები.

სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წიგნი თვეში ერთხელ მაინც შემოწმდება სახალხო მოსამართლის მიერ, შემოსული

და გაცემული თანხების დათვლისა და ბანკის საკონტროლო-
რენტო ამონაწერთან შედარების გზით, რის შედეგად ყოვ-
ლი თვის 1-ლ რიცხვისათვის ნაშთი უნდა უდრიდეს საკო-
ნტროკორენტო ამონაწერში აღნიშნულ სადეპოზიტო თანხების
ნაშთს ბანკში.

სადეპოზიტო თანხების ნაშთის შემოწმების შემდეგ სახალ-
ხო მოსამართლე შემოსული და გაცემული თანხების ჯამისა
და თვის 1-ლი რიცხვისათვის წიგნში გამოყვანილი ნაშთის
ქვემოთ გააკეთებს წარწერას „შემოწმებულია“ და ამ წარწე-
რას დაამოწმებს თავისი ხელმოწერით.

147. იმ თანხებს, რომლებიც დარჩენილია ბანკში სადეპო-
ზიტო ანგარიშზე ახალი წლის 1-ლი იანვრისათვის, სასა-
მართლოს აღმასრულებელი გადაიტანს ახალ წიგნში თვითე-
ული ცალკე თანხის სრული დასახელებით—ვის ეკუთვნის
იგი. სადეპოზიტო წიგნში ის ნაშთი, რომელიც გადადის ახა-
ლი წლის 1-ლი იანვრისათვის, ჩაიწერება გრაფაში „ნაშთი“-

148. სადეპოზიტო ანგარიში ბანკში გაიხსნება სახალხო
სასამართლოს სახელზე.

149. ფულადი თანხა, რომელიც შეტანილია სახალხო სა-
სამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, ინახება:

ა) ის სადეპოზიტო თანხა, რომელიც უნდა გაიცეს მოქა-
ლაქეზე—3 წლის განმავლობაში;

ბ) ის სადეპოზიტო თანხა, რომელიც უნდა გადაეცეს სა-
მეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოსა და ორ-
განიზაციას, და აგრეთვე, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ
ორგანიზაციას—$1^1/_2$ წლის განმავლობაში.

გ) ის სადეპოზიტო თანხა, რომელიც უნდა გადაეცეს სა-
ხელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულე-
ბას, ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, რა წელსაც ეს თანხა
იყო შეტანილი, ხოლო თანხა შეტანილი დეპოზიტში გადა-
უწყვეტელ სასამართლო საქმეზე, ინახება იმ წლის 31 დეკემ-
ბრამდე, რა წელსაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი სა-
სამართლოს მიერ.

„ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ვადის დენა გამოიანგარიშება იმ თანხისათვის, რომელიც დეპოზიტში შეტანილია გადაუწყვეტელ სასამართლო საქმეზე, დღიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისა, დანარჩენ შემთხვევაში—დღიდან დეპოზიტში შეტანის შესახებ შეტყობინ-ბის გაგზავნისა იმ პირისა ან ორგანიზაციისათვის, რომლის სახელზედაც არის შეტანილი სადეპოზიტო თანხა.

ეს წესი არ გავრცელდება გირაოზე, იმ ფულად თანხაზე, რაც სადეპოზიტო ანგარიშზეა შეტანილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის წესით და აგრეთვე, იმ ფულად თანხაზე რაც განაწილებულ უნდა იქნას კრედიტორთა შორის. ამ თანხების შენახვის ვადა გამოანგარიშება იმ დღიდან, რა დღესაც მოსარჩელეს ეცნობება სახალხო მოსამართლის განკარგულება ამ თანხების კუთვნილებისამებრ გაცემის შესახებ.

150. გარდა სახალხო მოსამართლისა, რომელიც სადეპოზიტო ანგარიშის განმკარგულებელია, არავის არ შეუძლია გასცეს განკარგულება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ფულადი თანხებისა და ფასეულებათა ჩამოწერის შესახებ.

151. სახალხო მოსამართლის მიერ სადეპოზიტო ანგარიშის შესახებ გაცემული განკარგულება (უარის თქმა სადეპოზიტო თანხის გაცემაზე, სადეპოზიტო თანხის არასწორად გაცემა არასათანადო პირზე, სადეპოზიტო თანხის ვადაზე ადრე გადარიცხვა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში და ა. შ.) შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ზემდგომ სასამართლოში ხუთი დღის ვადაში მას შემდეგ, რაც სახალხო მოსამართლის განკარგულება ცნობილი გახდა დაინტერესებული მხარისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიხრი, რომლის მიხედვითაც გასამრჯელო მიეცემა შემნახველს ყადაღადადებული ქონების შენახვისათვის

1. გადამხდევინებელს, მოვალესა და იმ პირს, რომელიც მათ ოჯახს ეკუთვნის და მათთან ერთად ცხოვრობს, გასამრჯელო ქონების შენახვისათვის არ მიეცემათ.

2. სასამართლოს აღმასრულებლის მიერ დანიშნული შემნახველი ქონების შენახვისათვის მიიღებს, როდესაც ქონების შეფასება არ აღემატება 50 მანეთს—შეფასების თანხის 5%-ს; როდესაც ქონების შეფასება 51 მანეთიდან 250 მანეთამდეა —შეფასების თანხის 3%-ს; როდესაც ქონების შეფასება 250 მანეთზე მეტია—შეფასების თანხის $1^1/_2$%-ს.

3. პირუტყვის შენახვისათვის შენახვის გასამრჯელო გადიდდება 50%-ით.

4. უკეთუ ქონების შენახვისათვის საჭირო იქნება რაიმე ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად, დარაჯის დაქირავება, განსაკუთრებული სადგომი ქონებისათვის, პირუტყვის გამოკვება, ქონების გადაზიდვა და ა. შ., ასეთი ხარჯები შემნახველს ცალკე აუნაზღაურდება ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფარგლებში.

5. ქონების მიღებაზე შემნახველი ხელს აწერს თვით აღწერის აქტზე, რომლის ასლი ხელზე მიეცემა მას.

6. სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მიწვეული მცოდნე პირი (ექსპერტი) მიიღებს გასამრჯელოსა და სამგზავრო ხარჯების საზღაურს იმ რაოდენობით, რაც სასამართლოში გამოწვეული ექსპერტებისათვის არის დაწესებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც შესანახად მიღებული ქონება შემოსავალს იძლევა, შემნახველი მოვალეა წარმოადგინოს ანგარიშგება შემოსავალზე.

ფორმა № 1

_____ სსრ იუსტიციის სამინისტრო

195 წ _____ „ ____ „ საქმე № _____ 195 წ _____

_____ სსრ _____ ოლქის, მხარის

_____ რაიონის _____ უბნის სახალხო

სასამართლოს აღმასრულებელი.

ქვითარი № _____ სერია _____ მან. _____ კაპ.

მიღებულია _____ საგან

(გვარი სახელი და მამის სახელი)

გადამხდელის მისამართი _____

თანახმად უწყებისა № _____

(აღინიშნოს სააღსრულებო დოკუმენტის დასახელება და სააღსრულებო წარმოების №)

_____

ვის სასარგებლოდ _____

(გვარი სახელი, მამის სახელი. დაწესებულების სახელწოდება)

თანხა სიტყვებით _____ მან. _____ კაპ.

ქვითარში აღნიშნული თანხა მიიღო სასამართლოს აღმასრულებელმა _____

ბ. ა. გადამხდელის ხელმოწერა _____

საქვითრო წიგნაკის ყდის შიგნითა მხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია				შეტანილია			
წელიწადი თვე და რიცხვი	ქვითრის №	თანხა		თარიღი	ბანკის ქვითრის №	თანხა	
		მან.	კაპ.			მან.	კაპ.
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ი გ ნ ი

_____ სსრ _____ ოლქის (მხარის) _____

_____ რაიონის _____ უბნის (ბინადრობის) _____

სასამართლოს სადეპოზიტო თანხების აღრიცხვისა

ბანკის მიერ ანგარიშზე ჩარიცხვის თარიღი	საქმის №	გადასახდელის დასახელება	გადამხდელი	მიზეზები	თ ა ნ ხ ა							
					შემოსულია			გაცემულია			ნაშთი	
					დოკუმენტის №	მან.	კაპ.	ჩეკისა და დავალების № და თარიღი	მან.	კაპ.	მან.	კაპ.

ფორმა № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყება № _____

_____ რაიონის _____ უბნის
სახალხო სასამართლოს აღმასრულებლისა.

თანახმად _____ რაიონის
_____ უბნის სახალხო სასამართლოს 195 წ.
№ _____ გადაწყვეტილებისა _____
_____ გადახდევინების შესახებ _____
_____ სასარგებლოდ, წინადადებას გაძლევთ აღნიშ-
ნული თანხა შეიტანოთ არა უგვიანეს 195 წ. _____
სახელმწიფო ბანკის _____ განყოფილებაში
_____
_____ ჩასარიცხავად.

სასამართლოს აღმასრულებელი _____

უწყების მეორე გვერდი

სად _____
_____
_____
ვის _____
_____
_____

ფორმა № 4

გაუქმებულია

ფორმა № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის _____

_____

სახალხო სასამართლოს შტამპი

სად _____

_____

გეგზავნებათ რა, თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 339 მუხლისა _____

_____

_____ სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ფურცელი № _____ 195 წ. _____ „ „ თარიღით

მოქ. _____ საგან

მოქ. _____ სასარგებლოდ

გადახდევინების შესახებ, წინადადებას გაძლევთ ყველა სახის ხელფასიდან, რაც მოვალეს ერგება მისაღებად გადასახადების დაქვითვის შემდეგ, აწარმოოთ დაკავება ყოველთვიურად _____

_____

დაკავებული თანხები მიეცით მოქალაქე _____

_____ ხელზე ან გადაუგზავნეთ ფოსტით შემდეგი მისამართით

_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც აღნიშნეთ მოვალის ხელფასის ოდენობა, რომელი პერიოდისათვის იგზავნება ალიმენტი, მოვალის ხელფასის შეცვლის შემთხვევაში ან ხელფასის გაცემის 15 დღეზე მეტი დროით შეჩერების შემთხვევაში, თქვენ მოვალე ხართ ამის შესახებ აცნობოთ გადამხდევინებელსა და სასამართლოს აღმასრულებელს და აღნიშნოთ მიზეზი ხელფასის გაცემის შეჩერებისა.

თანხების დაკავება და გაცემა აწარმოეთ რეგულარულად, ვიდრე არ დაიფარება გადახდევინება ან არ მიიღებთ სასამართლოს აღმასრულებლის განკარგულებას.

მოვალის სამუშაოდან ან სამსახურიდან დათხოვის შემთხვევაში, აღმასრულებელი ფურცელი, მასზე გადახდევინებული თანხის შესახებ აღნიშვნის გაკეთებით და ბეჭდის დასმით, დაუყოვნებლივ დააბრუნეთ სასამართლოში და ამის შესახებ აცნობეთ გადამხდევინებელს.

აღნიშნულის შეუსრულებლობა, ალიმენტის არათავისდროზე დაკავება, ბუღალტერიის მიერ აღმასრულებელი ფურცლის დაკარგვა, დაკავებული თანხების სხვა საჭიროებისათვის გახარჯვა და ა. შ. გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 341 და 345 მუხლების მიხედვით.

დანართი: აღმასრულებელი ფურცელი № _____

სახალხო მოსამართლე _____

(ხელმოწერა)

სასამართლოს აღმასრულებელი _____

(ხელმოწერა)

ფორმა № 6

საალფაბეტო წიგნი

_____ რესპუბლიკის _____ მხარის (ოლქის)

_____ რაიონის _____ უბნის სახალხო

სასამართლოს აღმასრულებლისა.

სააღსრულებო წარმოებათა №	მოვალის სახელწოდება	გადამხდევინებლის სახელწოდება	გადახდევინების არსი
563	ივანოვი გ. პ.	პეტროვა ი. პ.	ალიმენტი
1001	ქარხანა „მანომეტრი“	გავრილოვი ი. პ.	სამსახურში აღდგენა და ხელფასის შესახებ
1010	ქაჩალინა ვ. ფ.	კირილოვი ი. პ.	გადახდევინებულია 100 მან. და სახბაჟი—3 მან.

სასამართლოს აღმასრულებლის საქმისწარმოების ფორმათა ნიმუშები

(ინსტრუქციის 126 მუხლი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____ სსრ იუსტიციის სამინისტრო

_____ ოლქის _____ რაიონის

_____ უბნის სახალხო სასამართლოს

სასამართლოს აღმასრულებელი

ბ ა ნ რ ი გ ი № 1

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების ან იუსტიციის სამინისტროს სამმართველოების ბრძანებებისა, ინსტრუქციებისა და განკარგულებებისა, რაც სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობას შეეხება

195... წლისათვის

დაიწყო _____

დამთავრდა _____

_____ _____ **ფურცელზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____ ოლქის _____ ოსიოსნის

_____ უბნის სახალხო სასამართლოს

სასამართლოს აღმასრულებელი

გ ა ნ რ ი გ ი № 2

ანგარიშისა და სტატისტიკური ცნობებისა სასამართლოს
აღმასრულებლის მუშაობის შესახებ
195 წლის

დაიწყო _____ _____

დამთავრდა _____ _____

_____ ფურცელზე

_____ ოლქის _____ რაიონის

_____ უბნის სახალხო სასამართლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს აღმასრულებელი

ბ ა ნ რ ი ბ ი № 3

ფულადი გასამართლებელი დოკუმენტებისა
195

დაიწყო _____

დამთავრდა _____

_____ ფურცელზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

_____ ოლქის _____

_____ უბნის სახალხო სასამართლოს

სასამართლოს აღმასრულებელი

ბ ა ნ რ ი ბ ი № 4

სასამართლოს აღმასრულებლის შესრულებული მიმოწერისა სხვა პირებთან ისეთი საკითხების შესახებ, რაც სააღსრულებო წარმოებას არ შეეხება

195 წლის

დაიწყო _____

დამთავრდა _____

_____ **ფურცელზე**

_____ სსრ იუსტიციის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____ ოლქის _____ რაიონის

_____ უბნის სახალხო სასამართლოს

სასამართლოს აღმასრულებელი

ბ ა ნ რ ი ბ ი № 5

სასამართლო და სხვა ორგანოების მიერ სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობის შემოწმების აქტებისა
195 წლის

დაიწყო _____

დამთავრდა _____

_____ **ფურცელზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____ ოლქის _____

_____ უბნის სახალხო სასამართლოს

სასამართლოს აღმასრულებელი

გ ა ნ რ ი გ ი № 6

სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მესამე პირთა შემოწმების აქტებისა ამ მესამე პირთათვის გადასახდევინებლად გადაცემულ სააღსრულებო დოკუმენტების მათ მიერ აღსრულების შესახებ

195 წლის

დაიწყო _____

დამთავრდა _____

_____ **ფურცელზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სასამართლოს სრული სახელწოდება)

სააღსრულებო წარმოება

№ _____

_____

_____ საგან

_____

_____ _____ სასარგებლოდ

გადახდევინების შესახებ

ააღსრულებო დოკუმენტი შემოვიდა 195 წ. _____ „_____"

სააღსრულებლო წარმოება დამთავრდა 195 წ. _____ „_____"

(მეორე გვერდი)

თარიღი	სააღსრულებო მოქმედება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამატებითი მასალები

22 მუხლისათვის

§ 1. სასამართლოს აღმასრულებლებისათვის იმ სამგზავრო ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ, რაც სოფელ ადგილას სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან არის დაკავშირებული

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1938 წ. 22 აპრილის № 37 ბრძანება

შემოსული შეკითხვების გამო, თუ რა წესით აუნაზღაურდეს სასამართლოს აღმასრულებლებს ის სამგზავრო ხარჯები, რაც სოფელ ადგილას სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან არის დაკავშირებული—წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ შემდეგი მითითებებით:

1. სასამართლოს აღმასრულებლის გამგზავრება რაიონში სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, განიხილება, როგორც მივლინება და სამგზავრო ხარჯები ანაზღაურებულ უნდა იქნას იმ თანხებიდან, რაც მივლინებისათვის არის ასიგნებული სახალხო სასამართლოს მოცემული უბნისათვის.

2. სამივლინებო თანხების გაცემა უნდა წარმოებდეს შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივნისის დადგენილების მე-6 პუნქტისა — კანონთა კრებული № 16, მუხლი 387. (1940 წ. 4 ივლისის № 225 ბრძანების რედაქციით).

3. გადახდევინების ადგილას სასამართლოს აღმასრულებლის გამგზავრების ხარჯების საზღაურად მოპასუხისაგან გა-

დახდევინებული თანხები შეიტანება მოცემული სასამართლო უბნის სამივლინებო კრედიტების აღსადგენად.

4. სასამართლოს აღმასრულებლის რაიონის ფარგლებში გამგზავრების საჭიროებასა და გამგზავრების ვადებს განსაზღვრავს მოცემული უბნის სახალხო მოსამართლე და ამასთან გამგზავრებას გააფორმებს როგორც მივლინებას.

§ 2. სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს მიცემის შესახებ იმ მუშაობისათვის, რაც მათ ჩაატარეს გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ფულადი თანხების გადახდევინების საქმეში

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარის 1941 წ. 4 ივლისის № 107 ბრძანება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულების შესაბამისად.

ვბრძანებ:

1. დაწესდეს 1941 წ. 1 ივლისიდან სასამართლოს აღმასრულებლებისათვის გადახდევინებული თანხების 5%-ის რაოდენობით პრემიალური გასამრჯელოს გაცემა იმ თანხებიდან, რაც მათ მიერ გადახდევინებული იქნება, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ გაფლანგვისა და მტაცებლობის საქმეებზე.

2. დამტკიცდეს ინსტრუქცია სასამართლოს აღმასრულებლისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემის წესის შესახებ იმ მუშაობისათვის, რაც მათ ჩაატარეს გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ფულადი თანხების გადახდევინების საქმეში.

3. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და იუსტიციის სახალხო კომისარიატების სამხარეო და საოლქო სამმართველოებს სასამართლოების რევიზიის დროს შეამოწმონ პრემიალური გასამრჯელოს დარიცხვისა და სასამართლოს აღმასრულებლისათვის გაცემის სისწორე.

ინსტრუქცია

სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემის წესის შესახებ იმ მუშაობისათვის, რომელ მათ ჩაატარეს გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ფულადი თანხების გადახდევინების საქმეში

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ გაფლანგვისა და მტაცებლობის საქმეებზე (1932 წ. 7 აგვისტოს კანონი, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 162 მუხლის „Г“ და „Д“ პუნქტები და 116 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსთა სათანადო მუხლები)[1] გადახდევინებული თანხებიდან, სასამართლოს აღმასრულებლებს მიეცემათ პრემიალური გასამრჯელო მათ მიერ გადახდევინებული თანხების 5%-ის რაოდენობით.

2. აღრიცხვა გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გადახდევინებული თანხებისა, და აგრეთვე, იმ თანხებისა, რაც პრემიალური გასამრჯელოს სახით უნდა მიეცეს სასამართლოს აღმასრულებლებს, წარმოებს სპეციალური უწყისით (ფორმა თან ერთვის).

უწყისები ინახება სახალხო მოსამართლესთან, როგორც ზუსტი ანგარიშგების ფულადი დოკუმენტები.

3. სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემას გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ჩატარებული მუშაობისათვის, აწარმოებს სახალხო მოსამართლე თვითეული თვისათვის არა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა (1943 წ. 12 ივნისის № 49 ბრძანების რედაქციით).

---

[1] იხ. 1948 წ. 25 მაისის სადირექტივო წერილი 78 გვერდზე.

4-5. გაუქმებულია 1943 წ. 12 ივნისის № 49 ბრძანებით.

6. სახალხო მოსამართლე მოვალეა აღმასრულებელ ფურცელში აღნიშნოს, რომ გადახდევინება წარმოებს ... ფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ... ლად, აგრეთვე, აღნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც მსჯავრი დაედო დამნაშავეს (ან 1932 წ. 7 აგვისტოს კანონი).

უკეთუ ასეთი აღნიშვნა აღმასრულებელ ფურცელში ან სახალხო მოსამართლის მიერ დამატებით გაცემულ ცნობაში არ არის, პრემიალური გასამრჯელოს დარიცხვა არ წარმოებს.

7. ფულადი თანხა, რაც პრემიალური გასამრჯელოს სახით უნდა მიეცეს სასამართლოს აღმასრულებელს, გაიცემა სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშიდან სასამართლოს აღმასრულებლის სახელზე გამოწერილი ჩეკით, რომელსაც ხელს მოაწერს სახალხო მოსამართლე.

8. პასუხისმგებლობა პრემიალური გასამრჯელოს სწორად გაცემისათვის ეკისრება პირადად სახალხო მოსამართლეს.

9. სასამართლოს აღმასრულებლისათვის პრემიალური გასამრჯელოს მიცემაზე უარისთქმა შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოსთან არსებული იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფროსთან, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისართან ან მოკავშირე რესპუბლიკის (სადაც ოლქებად დაყოფა არ არის) იუსტიციის სახალხო კომისართან. საჩივრის გამო ამ პირთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა. (1943 წ. 12 ივნისის № 49 ბრძანების რედაქციით).

10. გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გადახდევინებული თანხიდან სასამართლოს აღმასრულებელი მოახდენს 5%-ის დაკავებას, დაკავებულ თანხას ჩარიცხავს სახალხო სასანართლოს სადეპოზიტო ანგირიშზე და გადახდევინებული თანხის გადამხდევინებლისათვის გადაგზავნისას აცნობებს მას ამ დაკავებას (1943 წ. 12 ივნისის № 49 ბრძანების რედაქციით).

ᲣᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ
ᲖᲣᲡᲢᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲛᲝᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ

ᲣᲬᲧᲘᲡᲘ

სასამართლოს აღმასრულებლისათვის ფულადი პრემიალური გასამრჯელოს მისაცემად გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის საზღაურის გადახდევინების საქმეებზე

195 წ. _____ თვის

№№ რიგზე	საღასრულებო დოკუმენტის შემოსვლის თარიღი	საღასრულებო წარმოების №	მხარეთა სახელწოდება		მუხლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულებისა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“	გადასახდევინებელი თანხა	ფაქტიურად გადახდევინებული თანხა	სასამართლოს აღმასრულებლისათვის პრემიალური სახით გასამრჯელოს მიცემი თანხა	შენიშვნა
			მოპასუხის	გადამხდევინებლის				
	სუ ლ							

_____ მხარის, ოლქის _____ რაიონის _____ უბნის სახალხო მოსამართლე

195 წ. _____ „ „ (ხელმოწერა)

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1941 წ. 4 ივლისის ინსტრუქციის „სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემის წესის შესახებ იმ მუშაობისათვის, რაც მათ ჩაატარეს გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ფულადი თანხების გადახდევინების საქმეში“ შეცვლის შესახებ

1943 წ. 12 ივნისის № 49 ბრძანება
(ამონაკრები)

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებისა „სანოტარო მუშაკების სამუშაო ხელფასისა და სასამართლოს აღმასრულებლებზე პრემიალური გასამრჯელოს გაცემის წესის შესახებ“.

ვბრძანებ:

1. სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამჯელოს გაცემა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობით, იმ მუშაობისათვის, რაც მათ ჩაატარეს გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თანხების გადახდევინების საქმეში, უნდა წარედგინოს თანხების გადახდევინების ვადისდა მიუხედავად.

სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემის წესის შესახებ

1948 წ. 25 მაისის № დ-17 სადირექტივო წერილი

სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემის საკითხის შესახებ შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით, განვმარტავ:

1. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1941 წ. 4 ივლისის № 107 ბრძანებით „სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს გაცემის შესახებ იმ მუშაობისათვის, რაც მათ ჩაატარეს გაფლანგვითა და მტაცებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ფულადი

თანხების გადახდევინების საქმეში“ გათვალისწინებული პრემიალური გასამრჯელო 5% რაოდენობით სასამართლოს აღმასრულებლებს მიეცემა ყველა იმ დანაშაულის საქმეზე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულებით „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

2. პრემიალური გასამრჯელო არ გაიცემა იმ ნაღდი ფულადი თანხიდან, რასაც საგამომძიებლო ორგანო ჩამოართმევს ბრალდებულს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად.

23-29 მუხლებისათვის

გადახდევინების მიქცევის წესი დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის იმ სახსრებზე, რომლებიც სახელმწიფო ბანკში იმყოფებიან

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1946 წ. 14 თებერვლის № 10 ინსტრუქცია.

(ამონაკრები)

თავი II

გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტებით (აღმასრულებელი ფურცელი, არბიტრაჟის ბრძანება და სხვა სააღსრულებო დოკუმენტები)

კარი I

ზოგადი მითითებანი

5. იმ დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ, რომლებსაც ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ან სპეცბანაკში აქვთ, მოვალის ისეთ სახსრებზე გადახდევინების მიქცევის დროს, რაც სახელმწიფო ბანკის სხვაქალაქურ დაწესებულებაშია, სააღსრუ-

ლებო დოკუმენტი უნდა ჩააბარონ ინკასოზე სახელმწიფო ბანკის ან სპეცბანკის იმ დაწესებულებას, რომელშიაც თავიანთი ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიში, ან ოთხ მოვალის იმ ანგარიშზე გადახდევინების მიქცევის დროს, რომელიც სახელმწიფო ბანკის ერთქალაქურ დაწესებულებაშია— უშუალოდ სახელმწიფო ბანკის იმ დაწესებულებას, რომელიც მომსახურებას უწევს გადამხდელს. სააღსრულებო დოკუმენტი წარედგინება ბანკს საინკასო დავალებასთან ერთად (დანართი № 2)[1].

6. ორგანიზაციას, რომელსაც არა აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკის ან სპეცბანკის დაწესებულებაში, აგრეთვე, ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ სააღსრულებო დოკუმენტი სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ანგარიშის მქონე დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან ან ორგანიზაციისაგან თავიანთ სასარგებლო გადახდევინების მოსახდენად წარადგინონ ბინკში მხოლოდ სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით, რომელიც (სასამართლოს აღმასრულებელი) სააღსრულებო დოკუმენტს მოვალის ანგარიშიდან მისჯილი თანხის ჩამოსაწერად ჩააბარებს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას უწყებასთან ერთად.

7. გადახდევინებას მოვალის ანგარიშიდან სახელმწიფო ბანკის დაწესებულება აწარმოებს მხოლოდ დედანი სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე (სასამართლოს აღმასრულებელი ფურცელი, სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანება და ა. შ.). სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება სააღსრულებო დოკუმენტის მაგივრობას ვერ გასწევს.

8. გადახდევინება ბანკის მეშვეობით იმ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელსაც სახელმწიფო ბანკის ან სპეცბანკის დაწესებულებაში აქვს ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიში, წარმოებს სხვაქალაქურ მოვალისაგან მხოლოდ 500 მანეთისა და უფრო მეტი თანხის სააღსრულებო დოკუმენტით, ხოლო ერთქალაქურ მოვალისაგან—მხოლოდ 250 მანეთისა და უფრდ მეტი თანხის სააღსრულებო დოკუმენტით.

---

[1] დანართი არ არის მოყვანილი.

როდესაც ბანკში ერთდროულად წარდგენილია ერთი მოვალისაგან გადასახდევინებლად რამდენიმე სააღსრულებო დოკუმენტი, რომელთა საერთო ჯამი შეადგენს 500 მანეთს და უფრო მეტს (ხოლო ერთქალაქურ მოვალისაგან გადასახდევინებლად 250 მანეთს და უფრო მეტს), წარდგენილ დოკუმენტებს სახელმწიფო ბანკის დაწესებულება მიიღებს გასანაღდებლად თვითეულ ცალკე დოკუმენტის თანხისდა მიუხედავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში მყოფ სახსრებზე გადახდევინების მიქცევა 500 მანეთზე ნაკლები თანხის (ხოლო ერთქალაქური მოვალისაგან გადახდევინების დროს 250 მანეთზე ნაკლები თანხის) სააღსრულებო დოკუმენტით დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს არ გააჩნია სხვა რამ ქონება, რომელზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა. ეს გარემოება დადასტურებულ უნდა იქნას სასამართლოს აღმასრულებლის წარწერით სააღსრულებო დოკუმენტზე.

9. სააღსრულებო დოკუმენტს ცალკეულ მოქალაქეთა სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ, სახელმწიფო ბანკის დაწესებულება მიიღებს სასამართლოს აღმასრულებლისაგან თანხისდა მიუხედავად.

11. სახელმწიფო ბანკის დაწესებულება არ მიიღებს სააღსრულებო დოკუმენტს, თუ ის წარდგენილია იმ ვადის გადაცილებით, რაც დადგენილია სასამართლოსა და საარბიტრაჟო ორგანოს გადაწყვეტილებათა და ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერის სისრულეში მოსაყვანად.

12. იმ აღმასრულებელი ფურცლებისათვის, არბიტრაჟის ორგანოების ბრძანებებისათვის და ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერებისათვის, რომლებიც წარდგენილია ერთი სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან და ორგანიზაციისაგან მეორეთა სასარგებლოდ გადახდევინების მოსახდენად, მოქმედებს ერთი წლის ხანდაზმულობის ვადა.

აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული სასამართლოს მიერ კერძო პირის სასარგებლოდ, წარდგენილ უნდა იქნას გადახ-

დევინებისათვის რსფსრ-ში სამი წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში — იმ ვადებში, რაც ამ რესპუბლიკაში კანონმდებლობით არის დადგენილი.[1]

აღმასრულებელ ფურცელში და არბიტრაჟის ბრძანებაში ვადა, რომლის განმავლობაშიც ეს დოკუმენტი შეიძლება წარდგენილ იქნას გადახდევინებისათვის, აღინიშნება დოკუმენტის ტექსტში. უკეთუ აღმასრულებელი ფურცლის ტექსტში ასეთი აღნიშვნა არ არის, ზემოთ მოყვანილი ვადა, რომლის განმავლობაშიც აღმასრულებელ ფურცელს ძალა აქვს, გამოიანგარიშება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (რსფსრ-ში 10 დღის შემდეგ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, ხოლო დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკებში — გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც ამ რესპუბლიკების კანონმდებლობით არის დადგენილი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებისათვის)[2]. არბიტრაჟის ბრძანებას, რომელშიაც აღნიშნული არ არის მისი ბანკში წარდგენის ვადა, სახელმწიფო ბანკის დაწესებულება დააბრუნებს გაუნაღდებლად.

სააღსრულებლო-წარწერისათვის ზემოაღნიშნული ვადა გამოიანგარიშება სააღსრულებო წარწერის გაცემის დღიდან.

13. დაკარგული სააღსრულებლო დოკუმენტის მაგივრად გაცემული დუბლიკატი შეიძლება წარდგენილ იქნას გადახდევინებისათვის იმ ვადის განმავლობაში, რაც დუბლიკატში არის აღნიშნული. იმ შემთხვევაში, როდესაც დუბლიკატის ტექსტში არ არის აღნიშნული მისი ბანკში წარდგენის ვადა. სახელმწიფო ბანკის დაწესებულება დუბლიკატის გასანაღდებლად მიღების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელებს ამ ინსტრუქციის 12 მუხლში აღნიშნული წესით.

14. სააღსრულებო დოკუმენტის გადაცემა გადახდევინების მოსახდენად სასამართლოს აღმასრულებლისათვის ან ბანკისათვის, შეწყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. ახა-

---

[1] საქართველოს სსრ-ში დადგენილია იგივე ვადა, რაც რსფსრ-ში.

[2] საქართველოს სსრ-ში გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილია თუთხმეტი დღის ვადა.

ლი ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება იმ მომენტიდან, როდესაც სააღსრულებო დოკუმენტს ბანკი ან სასამართლოს აღმასრულებელი დაუბრუნებს გადამხდევინებელს.

15. თანხები, რომლებიც ჩამოწერილია ბანკის დაწესებულებების მიერ სააღსრულებო დოკუმენტებით ისეთი ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელსაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ან სპეცბანკში ანგარიში არ აქვს და აგრეთვე, ცალკეულ მოქალაქეთა სასარგებლოდ, გადამხდევინებელს არ მიეცემა, არამედ გადაირიცხება სათანადო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

კ ა რ ი II

სააღსრულებლო დოკუმენტის განაღდება

17. სააღსრულებო დოკუმენტის განაღდება უნდა მოხდეს მოვალის იმ ანგარიშიდან, რომელიც აღნიშნულია დოკუმენტში. უკეთუ მოვალეს სახელმწიფო ბანკში არა აქვს ის ანგარიში, რომლიდანაც უნდა მოხდეს გადასახდევინებელი თანხის ჩამოწერა, დოკუმენტი დაუბრუნდება გადამხდევინებელს. სააღსრულებო წარწერის ტექსტში არ აღინიშნება მოვალის ანგარიშის სახელწოდება. ამიტომ ბანკმა, იმ დოკუმენტის შინაარსის მიხედვით, რომელზედაც სააღსრულებლო წარწერაა გაკეთებული თვითონ უნდა განსაზღვროს მოვალის რომელი ანგარიშიდან უნდა იქნას ჩამოწერილი გადასახდევინებელი თანხა.

18. როდესაც მოვალის ანგარიშსწორების ანგარიშზე მიქცეულია გადახდევინება ისეთი მოთხოვნით, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალური მშენებლობის ნიადაგზე წარმოშობილი ურთიერთობიდან (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წ. 1 ივნისის № 1101 დადგენილების 5 მუხლი — სსრ კავშირის კანონთა კრებ. 1933 წ. № 36, მუხ. 216), ანგარიშსწორების ანგარიშიდან თანხების ჩამოწერა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს ან არბიტრაჟის სპეციალური დადგენილების საფუძველზე, რომლითაც დადასტურებული იქნება საექსპლოატაციო ნაწილის დავალიანება კაპიტალური მშენებლობისადმი. ამ დადგენილების ასლი წარდგენილ უნდა იქნას ბანკში.

ასეთივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც კაპიტალური მშენებლობის ანგარიშზე მიქცეულია გადახდევინება ისეთი მოთხოვნით, რომელიც გამომდინარეობს ორგანიზაციის საექსპლოატაციო საქმიანობიდან.

19. უკეთუ მოვალე დაუმტკიცებს სახელმწიფო ბანკს, რომ აღმასრულებელი ფურცლით, არბიტრაჟის ბრძანებით ან სააღსრულებო წარწერით გადასახდევინებელი თანხა უკვე გადახდილია მთლიანად მისი ანგარიშსწორების ანგარიშიდან მას შემდეგ, რაც სასამართლოსა და არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილება იყო გამოტანილი ან ნოტარიუსის მიერ აღსრულების წარწერა იყო გაცემული, ბანკი არ მოახდენს გადახდევინებას და სააღსრულებო დოკუმენტს დაუბრუნებს გადამხდევინებელს შეუსრულებელი სახით და თანაც განუმარტავს დოკუმენტის დაბრუნების მიზეზს.

20. 1000 მანეთისა და მეტი თანხის სააღსრულებლო დოკუმენტი შეიძლება განაღდებული იქნას ნაწილობრივად, უკეთუ სახსრები მოვალის ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშზე საკმარისი არ არის სააღსრულებო დოკუმენტის მთლიანად გასანაღდებლად. ნაწილობრივი განაღდება წარმოებს შემდეგი წესით: ბანკი შეაჩერებს ყველა ჩამოწერას ანგარიშიდან, გარდა იმ ჩამოწერებისა, რომლებიც უპირატესობით სარგებლობენ იმ პრენტეზიის წინაშე, რომლის დასაკმაყოფილებლადაც გადახდევინება წარმოებს; როდესაც მოვალის ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშზე დაგროვდება 1000 მანეთი, ეს თანხა გიდაირიცხება გადამხდევინებლის ანგარიშზე.

1000 მანეთზე ნაკლები თანხის სააღსრულებო დოკუმენტის ნაწილობრივი განაღდება არ დაიშვება და იგი განაღდებულ უნდა იქნას მთლიანი თანხის დაგროვების შემდეგ.

21. სახელმწიფო ბანკის დაწესებულება ცალკეულ მოქალაქეებს არ აძლევს ცნობას მათ სასარგებლოდ სააღსრულებო დოკუმენტით გადახდევინების მიმდინარეობის შესახებ. ასეთი ცნობა გაიცემა სასამართლოს აღმასრულებლის მიერ სადეპოზიტო ანგარიშის ამონაწერის საფუძველზე, რომელსაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულება უგზავნის იმ სახალ-

ხო სასამართლოს, რომლის სახელზედაც ეს ანგარიშია გახსნილი, ან იმ ცნობის საფუძველზე, რომელსაც თვითონ სასამართლოს აღმასრულებელი მიიღებს ბანკის დაწესებულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 257, 262, 284, 285 და 287 მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები[1] სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში მყოფი ანგარიშიდან გადახდევინების წარმოებას არ შეეფარდება.

კ ა რ ი III

გადამხდევინებლის მოთხოვნით სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნებისა და სასამართლოს აღმასრულებლისათვის გადაცემის წესი

23. გადამხდევინებელს ყოველ დროს შეუძლია გამოითხოვოს სააღსრულებო დოკუმენტი ან მისცეს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას განკარგულება დოკუმენტის სასამართლოს აღმასრულებლისათვის გადაცემის შესახებ სხვა გზით გადახდევინების მოსახდენად.

24. სახელმწიფო ბანკის დაწესებულება, დოკუმენტის გადამხდევინებლისათვის დაბრუნების ან სასამართლოს აღმასრულებლისათვის გადაცემის დროს, დოკუმენტზე გააკეთებს წარწერას, თანაც აღნიშნავს:

ა) ბანკში დოკუმენტის შემოსვლის თარიღს;

ბ) გადახდევინებული თანხის რაოდენობას (სიტყვებით), უკეთუ ბანკის დაწესებულების მიერ დოკუმენტი ნაწილობრივად იყო განაღდებული;

გ) დოკუმენტის სასამართლოს აღმასრულებლისათვის გალაცემის ან გადახმდევინებლისათვის დაბრუნების თარიღს.

---

[1] საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო ქოდექსის 298, 303, 333, 334 და 336 მუხლები.

კ ა რ ი IV

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო დოკუმენტით საბიუჯეტო დაწესებულებისაგან გადახდევინება

25. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 17 ოქტომბრის № 51/1516 და 1937 წლის 7 აგვისტოს № 104/1317 დადგენილებების (სსრ კავშირის კანონთა კრებ. 1932 წ. № 74, მუხლი 451 და სსრ კავშირის კანონთა კრებ. 1937 წ. № 51 მუხლი 218) საფუძველზე, გადახდევინება საბიუჯეტო დაწესებულებებისაგან, სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის მიცემული სააღსრულებო დოკუმენტით, აგრეთვე გადახდევინება საბიუჯეტო დაწესებულებისაგან სამუშაო ხელფასისა, მოხდება ამ საბიუჯეტო დაწეესბულებათა ხარჯთაღრიცხვის ასიგნობათა ხარჯზე ამ ინსტრუქციის 26-32 მუხლებში აღნიშნული წესით.

26. იმ შემთხვევაში, როდესაც სააღსრულებო დოკუმენტი გაცემულია გადასახდევინებლად:

ა) საკავშირო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისაგან—200 ათას მანეთზე მეტი თანხისა,

ბ) მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისაგან—50 ათას მანეთზე მეტი თანხისა,

გ) ასსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისაგან—10 ათას მანეთზე მეტი თანხისა—გადამხდევინებელი სააღსრულებო დოკუმენტს გადახდევინების მოსახდენად გადასცემს:

1) სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, უკეთუ მოვალე არის საკავშირო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება;

2) სათანადო მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, უკეთუ მოვალე არის მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება;

3) სათანადო საფინანსო განყოფილებას (სამხარეოს, საოლქოს, საოკრუგოს, სამაზროს, რაიონულს, საქალაქოს), იმისდა მიხედვით, თუ რომელ ბიუჯეტზე იმყოფება მოვალე;

4) სასოფლო საბჭოს, როდესაც გადახდევინება წარმოებს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გადახდევინება თვით სასოფლო საბჭოსაგან წარმოებს ამ ინსტრუქციის 33—34 მუხლებში აღნიშნული წესით.

27. სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატები და ადგილობრივი საფინანსო განყოფილებები მოვალენი არიან, ხუთი დღის ვადაში დღიდან საალსრულებო დოკუმენტის მიღებისა, მისცენ განკარგულება ბანკის იმ დაწესებულებას, სადაც მოვალის ანგარიში იმყოფება საალსრულებო დოკუმენტის განაღდების შესახებ მოვალის საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშზე მყოფი ყველა კრედიტისა ან სახსრის ხარჯზე. ეს განკარგულება გაიცემა საალსრულებო დოკუმენტზე სათანადო წარწერის გაკეთებით, რომელსაც დაესმის ბეჭედი და, რომელიც უნდა იყოს შემდეგი შინაარსის:

„სახელმწიფო ბანკის . . . . . კანტორას (განყოფილებას). ამ საალსრულებო დოკუმენტით ხუთი დღის ვადაში გადარიცხეთ (მოვალე დაწესებულების სახელწოდება) საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშიდან (მოვალე დაწესებულების ანგარიშის №) გადამხდევინებლის ანგარიშზე . . . მან. (თანხა სიტყვებით) ვალზე მისჯილი პროცენტებით ვალის დაფარვის ღღემდე“.

19_____ წ. _____ “_____”

ხელმოწერა _____

ბეჭედი

საფინანსო ორგანო საალსრულებო დოკუმენტს ასეთი წარწერით გადაუგზავნის გასანაღდებლად სახელმწიფო ბან-

კის სათანადო დაწესებულებას თავისი მიმართვით, რომელიც იგზავნება ორ ცალად აქვე დართული ფორმის მიხედვით (დანართი № 3)[1].

28. როდესაც სააღსრულებო დოკუმენტი [illegible] სასოფლო საბჭოს იმ ორგანიზაციისაგან გადახდევინებლ[illegible] სახდენად, რომელიც სასოფლო ბიუჯეტზე იმყოფება, დოკუმენტს გაანაღდებს თვითონ სასოფლო საბჭო სასოფლო ბიუჯეტის სახსრებიდან.

უკეთუ სასოფლო საბჭო ხუთი დღის ვადაში არ გაანაღდებს მისჯილ თანხას, გადახდევინებას სააღსრულებო დოკუმენტით მოახდენს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი ამ ინსტრუქციის 33—34 მუხლში აღნიშნული წესით.

29. იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდევინებელი თანხა 26 მუხლში აღნიშნულ რაოდენობაზე ნაკლებია, სააღსრულებო დოკუმენტი გადამხდევინებლის მიერ გაეგზავნება სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებას საერთო წესით (ამ ინსტრუქციის 5 მუხლი) და მას ბანკი გაანაღდებს მოვალის საბიუჯეტო ან მიმდინარე ანგარიშზე მყოფ ყველა კრედიტის ან სახსრის ხარჯზე იმ კრედიტებისა და სახსრების გარდა, რაც იმყოფება მოვალისადმი დაქვემდებარებულ კრედიტების განმკარგულებელთა ანგარიშზე.

უკეთუ მოვალის საბიუჯეტო ან მიმდინარე ანგარიშზე რიცხული კრედიტების ან სახსრების ნაშთი გადასახდევინებელ თანხას მთლიანად ვერ დაჰფარავს, დანარჩენ თანხას გაანაღდებს უშუალოდ თვითონ ბანკი მოვალისათვის შემდეგი, მორიგი კრედიტების გახსნის ან სახსრების გადარიცხვის დროს.

30. გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტით საბიუჯეტო დაწესებულებისაგან სპეციალური და სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯზე, აგრეთვე გადახდევინება იმ საგადასახდელო მოთხოვნებით და საგადასახდელო დავალებებით. რომლებსაც სააღსრულებო დოკუმენტის ძალა აქვთ, წარმოებს საერთო წესით თანხისადა მიუხედავად (ამ ინსტრუქციის 5-24 მუხლები).

---

[1] დანართი არ არის მოყვანილი.

31. საბიუჯეტო ორგანიზაციისაგან გადახდევინების მოსახ-
დენად სახელმწიფო ბანკის დაწესებულება იღებს 500 მანეთ-
ზე ნაკლები თანხის საალსრულებო დოკუმენტსაც.

მოთხოვნას ისეთი დავალიანების დაფარვის შესახებ, რომ-
ლის გადახდევინება, კანონის თანახმად, უდავო წესით
მოებს (როგორც, მაგალითად, სოცდაზღვევის ხაზით დავა-
ლიანების), გადამხდევინებელი თანხისდა მიუხედავად პირდა-
პირ გადაუგზავნის, საფინანსო ორგანოს გარეშე, სახელმწიფო
ბანკის იმ დაწესებულებას, სადაც მოვალის ანგარიშია.

32. საბიუჯეტო დაწესებულებისაგან გადახდევინების საქ-
მის განხილვის დროს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები
და სასამართლოები მოვალენი არიან ზუსტად გამოარკვიონ
სახელდობრ, რომელ ბიუჯეტზე იმყოფება მოპასუხე დაწე-
სებულება და თანაც აღნიშნონ ეს გადაწყვეტილებაში.

ამ მიზნით, საბიუჯეტო დაწესებულებისაგან გადახდევინე-
ბის საქმის განხილვის დროს, უკეთუ საკითხი მოპასუხე და-
წესებულების დაფინანსების წყაროს შესახებ საკმარისად
ნათელი არ არის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებმა და
სასამართლოებმა ეს საკითხი უნდა შეამოწმონ იმ ქალაქის
საფინანსო განყოფილებაში, სადაც არბიტრაჟი და სასამართ-
ლო იმყოფება.

კ ა რ ი V

სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშიდან სახსრების იძუ-ლებითი ჩამოწერა

33. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 აგვისტოს № 1684 და 1935 წ. 4 ოქტომბრის № 2234 (სსრ კავშირის კანონთა კრ. 1935 წ. № 42, მუხლი 358 და № 54, მუხლი 445) დადგენილებების შესაბამისად, სასოფლო საბჭოს ანგარიშიდან სახსრების იძულებითი ჩამოწერა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლით, და აგრეთვე რაიაღმასკომის, ყოველ კერძო შემთხვევაში განსაკუთრებული გადაწყვეტილების საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში უკანონოდაა ჩარიცხული თანხა, რომელიც ეკუთვნის საკავშირო ბიუჯეტს ან მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს ან ზემდგომ ადგილობრივ ბიუჯეტს;

ბ) სასოფლო საბჭოს მიერ შესრულებული არ არის ზემდგომი ბიუჯეტის სახსრებიდან მიღებული სესხის დაფარვის ვალდებულება;

გ) სასოფლო საბჭოს მიერ შესრულებული არ არის ბიუჯეტის დამტკიცების დროს დადგენილი ვალდებულება რეგულირების ფონდში ანარიცხების შეტანის შესახებ;

დ) რაიონული ბიუჯეტიდან გადახდილია სასოფლო ბიუჯეტის ხარჯზე სამედიცინო და სხვა მუშაკების სამუშაო ხელფასის დავალიანება;

ე) სასოფლო საბჭოს მიერ შეტანილი არ არის სოციალური დაზღვევის ანარიცხები.

34. ამ ინსტრუქციის 33 მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში რაიაღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოწერისას განკარგულებას ბანკის მიმართ სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოწერის მოხდენის შესახებ გასცემს რაიონული საფინანსო განყოფილება. ასეთი განკარგულება გაიცემა რაიონული საფინანსო განყოფილების უფროსის ხელმოწერით, რაც დამოწმებული უნდა იქნეს ბეჭდის დასმით. განკარგულებას თან უნდა დაერთოს ასლი რაიაღმასკომის გადაწყვეტილებისა, რომლის საფუძველზედაც რაიონულმა საფინანსო განყოფილებამ ეს განკარგულება გასცა.

კ ა რ ი VI

გადახდევინება კოლმეურნეობისაგან და კოლმეურნეობის სასარგებლოდ

35. კოლმეურნეობის მიმდინარე ანგარიშიდან თანხების იძულებითი ჩამოწერა ყველა შემთხვევაში, და მათ შორის გადასახადების, სავალდებულო ქონებრივი დაზღვევისა და სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებათა ხაზით ჩაუბა-

რებელი პროდუქტების გადასახდელთა და ჯარიმების გადახ-
დევინების დროს წარმოებს მხოლოდ სასამართლოს მიერ
გაცემული აღმასრულებელი ფურცლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ ფურცელს კოლმეურნეობისაგან გადახდევ-
ვინების მოსახდენად გადამხდევინებელი წარადგენ
საერთო წესით (5 და 6 მუხლი)

37. კოლმეურნეობის ანგარიშიდან აღმასრულებელი ფურ-
ცლით სახსრების ჩამოწერა დაიშვება მხოლოდ არა უმეტეს
იმ სახსრების ნაშთის 70% სა, რაც ჩამოწერის დღისათვის
მიმდინარე ანგარიშზეა. დანარჩენ 30%-ზე გადახდევინება არ
მიიქცევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის მიმდინარე
ანგარიშზე რიცხული სახსრების ნაშთის 70% საკმარისი არ
არის გადასახდევინებელი თანხის დასაფარავად, სააღსრუ-
ლებო დოკუმენტის შემდგომი განაღდება წარმოებს მიმდი-
ნარე ანგარიშზე შემდეგში შემოსული თანხების 70%-ის ხარჯ-
ზე, ვიდრე მთლიანად არ იქნება განაღდებული სააღსრულე-
ბო დოკუმენტი.

40. სააღსრულებო დოკუმენტს კოლმეურნეობის სასარ-
გებლოდ გადახდევინების მოსახდენად ბანკი მიიღებს ინკა-
სოზე თანხისდა მიუხედავად.

41. კოლმეურნეობისაგან და კოლმეურნეობის სასარგებ-
ლოდ გადახდევინებას არ შეეფარდება ამ ინსტრუქციის 20
მუხლით გათვალისწინებული ჩამოწერის მინიმალური თანხა,
რაც სააღსრულებო დოკუმენტის ნაწილობრივ განაღდები-
სათვის არის დადგენილი.

52 მ უ ხ ლ ი ს ა თ ვ ი ს

კოლმეურნეთა მიერ შრომადღეებით მიღებულ შემოსავალზე გადახდევინების მიქცევის წესების შესახებ

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს პ ლ ე-
ნ უ მ ი ს 1948 წ ლ ი ს 13 ა გ ვ ი ს ტ ო ს № 15 (16) უ

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

(ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი)

სააღსრულებო დოკუმენტებით გადახდევინების მიქცევა
კოლმეურნეთა მიერ შრომადღეებით მიღებულ შემოსავალზე,

მათ შორის ავანსებზედაც, წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რაც დადგენილია მუშისა და მოსამსახურის სამუშაო ხელფასზე გადახდევინების მისაქცევად (რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 289 მუხლი, რსფსრ-ის, კავშირ რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

87—93 მ უ ხ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ბავშვების შესანახად სახსრების გადახდევინების საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლები სასამართლოს პლენუმის 1950 წ. 4 აგვისტოს დადგენილება № 14 (10) უ

(ამონაკრები)

9. მუშებისა და მოსამსახურეებისაგან ბავშვების შესანახი ალიმენტების მისჯა უნდა წარმოებდეს სამუშაო ხელფასთან წილადობითი შეფარდებით, $^1/_4$, $^1/_3$, ან $^1/_2$ რაოდენობით მოპასუხის სამუშაო ხელფასის იმ თანხიდან, რაც მას ერგება მისაღებად სამუშაო ხელფასიდან იმ გადასახადების დაკავების შემდეგ, რითაც მოპასუხე დაბეგრილია მისი სამუშაო ხელფასის მიხედვით.

ალიმენტის გადახდევინება მუშებისა და მოსამსახურეებისაგან უნდა წარმოებდეს როგორც ძირითად სამუშაო ხელფასიდან, ისე შრომის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი სახის გასამრჯელოდან, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს, როგორიც არის: შრომის ნატურალური ანაზღაურება, ყოველთვიური დანამატი წელთა დამსახურებისათვის და შორეული ჩრდილოეთში და შორეულ ადგილებში მუშაობისათვის, პრემიალური ფულადი თანხები, რაც გაიცემა სამუშაო ხელფასის ფონდიდან და რასაც ერთდროული წამახალისებელი გასამრჯელოს ხასიათი არა აქვს და ა. შ.

ალიმენტის გადახდევინება პენსიიდან და დროებითი შრომის დახმარებიდან უნდა წარმოებდეს როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეს სხვა შემოსავალი არა აქვს,

ისე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოპასუხე პენსიის გარდა იღებს სამუშაო ხელფასს, კოლმეურნეობაში გამომუშავებულ შრომადღეებიდან შემოსავალს ან შემოსავალს ხელოსნობიდან და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიმენტის გადახდევინება არ მიიქცევა იმ თანხაზე, რაც შრომის კანონმდებლობის თანახმად მუშაკს ეძლევა კომპენსაციის სახით, როგორიც არის: გამოსასვლელი დახმარება, დღიურები და გადასასვლელი დახმარება სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით და სამივლინებო, დამატებით გასამრჯელოზე იმ მუშაობისათვის, რაც დაკავშირებულია სისტემატურ მიმოსვლებთან, მაგალითად, დანამატი საველე რჩენისათვის, რაც ეძლევათ ნაცვლად დღიურებისა გეოდეზიის, კარტოგრაფიის მუშაკებს და ა. შ.; პრემიებზე, რაც ეძლევათ გამოჩენილი შრომებისათვის მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში; ერთდროულ გასამრჯელოს თანხაზე, რაც გაიცემა ტექნიკური გაუმჯობესებისა და გამოგონებისათვის დაჯილდოვებისას; თანხებზე, რაც მიეცემათ ნაცვლად სასურსათო ულუფისა და სანივთო მომარაგებისა სამხედრო მოსამსახურეებს და მუშაკებს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსი, შინაგან საქმეთა სამინისტროსი, ტრანსპორტისა და წარმოებების გასამხედროებული დაცვისა, სახანძრო დაცვის და სხვ.

ალიმენტის გადახდევინება არ წარმოებს გამოყენებული შვებულების კომპენსაციიდან, მაგრამ, უკეთუ ალიმენტის გადამხდელი პირი სამუშაოდან დათხოვნის დროს მიიღებს გამოუყენებული შვებულებისათვის რამდენიმე თვის კომპენსაციას იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე წლის შვებულება არის შეერთებული, ალიმენტი დაკავებული უნდა იქნას კომპენსაციის თანხებიდან ავანსად შვებულების მთელი იმ პერიოდისათვის, რა პერიოდისათვისაც გაცემულია კომპენსაცია.

ამ შემთხვევაში საალიმენტო გადასახდელის ოდენობა გამოანმარიშებულ უნდა იქნას მოვალის თვიური საშუალო სამუშაო ხელფასის მიხედვით.

გადახდევინებული თანხები დაწესებულებამ ან საწარმომ უნდა შეიტანოს სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და სასამართლომ უნდა მისცეს გადამხდევინებელს იმ ვადებში, რაც აღმასრულებელ ფურცელში არის აღნიშნული.

როდესაც მოვალე სამუშაოზე ჩადგება ალიმენტების გადახდევინება სადეპოზიტო ანგარიშიდან შეწყდება მოვალის განცხადებით და მორიგი საალიმენტო გადასახდელის გადახდევინება უნდა მოხდეს მოვალის იმ სამუშაო ხელფასიდან, რასაც ის მიიღებს ახალ სამუშაო ადგილას.

ასეთ შემთხვევაში სადეპოზიტო ანგარიშზე დარჩენილი თანხა, სასამართლოს დადგენილებით უნდა დაუბრუნდეს მოვალეს.

10. ბავშვების შესანახი ალიმენტების მისჯა კოლმეურნისაგან წარმოებს მოპასუხის მიერ გამომუშავებული შრომადღეების $^1/_4$, $^1/_3$, $^1/_2$ რაოდენობით. უკეთუ მოპასუხეს გარდა შრომადღეების შემოსავლისა აქვს დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთის მეურნეობიდან ან გარე სამუშაოდან და ხელოსნობიდან, სასამართლომ გარდა შრომადღეებიდან პროცენტული მიმართებით ალიმენტის გადახდისა უნდა დააკისროს მოპასუხეს აგრეთვე, გადახდა ყოველთვიურად განსაზღვრული ფულადი თანხისა, რასაც სასამართლო განსაზღვრავს მოპასუხის დამატებითი შემოსავლისა და მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით.

უკეთუ ბავშვის დედა, რომელიც ალიმენტს ახდევინებს კოლმეურნეს, მოცემული კოლმეურნეობის წევრი არ არის, მოსარჩელის თხოვნით სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს ალიმენტი არა პროცენტული მიმართებით შრომადღეებთან, არამედ ფულადი თანხით, რაც განისაზღვრება მხარეთა მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით.

11. სასამართლოს მიერ ალიმენტების მისჯა იმ პირთაგან, რომლებიც არ იღებენ ყოველთვიურ ხელფასს, არამედ აქვთ ცვალებადი საშოვარი (მწერლები, მუსიკოსები, მხატ-

ვრები), ან რომლებიც ცხოვრობენ მეურნეობის შემოსავალით (ერთპიროვნული გლეხები, ხელოსნები), წარმოებს ყოველთვიური ფულადი თანხის სახით, რასაც სასამართლო განსაზღვრავს ბავშვის ინტერესებისა და მხარეთა მატერიალური მდგომარეობს მხედველობაში მიღებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ალიმენტი უნდა მიესაჯოს, როგორც წესი, სარჩელის აღძვრის დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც მასარჩელე წარადგენს საქმეზე მტკიცებას, რომ იგი სარჩელის აღძვრამდე იღებდა ზომებს მოპასუხისაგან ალიმენტების მისაღებად, მაგრამ ვერ შეძლო ასეთის მიღება იმის გამო, რომ მოპასუხე თავს არიდებდა ალიმენტების გადახდას, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა მიხედვით გადაახდევინოს მოპასუხეს ალიმენტი წარსული დროისათვის, მაგრამ იმ საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებით.

13. ბავშვების შესანახი სახსრების გადახდევინების საქმის გადაწყვეტისას, იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვები რჩებიან თვითეულ მშობელთან, სასამართლო ალიმენტის ოდენობას, რაც უნდა გადახდეს ერთ მშობელს მეორე, მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მშობლის სასარგებლოდ, განსაზღვრავს ფულადი თანხით მხარეთა მატერიალური მდგომარეობისდამიხედვით, მაგრამ იმ ფარგლებში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით.

14. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ მოპასუხეს დაეკისრება ალიმენტების გადახდა სხვადასხვა დედის ბავშვებისათვის სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილებით, და ამასთან ალიმენტების საერთო, შეჯამებული ოდენობა აღემატება იმ ოდენობას, რაც დაწესებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით, ალიმენტის გადამხდელს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი თვითეულ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც არის გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება

ალიმენტის გადახდევინების შესახებ და მოითხოვოს მოცემული სასამართლო გადაწყვეტილებით მისჯილი ალიმენტის სათანადოდ შემცირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მხდევინებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ალიმენტის გადამხდელმა სასარჩელო განცხადებას უნდა დაურთოს სათანადოდ შემოწმებული ასლები ყველა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა, რომლებითაც მას ალიმენტის გადახდა დაეკისრა.

ასეთი სარჩელის განხილვისას, სასამართლო, მიიღებს რა მხედველობაში ალიმენტების საერთო ოდენობას, რაც თანახმად სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებისა გადახდილ უნდა იქნას სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებით, განსაზღვრავს ალიმენტების ახალ ოდენობას მოცემული სარჩელისათვის შესაბამის წილში, რაც მოუწევს თვითეულ იმ ბავშთაგანს, რომელთა შესახებაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება; ასე, მაგალითად, როდესაც ალიმენტების გადახდევინება ხდება ოთხი ბავშვისათვის, თვითეულ ბავშვს წილად უნდა ხვდეს ალიმენტის გადამხდელის სამუშაო ხელფასის $^1/_8$ ($50^0/_0 : 4$).

უკეთუ გადამხდევინებლის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო საქმე ალიმენტების შემცირების შესახებ განხილულ იქნება არა იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც საქმე პირველად გადაწყვიტა, ალიმენტების ოდენობის შემცველი სასამართლო მოვალეა თავის გადაწყვეტილების ასლი გაუგზავნოს იმ სასამართლოს, რომელმაც პირველად გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე.

უკუთუ ალიმენტის გადამხდელი, რომელსაც ბავშვების შესანახად უნდა დაუკავდეს სამუშაო ხელფასის $50^0/_0$-ზე მეტი, არ სვამს საკითხს ალიმენტების შემცირების შესახებ, გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის სასამართლოს აღმასრულებელი მოახდენს დაკავებული თანხების გადამხდევინებელთა შორის განაწილების გაანგარიშებას და ამ

გაანგარიშებას დასამტკიცებლად გადასცემს სახალხო მოსამართლეს (რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები)[1]; სასამართლოს აღმასრულებელმა გაანგარიშების მოხდენის შესახებ უნდა აცნობოს გადამხდევინებლებს.

15. განმარტებულ იქნას, რომ აღმასრულებელი ფურცლით წარსული დროის ალიმენტის გადახდევინება შეიძლება წარმოებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც წინ უძღვის აღმასრულებელი ფურცლის გადახდევინებისათვის წარდგენას.

მოპასუხე შეიძლება განთავისუფლებულ იქნას მთლიანად ან ნაწილობრივ დავალიანების გადახდისაგან მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილია მოპასუხის სარჩელით მასზე დაგროვილი დავალიანების მოხსნის ან შემცირების შესახებ.

ალიმენტების დავალიანების მოხსნის ან შემცირების საკითხს სასამართლო გადაწყვეტს იმისდამიხედვით, თუ რამდენად პატივსადებია ის მიზეზი, რამაც დავალიანება წარმოშვა და როგორია მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდევინებისათვის წარდგენილი აღმასრულებელი ფურცლით ალიმეტის დაკავება მოპასუხის ძებნის გამო არ წარმოებდა, ალიმენტის გადახდევინება უნდა მოხდეს მთელი წარსული დროისათვის, დაწესებული ხანდაზმულობის ვადისდა მიუხედვად.

ამ შემთხვევაში ალიმენტების დავალიანებას სასამართლო განსაზღვრავს გამომდინარე იმ სამუშაო ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან, რაც მიიღო მოპასუხემ დავალიანების დაგროვების პერიოდში. ასეთი დავალიანების გადახდევინება უნდა წარმოებდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის პირი,

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. კოდ. 309 მუხლი.

ვის შესანახადაც ალიმენტია მისჯილი, მიაღწევს სრულწლოვანებას.

16. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ალიმენტების გადახდევინება იმ დროისათვის, რომელსაც მოპასუხე იმყოფება გაწვევით საბჭოთა არმიაში და ფლოტში, ან ავად არის და არ იღებს დროებითი შრომისუუნარობის დახმარებას, აგრეთვე სხვა შემთხვევის გამო არა აქვს სამუშაო, შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოპასუხეს გააჩნია ისეთი ქონება, რომელზედაც კანონით შესაძლებელია გადახდევინების მიქცევა. ამ შემთხვევაში გადასახდევინებელი ალიმენტების ოდენობა განსაზღვრულ უნდა იქნას არა წილადობითი შეფარდებით იმ სამუშაო ხელფასთან, რასაც მოპასუხე იღებდა ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო მუშაობის შეწყვეტამდე, არამედ მტკიცე ფულადი თანხით, რასაც სასამართლო ყოველ კერძო შემთხვევაში განსაზღვარავს მოპასუხის მატერიალური მდგომარეობის მიხედვით.

ვადიანი სამსახურის სამხედრო მსახურთ, რომლებიც თვეში ფულად განაკვეთს იღებენ 100 მანეთისა და მეტის ოდენობით, ალიმენტები ბავშვების შესანახად გადახდებათ საერთო წესით.

17. იმ პირთაგან, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სასამართლოს მიერ მისჯილი ალიმენტებისა და აგრეთვე, სხვა დავალიანების გადახდევინება წარმოებს რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდსქსის XXIII თავში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო თავებში[1] მოხსენებული საერთო წესით ხელფასის იმ თანხიდან, რაც მათ ერგებათ განკუთვნილი კვების საფასურის დაკავების შემდეგ.

უკეთუ პატიმრის ხელფასიდან დაკავებული ალიმენტი საკმარისი არ არის ბავშვის შესანახად, გადახდევინება შეიძ-

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ, საპრ. კოდ. XXIX თავი.

ლება მიქცეულ იქნას მსჯავრდადებულის ქონებაზე, რაც მის პირად საკუთრებას წარმოადგენს, ან მის ხვედრ წილზე საერთო საკუთრებაში ან გლეხური და საკოლმეურნეო კომლის საერთო ქონებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიმენტის გადახდევინება აღმასრულებელი ფურცელი მოპასუხისაგან, რომელიც შრომა-გამასწორებელ სამუშაოს იხდის, უნდა წარმოებდეს მოპასუხის სამუშაო ხელფასის მთელი თანხიდან, სასამართლოს განაჩენით მისჯილი დაკავების წინასწარ გამოუკლებლად.

რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 289 მუხლსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების[1] წესი, რომლითაც დადგენილია, რომ მუშა-მოსამსახურეს ყოველ შემთხვევაში უნდა შეენახოს ხელფასის 50%, ასეთ შემთხვევაზე არ გავრცელდება.

18. სასამართლოების ყურადღება მიქცეულ იქნას იმაზე, რომ საჭიროა ზუსტად სრულდებოდეს კანონის მოთხოვნა სასამართლო ოქმებისა და გადაწყვეტილებების შესახებ. სასამართლოს სხდომის ოქმი სრულად უნდა ასახავდეს სასამართლოს სხდომის მსვლელობას და მასში ზუსტად და ნათლად უნდა იყოს გადმოცემული მხარეთა და მოწმეთა განმარტებანი. სასამართლოს სხდომის ოქმში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად და სრულად უნდა აღინიშნოს მხარეთა სახელი, მამის სახელი და გვარი, მოპასუხის დაბადების წელი და ადგილი, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, იმ ბავშვის სახელი და დაბადების თარიღი, რომლის სასარგებლოდაც ხდება ალიმენტების მისჯა. ეს ცნობები შეიტანება პასპორტის, ბავშვის დაბადების მოწმობისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი მოტივები, რომლებიდანაც უნდა ჩანდეს რით ხელმძღვანელობდა სასამართლო,

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 339 მუხლი.

როდესაც საქმეს სწყვეტდა და როგორ შეაფასა მან საქმეში არსებული მტკიცებანი.

19. აღმასრულებელი ფურცელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ გამოწერილ უნდა იქნას არა უგვიანეს მეორე დღისა დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა და სასამართლომ უნდა გადაუგზავნოს იგი სასამართლოს აღმასრულებელს გადახდევინების მოსახდენად, გადამხდევინებლის თხოვნისდა მიუხედავად.

გადამხდევინებლის მოთხოვნით აღმასრულებელი ფურცელი უნდა მიეცეს მას ხელზე.

სასამართლოს აღმასრულებლისათვის აღმასრულებელი ფურცლის გაგზავნის შესახებ სასამართლომ გადამხდევინებელს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება, თანაც ზუსტად აღნიშნოს შეტყობინებაში აღმასრულებელი ფურცლის გადაცემის ან გადაგზავნის დრო და სასამართლოს აღმასრულებლის სახელწოდება.

20. როდესაც ერთსა და იმავე მოპასუხის მიმართ წარდგენილია გადახდევინებისათვის რამოდენიმე აღმასრულებელი ფურცელი, რომელთაგან ერთის მიხედვით გადახდევინებულ უნდა იქნას განსაზღვრული ფულადი თანხა, ხოლო სხვათა მიხედვით წილი მოპასუხის სამუშაო ხელფასიდან, და როდესაც მოპასუხისაგან დაკავებული თანხა სამუშაო ხელფასის 50% რაოდენობით საკმარისი არ არის ყველა გადამხდევინებლის დასაკმაყოფილებლად, სასამართლოს აღმასრულებელმა, თანახმად რსფსრ საქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებისა[1], მოპასუხისაგან დაკავებული თანხა უნდა გაანაწილოს გადამხდევინებელთა შორის თვითეული გადასახდევინებელი თანხის თანაზომიერად, პრეტენზიათა დაკმაყოფილების რიგისობის მხედველობაში მიღებით.

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309 მუხლი.

მაგალითად, სამუშაო ხელფასის 50% შეადგენს 450 მანეთს. მოპასუხის მიმართ წარდგენილია ორი აღმასრულებელი ფურცელი: ა) მშობლების შესანახად —200 მან. და ბ) 2 ბავშვის შესანახად—სამუშაო ხელფასის 1/3. გადახდევინების საერთო ჯამი—500 მან; გადახდევინების თვითეულ მანეთს მოდის 90 კაპ. $\left(\frac{450 \times 100}{500} = 90\right)$. ამრიგად, პირველი აღმასრულებელი ფურცლით განაღდებული უნდა იქნას 180 მან., ხოლო მეორეთი—270 მან.

21. სასამართლოებმა უნდა იქონიონ მხედველობაში, რომ შუამდგომლობა აღმასრულებელი ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ განხილულ უნდა იქნას სასამართლოს სხდომაზე აუცილებლად მხარეთა დაბარებით (რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 190 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები)[1].

22. უკეთუ საქმეზე დამტკიცებული იქნა მოპასუხის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება თავისი მშობლიური მოვალეობის შესრულებისადმი ბავშვების აღზრდისა და შენახვის საქმეში, სასამართლო მოვალეა გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად კერძო დადგენილებით აცნობოს ამის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოპასუხის მუშაობის ადგილის მიხედვით, ხოლო მოპასუხის მიერ ალიმენტების გადახდისაგან ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში გამოიტანოს დადგენილება მოპასუხის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 158 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად[2].

23. სასამართლომ პასუხისგებაში უნდა მისცეს რსფსრ

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 199 მუხლი.

[2] საქართველოს სსრ სისხლის სამართ. კოდ. 166 მუხლი.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 291 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებით[1] ეს ფანდენ-ბობის პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან იმაში, რომ საალიმენტო თანხები თავის დროზე არ იყო დაკავებული ან გადაგზავნილი დანიშნულებისამებრ და სასამართლოს აღმასრულებლისათვის გაგზავნილი არ იქნა ის ცნობები, რაც საჭირო იყო მოპასუხისაგან ალიმენტების სწორი და დროული გადახდევინების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოქმედებანი შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას, სასამართლოებმა დამნაშავე თანამდებობის პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მისცენ.

§ 2. წელთა დამსახურებისათვის ერთდროული გასამრჯელოდან ბავშვების შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1951 წ. 6 აპრილის № 4(9) უ დადგენილება

სასამართლოს პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი, შეიძლება თუ არა ბავშვების შესანახი ალიმენტების გადახდევინება იმ ერთდროული გასამრჯელოს თანხებიდან, რაც წელთა დამსახურებისათვის მიეცემათ ნახშირის, ნავთობის, მეტალურგიული და მთელი რიგი სხვა დარგის მრეწველობის მუშაკებს.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების 7 მუხლის „გ“ პუნქტის წესისამებრ, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წინაშე დასვა საკითხი სასამართლოებისათვის სათანადო მითითებების მიცემის შესახებ.

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 341 მუხლი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა რეკომენდაცია მიეცეს სასამართლოებს შემდეგი მითითება:

მიეთითოს სასამართლოებს, რომ იმ ერთდროულად გასამრჯელოს თანხებიდან, რაც მთავრობის სპეციალურად დამტკიცებული ნორმების საფუძველზე მიეცემათ წელთა დამსახურებისათვის ნახშირის, ნავთობის, მეტალურგიული და მთელი რიგი სხვა დარგის მრეწველობის მუშაკებს, სასამართლოს მიერ მისჯილი ბავშვების შესანახი სახსრების გადახდევინება წარმოებს იმავე საფუძვლით რა საფუძვლითაც წარმოებს ალიმენტების გადახდევინება მოპასუხის სამუშაო ხელფასიდან.

§ 3. საალიმენტო საქმეებზე სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1940 წ. 2 თებერვლის № 10 ბრძანება

(ამონაკრები)

4. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებს, ისტიციის სახალხო კომისარიატის სამხარეო და საოლქო სამმართველოების უფროსებს და სახალხო მოსამართლეებს დააწესონ სისტემატური კონტროლი სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობაზე ალიმენტების გადახდევინების საქმეში და მიაღწიონ იმას, რომ საალიმენტო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება სრულდებოდეს ზუსტად კანონით დადგენილ ვადებში.

6. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებს, იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამხარეო და საოლქო სამმართველოების უფროსებს და სახალხო მოსამართლეებს აღკვეთონ მოპასუხის მოუძებნელობის გამო შეუსრულებელი სასამართლო წარმოების დამთავრებულ საქმეებზე მიკუთვნების არსებული პრაქტიკა. ყველა ეს საქმე აღებულ იქნას განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ, ამასთან მიღებულ უნდა იქნას ზომები მოპასუხის

საცხოვრებელი ადგილის დასადგენად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახალხო სასამართლო ასეთს ვერ დაადგენს, გამოცხადებულ იქნას ძებნა მილიციის ორგანოების მეშვეობით, აღმასრულებელი ფურცელი კი დატოვებულ იქნას აღრიცხვაში სასამართლოს წარმოებაში.

7. დადგენილ იქნას ალიმენტების გადახდევინების შესახებ აღმასრულებელი ფურცლის გაცემისა და აღსასრულებლად წარმართვის შემდეგი წესი:

ა) სახალხო სასამართლო დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, როგორც წესი, აღმასრულებელ ფურცელს გადახდევინების მოსახდენად გადასცემს სასამართლოს აღმასრულებელს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე ცხოვრობს და მუშაობს იმ სახალხო სასამართლოს რაიონის გარეშე, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, აღმასრულებელ ფურცელს ალიმენტების გადასახდევინებლად სახალხო სასამართლო გაუგზავნის იმ სასამართლოს აღმასრულებელს, რომლის რაიონშიაც მოპასუხე ცხოვრობს და მუშაობს;

ბ) აღმასრულებელი ფურცელი მოსარჩლეს მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამის შესახებ მისგან შემოსულია წერილობითი მოთხოვნა;

გ) ალიმენტების გადასახდევინებლად აღმასრულებელი ფურცლის გადაცემასა და გადაგზავნასთან ერთად სასამართლო ამის შესახებ წერილობით აცნობებს მოსარჩლეს, თანაც აღნიშნავს ზუსტ მისამართს, სადაც გაიგზავნა აღმასრულებელი ფურცელი, აღმასრულებელი ფურცლის გაგზავნის დროს და აგრეთვე იმ თანამდებობის პირის სახელწოდებას, რომელსაც მოსარჩლემ უშუალოდ უნდა მიმართოს ცნობებისათვას სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ალიმენტების გადახდევინების საკითხზე;

დ) სასამართლოს აღმასრულებელი, მიიღებს რა აღმასრულებელ ფურცელს, მოვალეა დაუყოვნებლივ შეუდგეს მის აღსრულებას იმ წესით, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის

იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1939 წ. 28 სექტემბრის ინსტრუქციაში „სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ“.

8. სახალხო მოსამართლეებმა და სასამართლოს აღმასრულებლებმა განუხრელად უნდა შეასრულონ 30 მაისის 1939 წ. კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა „სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ“ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ის თანამდებობის პირნი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ ამ დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაკისაგან ბავშვების შესანახად მისჯილი ალიმენტების გადახდევინება არ წარმოებს.

იუსტიციის, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობაში ბავშვთა შესანახი ალიმენტების გადახდევინების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ

(სსრკ იუსტიციის მინისტრის, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრისა და სსრკ გენერალური პროკურორის 1954 წ. 1 ივნისის № 38 (249) 103 ბრძანება)

(ამონაკრები)

1. რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებმა, შინაგან საქმეთა მინისტრებმა, პროკურორებმა, იუსტიციის სამინისტროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამმართველოთა უფროსებმა, მხარეებისა და ოლქების პროკურორებმა დაუყოვნებლივ აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და დაამყარონ მკაცრი კონტროლი ალიმენტის გადახდევინებისადმი.

2. იუსტიციის მინისტრებმა და იუსტიციის სამინისტროების სამართველოთა უფროსებმა უზრუნველყონ სასამართლოში:

ა) მოსამართლეთა ყოველდღიური პირადი კონტროლის განხორციელება სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისადმი ალიმენტის გადახდევინებაზე;

ბ) ზომების მიღება იმ პირთა მუშაობის ადგილისა და მისამართის დასადგენად, რომლებიც ემალებიან ალიმენტის გადახდას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ალიმენტის არგადამხდელთა დაძებნაზე დადგენილების მილიციის ორგანოებში გადაგზავნისას კონტროლის განხორციელება ამ დადგენილებათა აღსრულებისადმი;

დ) არანაკლებ ერთგზისა კვარტალში ალიმენტის გადახდევინების სისწორის გულდასმით შემოწმება აღმასრულებელ ფურცლებზე, რომლებიც გადაეცა აღსასრულებლად საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს. ალიმენტის გადახდევინებაზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობაში დამნაშავე პირნი დაუყოვნებლივ მისცენ კანონით დაწესებულ პასუხისგებაში.

ე) „ბავშვთა შესანახი სახსრების გადახდევინების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრკ უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1950 წლის 4 აგვისტოს № 14(10) უ დადგენილების შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და აღმასრულებელ ფურცლებში უზრუნველყონ მოსარჩელისა და მოპასუხის სახელის, მამის სახელისა და გვარის, მოპასუხის დაბადების თვისა და წლის, მისი საცხოვრებელი ადგილისა, მუშაობის ადგილისა და დაკავებული თანამდებობის აღნიშვნა;

ვ) დაამყარონ მკაცრი წესრიგი აღმასრულებელი ფურცლების აღრიცხვაში, შენახვასა და დაგზავნაში, არ დაუშვან მათი დაკარგვა.

3. იუსტიციის მინისტრებმა და იუსტიციის სამინისტროების სამმართველოთა უფროსებმა სახალხო სასამართლოებში რევიზიის ჩატარებისას გულდასმით შეამოწმონ მუშაობა ალიმენტის გადახდევინებაზე და ამ საქმეებზე სასამართლოების მიერ მოქალაქეთა საჩივრების მიხედვით გამოტანილ გა-

დაწყვეტილებათა შეუსრულებლობისა და დროულად შესრულებაზე.

4. შინაგან საქმეთა მინისტრებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროების სამმართველოთა და მილიციის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სამმართველოთა უფროსებმა:

ა) პირადად განახორციელონ მუდმივი კონტროლი ალიმენტის არგადამხდელთა დაძებნისადმი, ყოველთვიურად შეამოწმონ ამ მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ ზომები დაძებნის აქტივიზაციისათვის;

ბ) აამაღლონ ადგილებზე ოპერატიული განყოფილებების პასუხისმგებლობა ალიმენტის არგადამხდელთა დაძებნისათვის, ვალდებულყონ ეს განყოფილებები მეტი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ საქალაქო და რაიგანყოფილებებს (ქვეგანყოფილებებს) ძებნის ორგანიზაციაში;

გ) მიიღონ ზომები, რათა მილიციის საქალაქო და რაიგანყოფილებების უფროსები პირადად იხილავდნენ საჩივრებსა და განცხადებებს სამძებრო საქმეებზე, იძლეოდნენ კონკრეტულ მითითებებს ძებნის გასაძლიერებლად და ახორციელებდიენ მკაცრ კონტროლს მათზე დაქვემდებარებულ აპარატის მუშაობისადმი, ალიმენტის არგადამხდელთა ძებნის საქმეში;

დ) მილიციის საქალაქო და რაიგანყოფილებებში, რომელთა წარმოებაში იმყოფება მნიშვნელოვანი რაოდენობის სამძებრო საქმეები, დახმარების აღმოსაჩენად ერთი თვით გაგზავნონ გამოცდილი ოპერატიული მუშაკები;

ე) დაავალდებულონ მილიციის საქალაქო და რაიგანყოფილებების უფროსები, რათა სამძებრო დავალებები შეასრულონ 10 დღის ვადაში;

ვ) მიიღონ ზომები, რათა დამყარებული იქნას მკაცრი წესრიგი იმ პირებისაგან ალიმენტის გადასახდევინებლად გაცემულ აღმასრულებელ ფურცლების აღრიცხვის საქმეში, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომაგამასწორებელ ბანაკებსა და კოლონიებში და უზრუნველყონ ამ პირებისაგან ალიმენტის დროული და სწორი გადახდევინება, კერძოდ:

იმ პატიმართა სხვაგან გადაყვანისას, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალდებულნი არიან იხადონ ალიმენტი, დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ აღმასრულებელი ფურცელი სასჯელის მოხდის ახალი ადგილის მიხედვით.

შესახებაც ერთდროულად უნდა ეცნობოს იმ სასამართლოს, ვინც ახორციელებს კონტროლს მოცემულ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისადმი, აგრეთვე იმ პირებსაც, რომელთა სასარგებლოდ უნდა გადახდეს ალიმენტი.

დროულად უპასუხონ სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების შეკითხვაზე იმ პირებისაგან გადახდევინებული ალიმენტების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი.

5. პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა ალიმენტის გადახდისაგან თავის ამრიდებელ პირთა დაძებნის გამოცხადებისას სათანადო მასალები წინასწარ შემოწმების მონაცემებთან ერთად გზავნონ მილიციის ორგანოებში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორებმა გააძლიერონ ზედამხედველობა ალიმენტის გადახდევინებაზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისადმი, რისთვისაც:

ა) ჩატარდეს პერიოდულად შემოწმება იმ აღმასრულებელი ფურცლებით ალიმენტის სწორი და დროული გადახდევინებისა, რომლებიც გადაეცათ წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს, თანაც პასუხისმგებლობაში მისცენ ის პირნი, რომელთა მიზეზით არ არის გადახდევინებული ალიმენტი;

ბ) მილიციის ორგანოებში შეამოწმონ ალიმენტის არგადამხდელთა დასაძებნად მიღებულ ზომების თავისდროულობა და საჭირო შემთხვევაში დასვან საკითხი მილიციის იმ მუშაკთა მკაცრ პასუხისმგებლობაში მიცემაზე, ვინც გულგრილად ეკიდება ამ სამუშაოს.

7. პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოების ორგანოებმა გააძლიერონ ბრძოლა იმ პირთა მიმართ, ვინც

ბოროტად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას, განუხრელად მისცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ისინი, თანაც უზრუნველყონ ამ კატეგორიის საქმეთა სწრაფად გამოძიება და სასამართლოში განხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. იუსტიციის, პროკურატურისა და მილიციის გაგებ-ბის ხელმძღვანელებმა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში დაუყოვნებლივ პირადად გაარჩიონ დედა-ქალებისაგან მათ აპარატში შემოსული საჩივრები ალიმენტის გადაუხდელობაზე და მიიღონ ზომები მათი სასწრაფოდ გადასაწყვეტად, ხოლო მომავალში განახორციელონ მუდმივი კონტროლი აპარატში შემოსულ საჩივართა სწორად და დროულად გადაწყვეტისადმი, მათი გულდასმით შემოწმებისადმი, არ დატოვონ დაუსჯელად გადაუხდელობის გამო შემოსულ საჩივრების გაჭიანურებისა და მათ მიმართ ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების არცერთი შემთხვევა.

ინსტრუქცია

ალიმენტის დაკავების წესის შესახებ იმ აღმასრულებელი ფურცლებით, რომლებიც გადაეცათ გადასახდევინებლად საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, არტელებს.

(სსრკ იუსტიციის სამინისტროს 1956 წ. 5/V № 28-ა და სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1956 წ. 2/VI № 222).

1. ალიმენტის გადახდევინების მიზნით დაწესებულებაში. ორგანიზაციაში, საწარმოში, კოლმეურნეობაში შესული აღმასრულებელი ფურცელი გატარებული უნდა იქნას კანცელარიაში (ექსპედიციაში). აღმასრულებელი ფურცელი მიღების თარიღის აღნიშვნის შემდეგ გადაეცემა ბუხჰალტერიის სათანადო განყოფილებას (ანგარიშსწორების განყოფილება, ხელფასის გაცემის მაგიდა და ა. შ) პასუხისმგებელი პირის ხელწერილის ქვეშ.

2. ბუხჰალტერია (ანგარიშსწორების განყოფილება) აღმასრულებელ ფურცელს ატარებს სპეციალურ წიგნში ან ბარათზე (დანართი № 1).

3. ბუხჰალტერია (ანგარიშსწორების განყოფილება) ვალდებულია ალიმენტის გადასახდევინებლად [illegible] ფურცლის მიღების შესახებ იმავე დღეს გაუგზავნოს ცნობა გადამხდევინებელსა და სახალხო სასამართლოს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით (დანართი № 2).

4. აღმასრულებელი ფურცელი უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადაში ან განსაკუთრებულ საცავში, რომელიც განკუთვნილია ფასიანი ქაღალდების შესანახად. ყოვლად დაუშვებელია აღმასრულებელი ფურცლის შენახვა საერთო კარადაში, თანამშრომლების მაგიდაში და სხვა.

5. მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასიდან ალიმენტის დაკავება აღმასრულებელი ფურცლით ბუხჰალტერიის (ანგარიშსწორების განყოფილების) მიერ ხდება ერთდროულად ხელფასის გაცემისას მოვალის სამუშაო ადგილის მიხედვით.

6. აღმასრულებელი ფურცლით დაკავებული თანხა, მისი ხელზე გაცემა ან ფოსტით გაგზავნა გადამხდევინებლისათვის აღირიცხება ბუხჰალტერის (ანგარიშსწორების განყოფილების) მიერ „დეპონენტთა“ ანგარიშზე, თანაც გადამხდევინებლის სახელზე იხსნება ცალკე ანგარიში.

7. საალიმენტო გადახდევინების წესით დაკავებული თანხა ბუხჰალტერიის (ანგარიშსწორების განყოფილების) მიერ დღიდან დაკავებისა სამი დღის ვადაში უნდა მიეცეს გადამხდევინებელს პირადად ხელზე ან გადაეგზავნოს მას ფოსტით.

გადამხდევინებლისათვის პირადად, ან მის მინდობილობით ფულის გადაცემისას მოლარე აღნიშნავს მიმღების პირადობის დასადასტურებლად წარდგენილი პასპორტის ან სხვა საბუთის ნომერს, მისი გაცემის დროსა და ადგილს, აგრეთვე მიმღების საბინაო დავთარში ჩაწერის ადგილს

8. საალიმენტო გადახდევინების თანხის გადამხდევინებ-

ლისათვის ფოსტით გადაგზავნისას ბუხჰალტერია ვალდებულია გზავნის მეორე გვერდზე—„წერილებისათვის“ ნაწილში აღნიშნოს: რომელი თვის ალიმენტია გადახდევინებული, მოვალის ხელფასის ოდენობა, რომლის მიხედვითაც მოხდა კავება, დაკავების პროცენტი ან თანხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდევინებული თანხა იგზავნება ფოსტით გადამხდევინებლის ხარჯზე.

9. იმ პირთა მოთხოვნით, რომლებსაც აღმასრულებელი ფურცლით ხელფასიდან დაუკავდათ თანხა, ბუხჰალტერია (ანგარიშსწორების განყოფილება) ვალდებულია მისცეს მათ ცნობა აღმასრულებელ ფურცლით მათგან დაკავებული თანხების შესახებ.

10. მოვალარ, უფროს ბუხჰალტერს ან იმ პირს, ვინც ანგარიშსწორებას განაგებს, მოანგარიშეს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა აღმასრულებელი ფურცლის აღრიცხვის სწორად დაყენებისათვის, დროულად და სწორად დაკავებისათვის და დაკავებულ საალიმენტო თანხების გაცემისა და გადაგზავნისათვის.

თანამდებობის პირნი, რომლებიც დამნაშავეა სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში, დაკავების გაჭიანურებაში ან თანხების სხვა საჭიროებისათვის გახარჯვაში, აგრეთვე, თანამდებობის პირნი, რომლებმაც სასამართლოს აღმასრულებელს არ მიაწოდეს ცნობები მოვალის მისამართის გამოცვლაზე, მის ხელფასზე, პასუხს აგებენ რსფსრ სსსკ 291-ე მუხლისა[1] და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებით.

11. სამინისტროებისა და ცენტრალური დაწესებულებების ბუხჰალტრები ავალებენ რევიზორებს საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციისა და მშენებლობის დოკუმენტალური რევიზიის დროს შეამოწმონ ალიმენტების გადახდევინების სისწორე, მათი აღრიცხვა და გადამხდევინებლისათვის დროულად გადაგზავნა, ამ საკითხის რევიზიის აქტის განსაკუთრებულ ნაწილში გაშუქებით.

---

[1] საქ. სსრ სამოქ. საშ. საპ. კოდ. 341.

12. კატეგორიულად აკრძალულია აღმასრულებელ ფურცლით განსაზღვრული ალიმენტის გადახდევინების შეცვლა, შეჩერება ან შემცირება სასამართლო ორგანოს, მეორეგზისა ან გადამხდევინებლის წერილობითი განცხადების [illegible]

იმ შემთხვევაში, უკეთუ გადაწყვეტილების აღსრულებისას წარმოიშვება რაიმე ეჭვი, გაურკვევლობა ან სიძნელე, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიმართავს სახალხო სასამართლოს განმარტებისათვის დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით.

13. ალიმენტის გადამხდელი პირის დათხოვნისას ბუხჰალტერია (ანგარიშსწორების განყოფილება) ანგარიშსწორების დღის აღმასრულებელი ფურცლის მეორე გვერდზე ავსებს შესაბამის გრაფას ანგარიშსწორებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა და გზავნის აღმასრულებელ ფურცელს სახალხო სასამართლოში დაწესებულებების, საწარმოს ან ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით და ერთდროულად ამის შესახებ აუწყებს გადამხდევინებელს (დანართი № 3)

14. აღმასრულებელი ფურცლის სახალხო სასამართლოში გადაგზავნისას ბუხჰალტერიამ წერილში უნდა აღნიშნოს: მოვალის მოხსნის მიზეზი, უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო უკეთუ მოვალე გადაყვანილია ან მივლინებაში გაიგზავნა,—ახალი სამუშაო ადგილის ზუსტი დასახელება.

15. ალიმენტის დაკავებისა და მისი გადახდევინებისათვის გადაგზავნის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ აღმასრულებელი ფურცელი ან მისი დუბლიკატი, აგრეთვე, მოვალის განცხადება.

იმ შემთხვევაში როდესაც მოვალეს ალიმენტი უნდა დაუკავდეს რამდენიმე ორგანიზაციაში, სასამართლო გასცემს აღმასრულებელი ფურცლის რამდენიმე ეგზემპლარს აღნიშვნით, თუ რომელი თანხებიდან უნდა მოხდეს დაკავება:

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპ. კედ. 341 მუხ.

პენსიიდან, ხელფასიდან შეთავსებული თანამდებობის მიხედ-
ვით და სხვა.

16. დაკავება ხდება აღმასრულებელ ფურცელში აღნიშ-
ნულ ოდენობით მოვალის ხელფასის იმ თანხიდან, რომელიც
მას ერგება გადასახადთა დაკავების შემდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეზე ირიცხება გასული
დროის ალიმენტის დავალიანება, ასეთის დაფარვას ბუხჰალ-
ტერია (ანგარიშსწორების განყოფილება) ახდენს სასამართ-
ლოს აღმასრულებლის მოწერილობის შესაბამისად.

17. მუშებსა და მოსამსახურეებს ალიმენტი დაუკავდე-
ბათ როგორც ძირითადი ხელფასიდან, ასევე იმ დამატებითი
სახის გასამრჯელოდანაც შრომითი ხელშეკრულების მიხედ-
ვით, რომელიც ატარებს მუდმივ ხასიათს, როგორიცაა:

შრომის ნატურალური საზღაური, ყოველთვიური დანამა-
ტი ან ერთდროული ჯილდო წელთა ნამსახურობისათვის,
შორეულ ჩრდილოეთში და შორეულ ადგილას მუშაობისათ-
ვის, ხელფასის ფონდიდან გაცემული პრემიალური ფულადი
თანხები, რაც არ ატარებს ერთდროულად წამახალისებელ
ხასიათს, და ა. შ.

ალიმენტს ხელფასიდან შეთავსებით დაკავებულ თანამდე-
ბობის მიხედვით ბუხჰალტერია ახდევინებს მოვალის სამუ-
შაო ადგილას იგივე საფუძველზე, როგორც ძირითადი თა-
ნამდებობის შემთხვევაში.

18. ალიმენტის გადახდევინება პენსიიდან და დახმარები-
დან დროებითი შრომისუუნარობისას წარმოებს როგორც
იმ შემთხვევაში, როცა მოვალეს არა აქვს სხვა შემოსავალი,
ასევე იმ შემთხვევაშიც, როცა მოვალე გარდა პენსიისა, ღე-
ბულობს ხელფასს, შემოსავალს შრომადღეებზე კოლმეურნე-
ობაში ან შემოსავალს ხელოსნობიდან და ა. შ.

19. ალიმენტების გადახდევინება არ იქნება მიქცეული:

ა) იმ თანხაზე, რომელიც ეძლევა მუშაკს კომპენსაციის
წესით (გამოსასვლელი დახმარება, დღიური და საგზაო ფუ-
ლი გადაყვანისა და მივლინებისას და ა. შ.)

ბ) დამატებითი გასამრჯელოზე სისტემატურად მგზავრობასთან დაკავშირებულ მუშაობისათვის (საველე მომზადება, რაც გეოდეზიის, კარტოგრაფიისა სხვა დარგის მუშაკებს ეძლევათ ნაცვლად დღიურისა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ პრემიაზე, რაც სამეცნიერო, გამოგონებლობის, ლიტერატურისა და და ხელოვნების დარგში გაიცემა თვალსაჩინო შრომისათვის;

დ) ერთდროულ გასამრჯელო თანხაზე ტექნიკური გაუმჯობესების, გამოგონებისა და რაციონალიზატორულ წინადადებისათვის;

ე) იმ თანხაზე, რომელიც ეძლევათ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტრანსპორტის, საწარმოს, სახანძრო დაცვისა და სხვა დაწესებულებათა გასამხედროებულ დაცვის სამხედრო მოსამსახურეებს ნაცვლად სასურსათო ულუფისა და სანივთო მომარაგებისა.

20. ალიმენტები არ გადახდება გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციიდან, მაგრამ უკეთუ ალიმენტის გადამხდელი დათხოვის დროს ღებულობს რამდენიმე თვის გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციას რამდენიმე წლის შვებულების შეერთების შემთხვევაში, ალიმენტი დაიკავება ავანსად შვებულების იმ მთელი პერიოდის კონპენსაციის თანხიდან, რომლისათვისაც მას აძლევენ კომპენსაციას.

საალიმენტო გადახდევინების ოდენობა ამ შემთხვევაში გამოიანგარიშება მოვალის საშუალო თვიური ხელფასიდან.

გადახდევინებული თანხა ამ შემთხვევაში შეტანილ უნდა იქნას დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ იმ სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელმაც იგი უნდა გადასცეს გადამხდევინებელს აღმასრულებელ ფურცელში აღნიშნულ ვადაში.

მოვალის სამსახურში შესვლისას ალიმენტის გადახდა სადეპოზიტო ანგარიშებიდან, ამის შესახებ მოვალის განცხადების თანახმად, შეწყდება და მორიგი საალიმენტო გადახ-

დევინება იწარმოებს ახალ სამუშაო ადგილზე მიღებულ ხელ-ფასიდან.

სახალხო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე დარჩენილი თანხა ამ შემთხვევაში, სასამართლოს დადგენილებით, დაუბრუნდება მოვალეს.

21. იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე მოვალეს წარედგინება გადასახდევინებლად რამდენიმე აღმასრულებელი ფურცელი და როცა მოვალისაგან ხელფასის 50% ოდენობით დაკავებული თანხა არ კმარა ყველა გადახდევინების დასაკმაყოფილებლად, ანგარიშსწორების ბუხჰალტერია ან განყოფილება დაუყოვნებლივ აუწყებს ამის შესახებ სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

22. მოვალეებს, რომლებიც შრომა-გამასწორებელ სამუშაოს იხდიან, ალიმენტი აღმასრულებელი ფურცლით გადახდებათ ხელფასის მთელი თანხიდან სასამართლოს განაჩენის მიხედვით წინასწარი გამოქვითვის გარეშე.

რსფსრ სამ. სამ. საპრ. კოდექსის 289-ე მუხლისა[1] და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამ. სამ. საპრ. კოდექსის შესაბამისი მუხლების წესები, რომლებითაც დადგენილია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველ შემთხვევაში უნდა შეუნარჩუნდეთ ხელფასის 50%, არ ვრცელდება იმ მოვალეებზე, რომლებიც იხდიან შრომა-გამასწორებელ სამუშაოს.

23. კოლმეურნეებს ალიმენტი აღმასრულებელი ფურცლის მიხედვით უნდა გადახდეს იმ ფულადი თანხიდან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან სათანადო ნაწილის დაკავების გზით, რაც მოვალეს ეძლევა როგორც ავანსირებისას, ასევე საბოლოო ანგარიშის გასწორებისას შრომადღეების მიხედვით.

მტს-ის მუდმივ მუშაკებს, აგრეთვე კოლმეურნეობის მიერ მტს-ში გამოყოფილ სეზონურ მუშებს მტს-სა და კოლმეურ-

---

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპ. კოდ. 339 მუხ.

ნეობებს შორის დადებული ტიპობრივი ხელშეკრულების თანახმად, ალიმენტი გადახდებათ შრომადღეებზე გასულმ პროდუქტებიდან და ფულადი თანხებიდან, ასევე მათ მიერ მტს-ში მისაღები ფულადი თანხებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. უკეთუ ალიმენტის გადამხდევინებელი ბავშვის დედა არ არის იმ კოლმეურნეობის წევრი, სადაც მოვალე მუშაობს და პროდუქტების მიღება ნატურით დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული გადამხდევინებლისათვის, კოლმეურნეობის გამგეობა, მისი თხოვნით, ვალდებულია გაუგზავნოს მას ალიმენტი ფულად გადასახდევინებელი პროდუქტების ღირებულების ანგარიშიდან სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით.

ალიმენტის ანგარიშში დაკავებულ მარცვლეულს, გადამხდევინებლის თანხმობით, კოლმეურნეობა გადაიყვანს „ზაგოტზერნოს“ პუნქტის მეშვეობით საოლქთაშორისო გაცვლა-გამოცვლის წესით.

სსრკ იუსტიციის სამინისტროსა და სსრკ
ფინანსთა სამინისტროს 1956 წ. 5 მაისის
(2 ივნისის № 28-ა) 222 ინსტრუქციის მე-2
პუნქტის დანართი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი (ბარათი)

ალმასრულებელი ფურცლების აღრიცხვისა ალიმენტის გადახდევინების შესახებ

№№ რიგზე	ალმასრულებელი ფურცლის შემოსვლის თარიღი და შემოსულის ნომერი	ალმასრ. ფურცლის №, რიგის და ვის მიერაა გაცემული	გადამხდევინებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი	მოვალის გვარი, სახელი, მამის სახელი	რიგის და სად გაიგზავნა ალმ. ფურცელი და გასტ-ლის ნომერი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

საწარმოს,
ორგანიზაციის
დაწესებულების
ბლანკი

სსრკ იუსტიციის სამინისტროსა და
სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1956 წ.
5 მაისის (2 ივნისის № 28-ა) 222
ინსტრუქციის მე-2 ჯგუფის დანართი № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

_____ რაიონის სახალხო მოსამართლეს

ა ს ლ ი: მოქ. _____

_____

აღმასრულებელი ფურცელი მოქ. _____
(ვისგან)

ალიმენტის გადასახდევინებლად მოქ. _____
(ვის)

_____ სასარგებლოდ მიღებულია 195 წ. „ „ _____

ალიმენტის გადახდევინება იწარმოებს _____

_____
(აღინიშნოს თარიღი)

მთავარი (უფროსი) ბუღალტერი:

ასწარმოს,
ორგანიზაციის,
დაწესებულების
ბლანკი

სსრკ იუსტიციის სამინისტროსა და
სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1956 წ.
5 მაისის (2 ივნისის № 28-ა) 222
ინსტრუქციის მე-13 პუნქტის დანარ-
თი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

_____ რაიონის სახალხო სასამართლოს

ა ს ლ ი: მოქ. _____

მოქ. _____ მისი _____
(ვისთან) (აღინიშნოს მიზეზი)

განთავისუფლებასთან დაკავშირებით გასწორებულია ანგარიში. გიგზავნით

რა აღმასრულებელ ფურცელს მოქ. _____

სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, გაცნობებთ შემდეგ მონაცე-

მებს მოქ. _____ შესახებ:

ა) უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი და სამხედრო კომისარიატის და-

სახელება _____

ბ) ახალი სამუშაო ადგილის ზუსტი დასახელება და მისამართი

გ) ალიმენტი დაეკავა _____ დე.
(აღინიშნოს თარიღი)

კადრების განყოფილების უფროსი

მთავარი (უფროსი) ბუხჰალტერი

სასამართლოს აღმასრულებლის აღნიშვნა აღმას. ფურცლის მოძრაობის
შესახებ.

მიღებულია _____
(აღინიშნოს შემოსულის მიზეზი და თარიღი)

გაიგზავნა _____
(აღინიშნოს დაწესებულების დასახელება, თარიღი და
გასულის ნომერი)

101 მუხლისათვის

გადასახადების დაკავების წესის შესახებ იმ სამუშაო ხელფასიდან, რაც მშრომელს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცემა საწარმოსა, დაწესებულებისა და ორგანიზაციებისაგან

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის № 358/78 და სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის № 49 1939 წლის 20 ივნისის

ბრძანება

(ამონაკრები)

1. სასამართლოს გადაწყვეტილებით მშრომელისათვის სამუშაო ხელფასის მიცემისას, საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც ხელფასის გაცემას აწარმოებს, მოვალეა გაიანგარიშოს და დაუკავოს მშრომელს სამუშაო ხელფასიდან კუთვნილი გადასახადები საერთო საფუძველზე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი სამუშაო ხელფასის გაცემას აწარმოებს სასამართლოს აღმასრულებელი, საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია მოვალეა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გასაცემ სამუშაო ხელფასიდან დასაკავებელი გადასახადების გაანგარიშება და აცნობოს სასამართლოს აღმასრულებელს დასაკავებელი გადასახადების თანხის ოდენობა.

სასამართლოს აღმასრულებელი, რომელიც სამუშაო ხელფასს გასცემს, მოვალეა მოახდინოს გადასახადების თანხის დაკავება და დაკავებული თანხა გადარიცხოს ბიუჯეტის ანგარიშზე.

103. მუხლისათვის

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1950 წ. 16 მაისის №—31 სადირექტივო წერილი

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროში შემოსული მასალებიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ იურიდიული

კონსულტაციის სასარგებლოდ მისჯილი ჰონორარის გადახ-
დევინება სასამართლოს დანიშვნით ადვოკატის გამოსვლისა-
თვის (რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
55 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სა-
მართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები).
სამართლოს აღმასრულებლის მიერ წარმოებს უკანასკნელ
რიგში, ზიანის ანაზღაურების ან ქონების კონფისკაციის
შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც ამ აღმასრულებელი ფურ-
ცლით გადახდევინებისათვის მსჯავრდადებულს ქონება აღარ
რჩება, რის გამო მისჯილი ჰონორარის გადახდევინება
შეუძლებელი ხდება და ადვოკატის შრომა რჩება აუნაზღა-
ურებელი.

წინადადებას გაძლევთ მისცეთ სასამართლოებს მითითება
იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-
სის 55 მუხლის წესისამებრ (სასამართლოს დანიშვნით) ადვო-
კატის გამოსვლისათვის იურიდიული კონსულტაციის სასარ-
გებლოდ მისჯილი ჰონორარის გადახდევინება გათანაბრებულ
უნდა იქნას მუშისა და მოსამსახურის ხელფასის გადახდევი-
ნებასთან, ე. ი. უნდა წარმოებდეს იმ წესის შესაბამისად,
რაც დადგენილია რსფსრ სამოქალაქო სასამართლოს საპრო-
ცესო კოდექსის 266 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბ-
ლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების
სათანადო მუხლებით[1].

108 მ უ ხ ლ ი ს ა თ ვ ი ს

ზედამხედველობის წესით საქმის გამოთხოვის შესახებ

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრისა და სსრ კავშირის პროკურორის ბრძანება (1938 წ. 19 სექტემბერი № 77/1251).

(ამონაკრები)

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლი-

[1] საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309 მუხლი.

კების სასამართლო წყობილების კანონის 16 მუხლის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება ან დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორისა და მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის მიერ და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შესაბამისად ხსენებული სასამართლო წყობილების კანონის 51, 64, 74 მუხლებისა.

4. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების შეჩერება დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორის ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით.

5. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების აღსრულების შეჩერება წარმოებს იმ სასამართლოს მეშვეობით, რომელმაც განაჩენი, გადაწყვეტილება ან დადგენილება გამოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ინსტრუქცია სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ	3
ზოგადი დებულებანი	3
სააღსრულებო დოკუმენტის მიღება და მოვალისათვის შეტყობინება	7
სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა და გამოსაღები იძულებითი აღსრულებისათვის	9
გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტით დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციისაგან	10
გადახდევინების მიქცევა ქონებაზე	14
გადახდევინების მიქცევა სამუშაო ხელფასზე	22
გადახდევინების მიქცევის წესი მოვალის იმ ქონებაზე, რაც მესამე პირთან იმყოფება	25
აღწერილი ქონების გაყიდვა	27
გადახდევინების მიქცევა შენობაზე	29
გადაწყვეტილების აღსრულება საალიმენტო საქმეზე	33
იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა განსაზღვრული მოქმედების შესრულება	36
გადაწყვეტილების აღსრულება საბინაო საქმეზე	37
ფულის ჩაბარება გადამხდევინებლებისათვის და გადახდევინებული თანხის განაწილება მათ შორის	38
სააღსრულებო მოქმედების შეჩერება და მოსპობა	47
სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება	44
სააღსრულებო დოკუმენტების აღრიცხვა და საქმის წარმოება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დარგში	45
სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ფულადი თანხების მიღებისა და ამ თანხებზე ანგარიშგების წესი	50
სასამართლოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე სასამართლოს აღმასრულებელთან შემოსული სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წესი	54
დ ა ნ ა რ თ ე ბ ი	58
დამატებითი მასალები	73

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ს. ჯაფარიძე

საჯარო
ბიბლიოთეკა
ქ. ბ ი ლ ი ს ი

გადაეცა წარმოებას 16/VII-58. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-58 წ.
ანაწყობის ზომა 5,5×8,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო
ფორმათა რაოდენობა 7,75.

შეკვ. № 829. ტირაჟი 500.

საქ. კ. პ. ცკ-კის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти“ Издательства ЦК КП Грузии,
ул. Ленина № 14.

უფასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНСТРУКЦИЯ

О ПОРЯДКЕ ИСПОЛНЕНИЯ СУДЕБНЫХ РЕШЕНИЙ

(На грузинском языке)

Тбилиси
1958